ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

12 ნოემბრიდან!
„ახალი თაობა“
+
„საზღაური“
4 ლარი




სამშაბათი, 12 ნოემბერი, 2013 | №268 (6269) | ფასი: 30 თეთრი

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილს დაიჭერენ თუ არა, ბერძენიშვილის გადასაწყვეტი არ არის“



გვ.4

„კბილაშვილის პროკურატურამ საქმე ვერ გააკეთა“

## უჩა ნანუაშვილი საკუთარი თანამშრომლის უფლებებს არღვევს

გვ.3

„სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ ჩვენ ხელი უნდა შეგვეშალა თეა თუთბერიძისთვის სახალხო დამცველის რწმუნებით განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებაში. ჩვენ არ გვქონდა არანაირი უფლება, რომ თეა თუთბერიძისთვის ხელი შეგვეშალა მისი უფლებამოსილების შესრულებაში“.



## ჯარიმის ოდენობა და მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები მცირდება

გვ.4

## ჩიორა თაქთაქიშვილი: „მარგველაშვილმა რუსულ ტელევიზიას სამარცხვინო ინტერვიუ მისცა“

გვ.2





## მაია ფანჯიკიძე საქართველოში მონარქიული წყობის აღდგენის წინააღმდეგია

გვ.5



## ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი უნდა დაიჭირონ!“

გვ.2

## უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე?



გვ.7

## ნოდარ ხადური: „ბიუჯეტის სეკვესტრს ადგილი არ ექნება“

გვ.3



## რომელი პოლიტიკური პარტიები გაერთიანდებიან?!

გვ.7

ISSN 1987-9385

**2** არქიმანდრიტ ბართლომეს წყევლის გამო ეპიტემია დაედო

**4** შეიარაღებული ძალები პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან

**2** ცესკო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს 16 ნოემბერს გამოაქვეყნებს

**6** რექტორმა არ გაწირა თავისი სტუდენტები და უნივერსიტეტი

# ჩიორა თაქთაქიშვილი: „მარგველაშვილმა რუსულ ტელევიზიას სამარცხვინო ინტერვიუ მისცა“

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის მომავალმა პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ნაციონალების რისხვა დაიტეხა თავს. ნაცმოძის რისხვის მიზეზი კი რუსეთის პირველი არხისთვის მიცემული ინტერვიუ გახდა.

გიორგი მარგველაშვილი სოჭის ოლიმპიადაზე მისი დასწრების შესაძლებლობას განიხილავს.

— ჩვენ ამ საკითხს განვიხილავთ. ჩვენს გუნდში ის ღიად განიხილება. მივიჩნევთ, რომ ეს კარგი დასაწყისი იქნება, რათა არ შეიქმნას პოლიტიკური დაძაბულობა. იმიტომ ვუყურებთ ოლიმპიადას მოლოდინით, რომ სპორტული ნების კეთილი ემოცია მისცემს სტარტს ახალ ურთიერთობებს არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელს მსოფლიოში. ჩვენ ვიწყებთ ძალიან პრობლემური წერტილიდან, როცა სამწუხაროდ, უკვე მოხდა ძალიან ტრაგიკული მოვლენა. დღეს ჩვენ შევეცდებით, ერთმანეთს ტკივილი არ მივაყენოთ, ვისაუბროთ იმ პრობლემებზე, რომლის გადაწყვეტაც დღეს შეიძლება, — აცხადებს მარგველაშვილი.

ახლად არჩეული პრეზიდენტი რუსეთის პატრიარქის მილოცვასაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ ეს მილოცვა იყო კარგი ფონი ორი მართლმადიდებელი ერისთვის.

— ეს იყო ხაზგასმა იმ ფაქტის, რომ ის იარები, რომლებიც შექმნეს პოლიტიკოსებმა, უნდა შეხორცდეს იმ ადამიანების მიერ, ვინც ორიენტირებულია კეთილმეზობლურ ურთიერთობებზე. პოლიტიკოსებმა ხელი არ უნდა შეუშალონ ხალხებს შორის ურთიერთობებს, უნდა შეიქმნას ფონი, სადაც ბიზნესი, კულტურული და ნათესაური კავშირები თავის ნაყოფს გამოიტანს, — აღნიშნა მარგველაშვილმა.

მისი განცხადებით, ახალმა ხელისუფლებამ ორ ქვეყანას შორის დაძაბულობის მოხსნის ასპექტში უკვე გადადგა ნაბიჯი.

— მთავრობის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის დანიშვნით და სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობით. ჩვენ გადავდგით შესაბამისი ნაბიჯები და განვაცხადეთ, რომ შევეცდებით გადავიყვანოთ ჩვენი დიალოგი აგრესიული ურთიერთობებიდან რაციონალურ ჩარჩოში, — ამბობს მომავალი პრეზიდენტი.



მარგველაშვილმა რუსეთის „პირველ არხთან“ ინტერვიუში ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების გარდა ბიზნეს ურთიერთობების გაღრმავებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ საქართველოს ბაზარი ღიაა რუსი ბიზნესმენებისთვის.

— ქართული პროდუქცია ბრუნდება რუსულ ბაზარზე და ეს დიდი პოზიტივია. მაგრამ ჩვენ კიდევ ვქმნით ახალ ფორმატებს, ჩვენ ვქმნით შესაძლებლობას რუსი ბიზნესმენებისთვის ინვესტიციები ჩადონ საქართველოში, როგორც ქვეყანაში, რომელსაც ექნება თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობები ევროპასთან, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ჟურნალისტის კითხვაზე, მაშინ როდესაც საქართველო მიიწევს ევროპისკენ, როგორ იქნება გათვალისწინებული რუსეთის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერესები, გიორგი მარგველაშვილმა აღნიშნა: „საქართველოს ინტეგრაცია და ასოცირება ევროპასთან, არის ზუსტად რუსეთის ინტერესებში. სტაბილური ქვეყანა სამხრეთის მიმართულებით რეალურად ქმნის შესაძლებლობას ურთიერთობების გაღრმავებისა და ასევე რუსეთის ფედერაციის სტაბილური განვითარებისათვის, რომელიც აქტიურად ავითარებს კულტურას, ეკონომიკას და პოლიტიკურ ურთიერთობებს ევროკავშირთან.“

ამ ინტერვიუს გამო ნაცმოძმა მარგველაშვილი დაგმო. დეპუტატ დავით დარჩიაშვილის თქმით, ეს ინტერვიუ თავიდან ბოლომდე კრემლის საამებელი განცხადებები იყო.

ნაციონალი ჩიორა თაქთაქიშვილი გიორგი მარგველაშვილის რუსეთის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუს ნებისმიერი სუვერენული სახელმწიფოსთვის სამარცხვინოდ მიიჩნევს.

მისი თქმით, აღნიშნული ინტერვიუ სამარცხვინოა, რადგან საქართველოს პრეზიდენტი საკუთარი ქვეყნის ოკუპანტთან საუბარში არცერთხელ არ ახსენებს სიტყვას „ოკუპაცია“, არცერთხელ არ არხენებს დევნილების საკუთარ სახლებში დაბრუნების აუცილებლობას და არ საუბრობს იმ უმთავრეს სახელმწიფოებრივ და იმ ეროვნული სუვერენიტეტის თვალსაზრისით არსებულ გამოწვევებზე, რომელიც საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობებში არსებობს.

— ასეთი ქმედებები, სამწუხაროდ, მხოლოდ და მხოლოდ უარეს შედეგებს მოიტანს საქართველოს იმ მოქალაქეებისთვის, რომლებიც უკვე 20 წლის განმავლობაში არიან იმ სურვილით აღძრულები, რომ საქართველო გახდეს მართლაცდა დამოუკიდებელი ქვეყანა. როდესაც პრეზიდენტი არ სცემს ქვეყნის სუვერენიტეტს პატივს, მაშინ ნამდვილად ალბათ არ უნდა ველოდოთ, რომ რუსეთი და რომელიმე სხვა ქვეყანა პატივს სცემს ჩვენს სუვერენიტეტს, — განაცხადა ჩიორა თაქთაქიშვილმა.

მარგველაშვილის ინტერვიუს განსხვავებულად აფასებენ მეოცნებეები. ზაქარია ქუცნაშვილი უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან რუსეთთან არაფორმალური ურთიერთობების დამყარებას მიესალმება

როგორც საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა „პირველის“ პრესკლუბში სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით გიორგი მარგველაშვილის განცხადების კომენტირებისას განაცხადა, პრეზიდენტის დასწრება სოჭის ოლიმპიადაზე შესაძლებელია, ქვეყნებს შორის ურთიერთობებზე დადებითად აისახოს.

— ჩემი აზრით, ქართველ საზოგადოებაში არსებობს მოთხოვნილება, რომ ჩვენ გავაუმჯობესოთ ურთიერთობა რუსეთთან და ეს გაუმჯობესება გამოიხატებოდეს ჩვენი მოქალაქეების ინტერესების უკეთ დაკმაყოფილებაში. ჩვენ გვაქვს პროგრესი ამ ქვეყანასთან ურთიერთობაში, თუმცა არის რამდენიმე საკითხი, რომელიც სერიოზულად აფერხებს ამ პროცესის პოზიტიურ განვითარებას. ამიტომ პიროვნული ურთიერთობები, სახალხო დიპლომატია არის ძალიან კარგი დამატებითი ინსტრუმენტები იმისთვის, რომ თუ საზოგადოებას მართლაც აქვს დაკვეთა ურთიერთობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, ის რეალიზებული იყოს. ასე რომ, მე მხოლოდ მივესალმები სახელმწიფო თანამდებობის პირების მიერ განხორციელებულ ქმედებებს, მიმართულს ამ ურთიერთობების გაუმჯობესებისკენ, — განაცხადა ქუცნაშვილმა.

მისივე თქმით, ურთიერთობების ნორმალიზების მზადყოფნა რუსეთის მხრიდანაც გამოითქვა.

— პრეზიდენტის, როგორც უმაღლესი თანამდებობის პირის, ეს პოზიცია, ხელს შეუწყობს ამ ურთიერთობების აღდგენას, მით უმეტეს, რომ რუსეთის დღევანდელ ხელმძღვანელობას ნათქვამი აქვს, რომ ისინი ყველაფერს ილონებენ, რომ მკვეთრად გააუმჯობესონ დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლებასთან. ვნახოთ, როგორ მოხდება ამ პირობის შესრულება, ჩვენი მხრიდან იქნება ღირსეული, საქართველოს ინტერესებზე დამყარებული მოქმედება, — განაცხადა მეოცნებე დეპუტატმა.

დეპუტატ ზვიად ძიძიგურის თქმით, სოჭის ოლიმპიადაში მონაწილეობის ძალიან კარგი და პოზიტიური სიგნალი უნდა იყოს ჩრდილოელი მეზობლისთვის.

— ვფიქრობ, რომ ჩვენი ხელისუფლების პოზიცია — ურთიერთობები უფრო ცივილიზებულ ჩარჩოებში გადავიდეს, მთელი მსოფლიოსთვის თვალნათელია, — განაცხადა ძიძიგურმა.

რაც შეეხება ზოგადად ინტერვიუს, ვიცე-სპიკერის აზრით, ეს მშვიდი, ზომიერი ინტერვიუ იყო, რომელიც ემსახურებოდა იმას, რომ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობა ნორმალურ ჩარჩოებში გადავიდეს.

## არქიმანდრიტ ბართლომეს წყევლის გამო ეპიტემია დაედო

საქართველოს საპატრიარქო არქიმანდრიტ ბართლომეს (ფირცხალაიშვილი) ინტერნეტით გავრცელებულ წყევლას განცხადებით ეხმიანება და აღნიშნავს, ღმერთის მსჯავრი თითოეულ ჩვენგანზე ისედაც აღსრულდება და მისი წყევლით დაჩქარების მცდელობა საჭირო არ არის.

„როგორც ცნობილია, რამდენიმე დღის წინ ინტერნეტით გავრცელდა არქიმანდრიტ ბართლომეს (ფირცხალაიშვილი) მიერ დადებული წყევლა. მსგავსი ქმედება უკვე მეორედ განმეორდა.

მართალია, ორივე შემთხვევაში მას ეკლესიის და ქვეყნის დაცვის სურვილი ამოძრავებდა, მაგრამ, როგორც მღვდლობის ხარისხის მქონეს, არა აქვს უფლება, ეს განახორციელოს თვითნებურად, რაც სერიოზული დარღვევაა და ამის გამო დაედო ეპიტემია.

ეკლესია ყოველთვის ლოცულობს საქართველოსთვის და ავედრებს ჩვენს ქვეყანას უფალს, ყოვლადწმინდა ღვთისმშობელს, ანგელოზთა და წმიდათა დასს, რაც ბუნებრივია, გულისხმობს ჩვენს მფარველად და წინამბრძოლად ყოვლადწმინდა სამების და ზეციურ ძალთა მოხმობას.

უფალი ყველას მიაგებს საქმეთა მათთაებრ და დაუსჯელი არავინ დარჩება — არც ცილისმწამებელნი და არც ღვთისა და ქვეყნის მოღალატენი.

ასე რომ, ღმერთის მსჯავრი ისედაც აღსრულდება თითოეულ ჩვენგანზე, ოღონდ როდესაც ესა თუ ის პიროვნება ზოგჯერ წყევლით ცდილობს დააჩქაროს უფლის სასჯელი, ამით იგი საფრთხეში იგდებს თავის თავსაც, რადგან თუ ის მართალი არ არის ღვთის წინაშე, თავად აღმოჩნდება უფლის სასჯელის ქვეშ“ — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

ეპიტემია გარკვეული ცოდვის საწინააღმდეგო წამალია. იგი საეკლესიო სასჯელია, რომლის გამოტანის უფლება მხოლოდ მღვდელმთავარს აქვს.

ნიუსპრესი

## ალეკო შალამბერიძე: „სააკაშვილი უნდა დაიჭირონ!“

შორენა მარსაგიშვილი

ამ უქმეებზე სააკაშვილმა კიდევ ერთხელ აღაშფოთა საზოგადოება. რეზიდენციის თავზე 4 გულით დამშვენებული დროშის აღმართვას დიდი ამბები მოჰყვა. ნაციონალებმა სახელმწიფო დროშის შეცვლა „საპატიო“ მიზეზით ახსნეს. მათი თქმით, ეს ყოველივე კლიპის გადაღებას უკავშირდება.

კლიპის გადაღების შემდეგ ნაციონალებმა მოწყალება მოიღეს და სახელმწიფო დროშა უკან დააბრუნეს. ამის მიუხედავად ერი მაინც აღშფოთებულია. პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი ალეკო შალამბერიძე სააკაშვილის დაჭერას ითხოვს.

მისი თქმით, საქართველოს კანონის დარღვევისათვის, სააკაშვილი უნდა დატუსაღდეს.

შალამბერიძის განცხადებით, აუცილებელია რეზიდენციაზე საქართველოს სახელმწიფო დროშის ჩამოხსნის ფაქტთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრას, ჩატარდეს სათანადო გამოძიება და დამნაშავე პირი კანონით გათვალისწინებული სანქციების შესაბამისად დაისაჯოს.

— საქართველოს პრეზიდენტის სასახლეზე სახელმწიფო დროშის 24-საათიან გაქრობასთან დაკავშირებით, რაც საქართველოს კონსტიტუციისა („საქართველოს სახელმწიფო სიმბოლოები დადგენილია ორგანული კანონით“. მუხლი 11) და „საქართველოს სახელმწიფო დროშის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის უხეში დარღვევაა („საქართველოს სახელმწიფო დროშა მუდმივად აღიმართება საქართველოს პრეზიდენტის რეზიდენციის შენობაზე“. მუხლი 3.). „სახელმწიფო დროშის შესახებ“ კანონის მე-5 მუხლით ასევე განსაზღვრულია, რომ აღნიშნული დანაშაული იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად“ და ამდენად მაღალი სახელმწიფოებრივი ინტერესიდან გამომდინარე საჭიროა ამ საქმის ინსპირატორი და ბრძანების გამცემი სააკაშვილი მიცემულ იქნეს პასუხისგებაში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 343-ე მუხლის შესაბამისად („საქართველოს სახელმწიფო გერბისა და დროშის შებღალვა“), თავისუფლების აღკვეთით ორი წლის ვადით, — აცხადებს შალამბერიძე.

სააკაშვილის ცუღლუტობას მთავრობა მაშინვე გამოეხმაურა. მეოცნებეების მთავრობამ ნაციონალებს ქმედება დაუგმო და დროშის უკან დაბრუნება მოითხოვა. შალამბერიძეს ეს განცხადება არასაკმარისად მიაჩნია.

— მთავრობის მიერ გაკეთებული განცხადება და მოთხოვნა პრეზიდენტ სააკაშვილის მიმართ კანონის დაცვისა და საქართველოს სახელმწიფო დროშის პრეზიდენტის რეზიდენციის თავზე დაბრუნების თაობაზე არ არის საკმარისი კანონის უზენაესობის აღსასრულებლად. აუცილებელია, საქართველოს სახელმწიფო დროშის პრეზიდენტის რეზიდენციაზე ჩამოხსნის ფაქტთან დაკავშირებით აღიძრას სისხლის სამართლის საქმე, ჩატარდეს სათანადო გამოძიება და დამნაშავე პირი კანონით გათვალისწინებული სანქციების შესაბამისად დაისაჯოს. სა-



აკაშვილის თავხედობას არ აქვს საზღვარი. მივმართავთ აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს, ისევე როგორც ეს ეკადრება ევროპული ტიპის სახელმწიფო მოღვაწეს, დაუყოვნებლივ დაიწყოს აღნიშნული დანაშაულის გამოძიება, რამდენადაც სახელმწიფო სიმბოლიკის შებღალვა (რაღაც კლიპის ჩაწერისათვის) დიდ დამცირებას და ქვეყნის შეურაცხყოფას წარმოადგენს. ამასთან, მიგვაჩნია, რომ პროცესი უნდა იყოს გამჭვირვალე და ყველა დაინტერესებულ პირს, განსაკუთრებით ჩვენი მეგობარი ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ოფიციალურ წარმომადგენლებს საშუალება მიეცეთ, გამოძიების პროცესს სრულყოფილად დააკვირდნენ, — აღნიშნა შალამბერიძემ.

ნაციონალები სახელმწიფო დროშის შეურაცხყოფაში დიდ ტრაგედიას ვერ ხედავენ. ისე, საინტერესოა, რას იზამდნენ, ასეთი რამე ბიძინა ივანიშვილს რომ გაეკეთებინა. მეოცნებეთა მამა ლამის ქვეყნის მტრად შერაცხეს, სააკაშვილის გულზე დაბნეული წითელი ყაყაჩოს მნიშვნელობა რომ არ იცოდა.

ქვეყნის მთავარი დიპლომოლოგი გოგა ხაჩიძე სახელმწიფო დროშის ჩამოხსნაში ცუდს ვერ ხედავს. მისი თქმით, გულებიანი დროშით სააკაშვილმა სიყვარული აგვიხსნა და წავიდა.

სააკაშვილის სიყვარულში ერი ბევრჯერ დარწმუნდა. სწორედ სიყვარულით გააკეთა განცხადება ნულოვან ტოლერანტობაზე. 7 ნოემბერს და 26 მაისსაც ზედმეტი სიყვარულით დაარბევინა ერი. ჩვენ რომ ხელკეტები გვეგონა, სიყვარულის ისრები ყოფილა, ხალხო.

## ცესკო საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს 16 ნოემბერს გამოაქვეყნებს

ცენტრალური საარჩევნო კომისია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს საარჩევნო უბნების მიხედვით 16 ნოემბრამდე გამოაქვეყნებს. საარჩევნო კოდექსის თანახმად, არჩევნებიდან არა უგვიანეს 20 დღისა ცესკო აჯამებს არჩევნების შედეგებს საარჩევნო ოლქების მიხედვით და აფორმებს შემაჯამებელ ოქმს, რომელიც მტკიცდება ცესკოს განკარგულებით.

ცესკო უფლებამოსილია ცნობა არჩევნების შედეგების შესახებ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით შედეგების შეჯამებიდან 5 დღის ვადაში გამოაქვეყნოს, თუმცა რადგან პრეზიდენტის ინაუგურაცია 17 ნოემბერს არის დაგეგმილი, საბოლოო შედეგები, სავარაუდოდ, 16 ნოემბერს გამოცხადდება.

მედიანიუსი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნოდარ ხადური: „ბიუჯეტის სეკვესტრს ადგილი არ ექნება“

შორენა გონგლაძე

საქართველოს საგადასახადო შემოსავლების 2013 წლის საპროგნოზო მაჩვენებელი ვერ შესრულდება, რადგანაც, ოფიციალური მაჩვენებლების და მინისტრების ინფორმაციის თანახმად, ეკონომიკური ზრდის რეალური მაჩვენებელი ბევრად ჩამორჩება საპროგნოზო მაჩვენებელს, რომელიც 6%-ს შეადგენს. აღნიშნულ ინფორმაციას სააგენტო „ცივილ.გე“ ავრცელებს. მთავრობა, რომელსაც ოპოზიცია თვეების განმავლობაში აკრიტიკებდა, მისი ეკონომიკური პოლიტიკის გამო, კიდევ უფრო მეტ კრიტიკას დაიმსახურებს ნაციონალური მოძრაობის საპარლამენტო უმცირესობის მხრიდან, რომელიც აცხადებს, რომ შემოსავლებში დანაკლისის გამო ხელისუფლება იძულებული გახდება, პარლამენტს ბიუჯეტის შემცირების თხოვნით მიმართოს წლის ბოლომდე.



ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, რომ ბიუჯეტის სეკვესტრს ადგილი არ ექნება. მან დეტალებზე საუბრისგან თავი შეიკავა, თუმცა უთხრა ჟურნალისტებს, რომ ის დეტალებზე მომდევნო კვირას ისაუბრებს, როდესაც ამ საკითხის განხილვა პარლამენტში მოეწყობა. ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელში დანაკლისია მოსალოდნელი, რადგანაც ეკონომიკური ზრდა ბევრად უფრო მაღალ დონეზე იყო დაგეგმილი, ვიდრე ის წლის ბოლოს იქნება. ეკონომიკის წლიურმა ზრდამ 2013 წლის პირველი ცხრა თვის მანძილზე 1.7% შეადგინა.

გადასახადების ამოღების მონაცემების თანახმად, 2013 წლის პირველ ცხრა თვეში საგადასახადო შემოსავლებმა 4.58 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც 2013 წლის საგადასახადო შემოსავლების 6.92 მილიარდი ლარის ოდენობის საპროგნოზო მაჩვენებლის 66.1%დს შეადგენს. დამატებითი ღირებულების გადასახადი საქართველოს მთლიანი საგადასახადო შემოსავლების თითქმის ნახევარს შეადგენს.

2013 წლის იანვარ-სექტემბერში დღგ-ს სახით 2.05 მილიარდი ლარი შეგროვდა, რაც მთელი წლის საპროგნოზო მაჩვენებლის, რომელიც 3.4 მილიარდ ლარს შეადგენს, 60.4-დია. გასული წლის პირველ ცხრა თვეში დღგ-ს მთლიანი საპროგნოზო მაჩვენებლის 71%-ზე მეტი შეგროვდა.

პირველი ცხრა თვის მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ მთავრობა დაგეგმილზე ნაკლებს ხარჯავს. იანვარ-სექტემბერში ხარჯებმა 4.38 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მთელი წლის განმავლობაში დაგეგმილი 7.24 მილიარდი ლარის ოდენობის ხარჯების, დაახლოებით, 60.5%დს შეადგენს.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის განცხადებით, 2013 წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის შენელება გამოიწვია ერთი მხრივ, პოლიტიკური გაურკვევლობით გამოწვეულმა ინვესტორთა დაბალმა ნდობამ და მეორე მხრივ, საბიუჯეტო ხარჯვის შემცირებამ, განსაკუთრებით კაპიტალური ხარჯების გაწევის კუთხით. ეკონომიკის მინისტრმა და ვიცე-პრემიერმა გიორგი კვირიკაშვილმა განაცხადა, რომ ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელი პოლიტიკური დაძაბულობის და ოპოზიციის დესტრუქციული ქმედებების გამო ვერ შესრულდა. თუმცა მან ასევე განაცხადა, რომ ამას ნაწილობრივ შეუწყო ხელი კოორდინაციის ნაკლებობამ მთავრობის შიგნით საწყის ეტაპზე. თუმცა, მისი თქმით, მთავრობამ უკვე სრულად გადალახა კოორდინაციასთან დაკავშირებული პრობლემა.

# უჩა ნანუაშვილი საკუთარი თანამშრომლის უფლებებს არღვევს

შორენა გონგლაძე

სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი სკანდალში ეხვევა. ნანუაშვილსა და მის თანამშრომლებს შორის არსებული უთანხმოება კაბინეტიდან სასამართლო დარბაზში გადაინაცვლებს. რაც შეეხება სკანდალის მიზეზს, ერთი შეხედვით სცენარი საკმაოდ ბანალურია, სამსახურიდან განთავისუფლებული თანამშრომლები ნანუაშვილს პასუხს სთხოვენ, თუმცა მოვლენების განვითარება იმაზე მიანიშნებს, რომ აგორებულ სკანდალს, არ არის გამორიცხული, რომელიმე თანამდებობის პირი ან გადაჰყვეს, ანდა რეპუტაცია მნიშვნელოვნად შეერყეს, რაც საბოლოოდ, როგორც წესი, თანამდებობის დატოვებით მთავრდება.

ერთი წლის წინ, როდესაც სახალხო დამცველის ვაკანტურ თანამდებობაზე დიდი გაწევ-გამოწევა და სჯა-ბაასი მიდიოდა, რათა ეს ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობა ღირსეულ კანდიდატს დაეკავებინა, დღევანდელ სახალხო დამცველს კონკურენციას საზოგადოებისათვის ისეთი ცნობილი სახეები უწევდნენ, წესით, ნებისმიერი გათვლებით ამ თანამდებობაზე ნანუაშვილს ვერც ერთი ექსპერტი რატომღაც ვერ მოიაზრებდა. მათი სიმპათია გაცილებით ძლიერ და ცნობადი სახეებისკენ იხრებოდა, საბოლოოდ არჩევანი უჩა ნანუაშვილზე შეჩერდა. რა კრიტერიუმით შეირჩა ნანუაშვილი, ეს დღემდე ბევრისთვის გაუგებარია, თუმცა როგორც მაშინ გაკეთდა განცხადებები, ნანუაშვილის სიმპათია ახალმა მთავრობამ იმით დაიმსახურა, რომ ნანუაშვილი არასამთავრობო სექტორში მოღვაწეობის პერიოდში აქტიურად იცავდა როგორც სექსუალურ, ასევე რელიგიური უმცირესობების უფლებებს. ეს კი ფაქტია, რომ მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი პირობაა იმისთვის, რომ ქვეყანაში გარკვეული თანამდებობა დაიკავო. მოკლედ, ერთწლიანი მშვიდობიანი მუშაობის შემდეგ სკანდალებს ვერც უჩა ნანუაშვილი ასცდა.

სახალხო დამცველის აპარატიდან გათავისუფლებული თანამშრომელი, პრევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი, ნათია იმნაძე ნანუაშვილს სასამართლოში უჩივის.

ნათია იმნაძე აცხადებს, რომ უჩა ნანუაშვილმა მისი და მისი მოადგილის, ოთარ კვაჭაძის სამსახურიდან გათავისუფლების მიზეზად თეა თუთბერიძის პატიმარ ბაჩო ახალაიასთან შეხვედრა დაასახელა. როგორც იმნაძე განმარტავს, რომ 2013 წლის 29 ოქტომბერს, პრევენციის ეროვნული მექანიზმის ჯგუფმა ე.წ. მატროსოვის ციხეში გეგმური მონიტორინგი განახორციელა და სწორედ ამ ჯგუფის შემადგენლობაში იყო თეა თუთბერიძე, რომელთან დამოუკიდებლად შეხვედრაც თავად პატიმარმა ახალაიამ მოინდომა.

– სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მე და ოთარ კვაჭაძეს ხელი უნდა შეგვეშალა თეა თუთბერიძისათვის სახალხო დამცველის რწმუნებით განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებაში. რწმუნებაში, რომელიც თეა თუთბერიძეს თავად სახალხო დამცველმა მიანიჭა, აღნიშნულია, რომ პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტს უფლება აქვს, მოწმის გარეშე, პირადად ან თარჯიმნის მეშვეობით შეხვდეს და ესაუბროს დაკავებულებს, პატიმრობაში მყოფ ან სხვაგვარად თავისუფლებაშეზღუდულ პირებსა და მსჯავრდებულებს. შესაბამისად, ჩვენ არ გვქონდა არანაირი უფლებამოსილება, რომ თეა თუთბერიძისთვის ხელი შეგვეშალა მისი უფლებამოსილების შესრულებაში, – აცხადებს ნათია იმნაძე. მისსივე განცხადებით, გათავისუფლების მიზეზი ფორმალურია და ეს უკავშირდება იმას, რომ მათ მიერ სასჯელაღსრულების სისტემაში და სხვა დახურულ ინსტიტუტებში არსებული სიტუაციის შეფასება ობიექტურად ხდებოდა, ისინი გარკვეული საკითხების გასაჯაროებას მოითხოვდნენ და ამის გამო ხელმძღვანელობასთან კამათიც ხშირი იყო.

– სახალხო დამცველის უმოქმედობის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ რამდენიმე ფაქტი. 2013 წლის აგვისტოში, მას შემდეგ, რაც №7 დაწესებულების საკნებში აღმოაჩინეს ფარული სამეთვალყურეო კამერები, ადმინისტრაციამ პრაქტიკულად ყველა საკანში, ახლა უკვე ღიად დაამონტაჟა სამეთვალყურეო კამერები. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენმა დეპარტამენტმა მოამზადა რეკომენდაცია, ხოლო სახალხო დამცველმა არა მხოლოდ არ გაასაჯაროვა აღნიშნული ფაქტი, არამედ რეკომენდაციის ხელმოწერაზეც უარი განაცხადა. უფრო მეტიც, მისი მდივანი სთხოვდა პრევენციის ეროვნული მექანიზმის წევრს, რომ ელექტრონული სისტემიდან საერთოდ წაეშალა მის მიერ მომზადებული და სახალხო დამცველისთვის გადაგზავნილი რეკომენდაცია, – აცხადებს ნათია იმნაძე და ამბობს, რომ უჩა ნანუაშვილი თავისი უმოქმედობით პრევენციის ეროვნულ მექანიზმს მიზანმიმართულად აკნინებს. მისივე თქმით, 2013 წლის 17 ოქტომბერს, საგარეჯოს პოლიციის სამმართველოში მოხდა ინციდენტი, როდესაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ფაქტობრივად ძალის გამოყენებით გამოყარეს პოლიციის სამმართველოდან და ისიც მოგეხსენებათ, რომ შსს-ს პრესსამსახურის არაადეკვატურ განცხადებებზე სახალხო დამცველს პირადად კომენტარიც კი არ გაუკეთებია, მხოლოდ განცხადების გავრცელებით შემოიფარგლა და მთელი კვირის განმავლობაში სხვა თემებით ცდილობდა მის გადაფარვას, – აცხადებს იმნაძე.

ნათია იმნაძე აცხადებს, რომ უჩა ნანუაშვილი დამოუკიდებელი არაა და მისი ქმედებები შეზღუდულია.

– უჩა ნანუაშვილი ანგარიშვალდებული მხოლოდ პარლამენტთან არაა. არ ვიცი, ვისთანაა ანგარიშვალდებული, ალბათ ხელისუფლებაში მყოფ რამდენიმე პირთან. ფაქტია, რომ ის დამოუკიდებელი არაა და შეზღუდულია, – განაცხადა იმნაძემ.

მისივე თქმით, უჩა ნანუაშვილთან პირადად კომუნიკაცია ყოველთვის პრობლემას წარმოადგენდა და ის ომბუდსმენთან დაკავშირებას ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის საშუალებით ცდილობდა, თუმცა მისი მდივანი ხშირ შემთხვევაშიეუბნებოდა, რომ ნანუაშვილს არ ეცალა. ნათია იმნაძე აცხადებს, რომ გათავისუფლებული თანამშრომლები სამართლებრივ ბრძოლას განაგრძობენ.




თუმცა, სახალხო დამცველის აპარატში აგორებული სკანდალი ამით არ ამოწურულა, ნათია იმნაძესთან და ოთარ კვაჭაძის გათავისუფლების შემდეგ სახალხო დამცველის აპარატს სხვა თანამშრომლებიც ტოვებენ. საკუთარი განცხადების საფუძველზე სამსახური პრევენციის ეროვნული მექანიზმის სამმა თანამშრომელმა, მაია გიგინეიშვილმა, ამირან ნიკოლაიშვილმა და გურამ ბენდიაშვილმა დატოვა. როგორც თანამშრომლები აცხადებენ, სამსახურის დატოვების ბევრი მიზეზი არსებობდა, თუმცა კულმინაცია იმნაძისა და კვაჭაძის უკანონოდ გათავისუფლება იყო:

– როდესაც სახალხო დამცველი საკუთარი თანამშრომლის უფლებებს არღვევს

ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ის სხვის უფლებებს დაიცავს, – აცხადებს მაია გიგინეიშვილი.

ნათია იმნაძის განცხადებით, სამსახურის დატოვებამდე მათ გათავისუფლების შესახებ განცხადების დაწერას აიძულებდნენ:

– ჩვენ გვაიძულებდნენ, ჯერ წინადადებით მოგვმართეს და შემდეგ დაჟინებულად, გვაჯერებდა პაატა ბელთაძე, რომ ჩვენთვის უკეთესი იქნებოდა თუ სამსახურს ჩვენივე განცხადების საფუძველზე დავტოვებდით, გვეუბნებოდა, სად სამსახურიდან გათავისუფლებულები რომ იქნებით და სად თქვენი ნებით რომ წახვალთო, მაგრამ უარი განვაცხადეთ, რასაც მოჰყვა ჩვენი უკანონოდ გათავისუფლება, – აცხადებს იმნაძე.

მისი თქმით, მათი გათავისუფლების საქმე ნამდვილად უკავშირდება თეა თუთბერიძის ვიზიტს ბაჩო ახალაიასთან:

– სახალხო დამცველმა მიიჩნია, რომ მე და ოთარ კვაჭაძეს ხელი უნდა შეგვეშალა თეა თუთბერიძისთვის სახალხო დამცველის რწმუნებით განსაზღვრული უფლებამოსილების შესრულებაში. ჩვენ არ გვქონდა არანაირი უფლება, რომ თეა თუთბერიძისთვის ხელი შეგვეშალა მისი უფლებამოსილების შესრულებაში. წარმოუდგენელი და სრულიად დაუშვებელია, რომ ერთმა ექსპერტმა ან ჯგუფის წევრმა ხელი შეუშალოს მეორე ექსპერტს მისთვის რწმუნებით მინიჭებული უფლებამოსილების შესრულებაში, მით უმეტეს, რომ ზემოაღნიშნული შეხვედრა თავად პატიმარმა მოითხოვა. მსგავსი რეგულაცია უბრალოდ არ არსებობს, ხოლო ზემოაღნიშული ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ სახალხო დამცველს, რბილად რომ ვთქვათ, არანაირი წარმოდგენა არ აქვს, თუ რა არის პრევენციის ეროვნული მექანიზმი და რა მიზნებს ემსახურება ის, – განაცხადა იმნაძემ. მისივე თქმით, აღნიშნული ინფორმაცია აუცილებლად მიეწოდება ევროსაბჭოს წამების პრევენციის კომიტეტს და გაეროს წამების პრევენციის ქვეკომიტეტს, ისევე, როგორც საქართველოში მოქმედ დიპლომატიურ მისიებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს.

სახალხო დამცველის აპარატის უკვე ყოფილმა თანამშრომლებმა გუშინ რამდენიმე ფაქტიც წარმოადგინეს, რომელიც მათი თქმით, სახალხო დამცველის უმოქმედობაზე მიუთითებს. მაია გიგინეიშვილის თქმით, სახალხო დამცველს არ ჰქონია რეაგირება საგარეჯოს პოლიციის სამმართველოში მომხდარი ინციდენტთან დაკავშირებითაც:

– 2013 წლის 17 ოქტომბერს საგარეჯოს პოლიციის სამმართველოდან სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები ფაქტიურად ძალის გამოყენებით გამოგვყარეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის არაადეკვატურ განცხადებებზე სახალხო დამცველს პირადად კომენტარიც კი არ გაუკეთებია, ხოლო ჩვენივე დაწერილი განცხადების გავრცელებით შემოიფარგლა და მთელი კვირის განმავლობაში სხვა თემებით ცდილობდა ამის გადაფარვას, – განაცხადა გიგინეიშვილმა.

ყოფილი თანამშრომლების პროტესტს სახალხო დამცველი პრესკონფერენციით გამოეხმაურა. როგორც უჩა ნანუაშვილმა განაცხადა, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგისა და პრევენციის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ნათია იმნაძისა და მისი მოადგილის ოთარ კვაჭაძის გათავისუფლება რთული გადაწყვეტილება იყო, თუმცა ამას ფაქტობრივ-სამართლებრივი და მორალური საფუძვლები ჰქონდა.

– სახალხო დამცველის გადაწყვეტილებები ემსახურება ოფისის სტრატეგიულ მიზნებს და ნაკარნახევია კანონიერების, სამართლიანობისა და მიზანშეწონილობის პრინციპებით. ძირითადი საფუძვლები, რომელიც პრეცევენციისა და მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსისა და მისი მოადგილის გათავისუფლების მიზეზი გახდა, შემდეგია: 1. ფაქტობრივ-სამართლებრივი – სახალხო დამცველის პირდაპირი და ლეგიტიმური მითითებების ბრალეული და უხეში შეუსრულებლობა, რაც დაფიქსირებულია შიდა სამსახურებრივი მოკვლევის ოქმითა და სახალხო დამცველის 224-ე ბრძანებით. ეს ყველაფერი გასაჯაროებულია ნათია იმნაძის მიერ. გასათვალიწინებელია, რომ გასათავისუფლებელი პირების მიმართ უკვე მოქმედებდა დისციპლინური პასუხისმგებლობის სხვა ზომა, რომელიც არ გასაჩივრებულა მანამდე. 2. მორალური მხარე – აღნიშნული პირები გამოირჩოდნენ უკიდურესად არაკოლეგიალური და უხეში დამოკიდებულებით აპარატის სხვა თანამშრომლების მიმართ. მათ არაერთხელ აქვთ მიღებული ზეპირსიტყვიერი შენიშვნა ამგვარი ქმედებების გამო, რაც დადასტურებულია შიდასამსახურებრივი ოქმებით; გამოირჩეოდნენ უყურადღებო და უდისციპლინობით დაკისრებული მოვალეობების მიმართ; ადგილი ჰქონდა სახალხო დამცველთან არაკოორდინირებულ, შეუთანხმებელ მოქმედებებს, რაც ქმნიდა სახალხო დამცველის საქმიანობის დისკრედიტაციის საშიშროებას, მაგალითად, იგივე „ლიბერალისთვის“ მიცემული შეუთანხმებელი ინტერვიუ. გამოცემაში ნათია იმნაძისგან ნახსენებია ფრაზა, რომ „ჩვენ ხელისუფლება დავინდეთ და არ გავაკრიტიკეთ“, მაგრამ მას რაიმე სხვა ფაქტი ან ინფორმაცია, რომელიც ანგარიშში არ არის აღწერილი, არ წარმოუდგენია. თუ მას ჰქონდა რაიმე ფაქტი და დამალა, ეს კიდევ სხვა რამეზე მეტყველებს. ყველაზე მთავარი პრობლემა იყო ის, რომ სახალხო დამცველი არ უნდა იგებდეს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული პრობლემების შესახებ მედიის საშუალებით საკუთარი თანამშრომლების მხრიდან, მათ სახალხო დამცველის ინფორმირება მანამდე უნდა მოახდინონ. ასევე დაფიქსირდა სახალხო დამცველის განცხადებაზე სოციალურ ქსელში გავრცელებული არაკოლეგიალური და არაეთიკური განცხადებების გაკეთების შემთხვევაც, როდესაც მან სამარცხვინო უწოდა სახალხო დამცველის ერთ-ერთ განცხადებას, – განაცხადა ნანუაშვილმა.

მისივე თქმით, იმნაძის მხრიდან ადგილი ჰქონდა უგულისყურო დამოკიდებულებას მასზე დაკისრებული მოვალეობების მიმართ, რაც „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს კანონის არასათანადო ცოდნაში გამოიხატება.

– ესაა მისი განმარტება, რომ სახალხო დამცველთან თანხმდება მხოლოდ ძირითადი პრინციპები, დანარჩენ საკითხებში კი დეპარტამენტი და მისი უფროსი, მოადგილესთან ერთად, არის დამოუკიდებელი, რაც არის წინააღმდეგობაში აღნიშნულ კანონთან. პრევენციის ეროვნული მექანიზმის ექსპერტთა ქცევის კოდექსის არცოდნა, რაც ასევე შეიძლება, ჩაითვალოს ერთ-ერთ სამწუხარო მოვლენად, – განაცხადა ნანუაშვილმა. მისივე თქმით, მიუხედავად ამ პირთა მიმართ არსებული შენიშვნებისა, მათ საკმარისი დრო – 10 თვეზე მეტი მიეცათ, რათა თავი წარმოეჩინათ, როგორც ოფისის ღირსეულ წევრებს.

– ისინი ასევე სარგებლობდნენ სამსახურებრივი წახალისების შესაბამისი ფორმებით, როგორიცაა პრემია, ტრენინგი საზღვარგარეთ და ა.შ, თუმცა თავიანთი ყოველდღიური საქმიანობით, თვისებებითა და დამოკიდებულებებით, ისინი ზიანს აყენებდნენ სახალხო დამცველის ოფისს, რის გამოც სახალხო დამცველი იძულებული გახდა, მიეღო ეს არცთუ ისე იოლი გადაწყვეტილება, – განაცხადა ნანუაშვილმა. მისივე თქმით, ნათია იმნაძის ბრალდებები იმასთან დაკავშირებით, რომ მისი გათავისუფლება სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არსებული ვითარების კრიტიკის გამო მოხდა, „აბსურდული, უტიფარი და გამაოგნებელია“.

# შალვა ხაჭაპურიძე: „სააკაშვილს დაიჭერენ თუ არა, ბერძენიშვილის გადასაწყვეტი არ არის“

## „კბილაშვილის პროკურატურამ საქმე ვერ გააკეთა“

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ადვოკატ შალვა ხაჭაპურიძესთან

*— როგორ აფასებთ მთავრობაში განხორციელებულ ცვლილებებს? პროკურორის გადადგომას ბევრი მითქმა-მოთქმა მოჰყვა, რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?*

— რა გითხრათ, კბილაშვილის გადადგომის მიზეზებით დიდად არ დავინტერესებულვარ. სიმართლე გითხრათ, ჩემთვის საინტერესო არ არის, რატომ გადადგა. წავიდა იმიტომ, რომ ვერ შეასრულა გუნდური თამაშის ის წესები, რაც უნდა გაეკეთებინა. პროკურატურა, ბოლო ერთი წლის განმავლობაში აშკარად ვერ იდგა შორს პოლიტიკური პროცესებისგან და ამან ზეგავლენა იქონია კბილაშვილის მუშაობის ხარისხზეც და ზოგადად იმ პოლიტიკაზე, რასაც პროკურატურა ატარებდა. სიმართლე რომ ვთქვათ, სამართლიანობის აღდგენის კუთხით ამ სტრუქტურამ მოიკოჭლა. მათ ვერ შეძლეს და ვერ ჩამოაყალიბეს ხარვეზების აღმომფხვრელი კომისიის შესახებ კანონი, ეს კანონი დღემდე არ არის მიღებული. გარდა ამისა, არანაირი ქონებები არ დაბრუნებულა. სხვა ბევრი საკითხიც იყო. პროკურატურამ ვერ მოახერხა ინიცირება შეეტანა სისხლის სამართლის პროცესში, რომელიც თავად მას უშლიდა ხელს მუშაობაში.

*— და ეს ყველაფერი კბილაშვილის ბრალი იყო?*

— ზოგადად, როგორც პროკურორს, მეტის გაკეთება შეეძლო.

*— ითქვა ისიც, რომ არ იყო პირველი პირის ნება, ანუ პრემიერის და ამიტომ მუშაობდა ცუდად პროკურატურაო...*

— მაშინ გადამდგარიყო მანმადე, რატომ არ გადადგა, რა უშლიდა ხელს?

*— ახალ პროკურორზე რას იტყვით? ვინ არის ფარცხალაძე?*

— იმუშავებს და გამოჩნდება. წინასწარ რაიმეს თქმა ძნელია.

*— ასევე დიდი აჟიოტაჟი და მითქმა-მოთქმა ატყდა, როდესაც ცნობილი გახდა, თუ ვინ იქნება მომავალი შინაგან საქმეთა მინისტრი. ითქვა, რომ ძველი ხელისუფლების კურსს აგრძელებენ, როდესაც ასე პატარა ბიჭ-ბუჭებს ნიშნავენ ასეთ საპასუხისმგებლო თანამდებობაზეო...*

— შინაგან საქმეთა სამინისტრო იქნება ეს, პროკურატურა თუ ეკონომიკის სამინისტრო, თუ დღევანდელ კონსტიტუციას ავიღებთ და ამ კურსით გავყვებით, აქ არაფერი სასწაული არ მომხდარა. მოგეხსენებათ, მოსამართლე 28 წლის ასაკიდან ინიშნება თანამდებობაზე. თუ ამ ასაკის მოსამართლეს შეიძლება მივანდოთ ჩვენ საქმე, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს ადამიანის ბედი, სახელმწიფოში ყველაზე დიდი თანამდებობა მოსამართლეობაა. ამის მერე მოდის პრემიერი, პრეზიდენტი, მინისტრები და ყველა დანარჩენი. ყველაზე მაღალია მოსამართლე. ზევით ღმერთია და ქვევით მოსამართლე. თუ 28 წლის შეიძლება იყოს მოსამართლე, შინაგან საქმეთა მინისტრი რატომ არ შეიძლება რომ იყოს? რაც შეეხება მის პიროვნულ მახასიათებელ თვისებებს, მე ერთ საქმესთან დაკავშირებით მქონდა მასთან შეხება, მომიწია თვალყური მედევნებინა მისი საქმიანობისათვის და ვიტყოდი, რომ საკმაოდ პროფესიონალურად გაართვა ამ საქმეს თავი. ამ პრინციპიდან არ უნდა გამოვიდეთ. დეპუტატი გვყავს პარლამენტში, 21 წლის, ხალხო, ორი გოგო, ხალხის რჩეული და დიდი ამბავი, შინაგან საქმეთა მინისტრი გვყავდეს 28 წლის! ალბათ საჭიროა ამ კუთხით ცვლილებების შეტანა კანონში და საჭიროა, რომ პოლიტიკოსების ასაკი ცოტა დალვინდეს ქართულ პოლიტიკაში და უფრო ჭარმაგი გახდეს, თუ გვინდა ჩვენ რაიმე კარგი შედეგების მიღება. მაგალითად, ბიძინა ივანიშვილი 55-56 წლისაა და მან ყველაფერს უნიკალურად გაართვა თავი.



*— აქაც ბევრია სადავო...*

— კი, აზრთა სხვადასხვაობა ნამდვილად არსებობს. რაც შეეხება კადრებს და ასაკს, ყველა ცდილობს, რომ ისეთი კადრი მიიყვანოს, რომელიც ადრე არ იყო რაღაცაში გასვრილი. გასვრილი შეიძლება ახალგაზრდაც იყოს და ასაკიანიც, ან პირიქით, არც ერთი იყოს გასვრილი და არც მეორე. უფრო აქცენტი უნდა გაკეთდეს პროფესიონალიზმზე. თუ ადამიანი პროფესიონალია, რა გვაქვს საწინააღმდეგო. თუმცა ის ტენდენცია, რაც სააკაშვილმა დაიწყო, პარლამენტის და მთავრობის გაახალგაზრდავების, თუ ჩვენ გვინდა სერიოზული სახელმწიფოს აშენება, რა თქმა უნდა, ამ საკითხს სერიოზული მიდგომა სჭირდება.

*— თქვენ ახსენეთ, რომ 21 წლის დეპუტატები გვყავსო და სწორედ მათთვის შეცვალა სააკაშვილმა კანონი, რომ ისინი პარლამენტში მოხვედრილიყვნენ. ამაზეა ეს კრიტიკაც, რომ ეს კურსი არ უნდა გააგრძელოს ახალმა ხელისუფლებამ და პირიქით, ეს საკანონმდებლო ხარვეზი უნდა გამოასწოროს...*

— გეთანხმებით. გვყავს ახალი პრემიერი და დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ღონისძიებები გატარდება.

*— რას ელოდებით ახალი მთავრობის პირობებში?*

— რას ველოდები და ველოდები, რომ გავხდებით შვეიცარია. ასე შეგვპირდნენ და რა ვიცი... კავკასიური შვეიცარია ვიქნებითო და ვნახოთ, დაველოდებით. მეც სწორედ ამას ველოდები.

*— როგორ ფიქრობთ, ღარიბაშვილი გამოვა ბიძინა ივანიშვილის ჩრდილიდან და რამდენად გაართმევს თავს დაკისრებულ მოვალეობას?*

— თვითონ ივანიშვილი არ შევა იქეთ მხარეს. ძალიან კარგი ბიჭია ახალი პრემიერი, საკმაოდ კარგად გაართვა თავი შინაგან საქმეთა სამინისტროს, იმედია, ახალ პოსტსაც კარგად გაართმევს თავს. ვუსურვებ წარმატებებს, მან ჩვენ შვეიცარია უნდა აგვიშენოს. რაც შეეხება ჩარევების საკითხს, ეს მარტივი სქემაა, ის არ ჩაერევა შიდა საქმეებში, ეს გამორიცხეთ. ის შიდა საკადრო პოლიტიკაში არც ამ დრომდე არ ერეოდა. მინისტრები, კი ბატონო, მაგრამ იმას იქით არ ერეოდა. არ არის ის პიროვნება, რომ გარედან ჩაერიოს მთავრობის მუშაობაში, დამერწმუნეთ. იმდენად არ ჩაერევა, რომ შეიძლება ადამიანებს გაგვიკვირდეს კიდევაც, რატომ არ ერევაო. ღარიბაშვილს ექნება აბსოლუტურად თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ღარიბაშვილი როგორ საკადრო პოლიტიკას გაატარებს. საქართველოს პირველი პრეზიდენტი კადრებმა დაღუპეს, მეორე პრეზიდენტი კადრებმა დაღუპეს, მესამე პრეზიდენტი კადრებმა დაღუპეს, ასე რომ, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკას, როგორი კადრებით დაკომპლექტდება საჯარო სამსახურები. ბევრი მათგანი შესამცირებელიცაა.

*— მინისტრთა კაბინეტში თუ ელით ცვლილებებს?*

— პირველი ექვსი თვის განმავლობაში არა, იმიტომ, რომ ეს ხალხი მაინც ბიძინა ივანიშვილის დანიშნულია და მე არ მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილის დანიშნული კადრები ასე უცებ გადაადგილებას მოითხოვდეს. თუმცა ექვს თვეში ველი სერიოზულ გადახალისებას. ვხედავ კიდევაც მინისტრებს, ვინ იქნებიან ისინი, თუმცა წინასწარ ამას არ ვიტყვი. ბევრი მათგანი ალბათ გამოწვევებს ვერ გაუძლებს, ზოგიერთებს აქვთ რაღაც პრობლემა და თუ გამოასწორებენ, შესაძლოა, ისინიც დარჩნენ. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ ექვს თვეში მინისტრთა კაბინეტი მაინც გადახალისდება.

*— ამ დროისათვის ადგილობრივი არჩევნებიცაა დანიშნული, რომელიც საკმაოდ სერიოზული არჩევნებია...*

— დიახ, ეს იქნება საკმაოდ სერიოზული არჩევნები, გაიმართება საკმაოდ სერიოზული ბრძოლა, ოღონდ ვის და ვის შორის გაიმართება, არ ვიცი. ნაციონალური მოძრაობა აღარაა, სხვა პოლიტიკური ძალები საკმაოდ სუსტია საქართველოში...

*— რატომ თვლით, რომ ნაციონალური მოძრაობა აღარ არის? ჯერ არსად არ წასულან.*

— დამიჯერეთ, რომ მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში რაც არიან, იმის ნარჩენიც აღარ იქნება. ეს ძალა აღარ არის ანგარიშგასაწევი.

*— რადგან ნაციონალური მოძრაობა ახსენეთ, აქვე გკითხავთ, ვხედავთ, როგორი ყიჟინაა ატეხილი ევროპიდან, რომ ყოფილი პრემიერი უნდა გავათავისუფლოთ, სააკაშვილის დაჭერაზე კი არადა, მის დაკითხვაზეც არ უნდა ვიფიქროთ. ამ კუთხით როგორ განვითარდება პროცესები, გაითვალისწინებს ახალი ხელისუფლება ევროპის „კეთილ რჩევას“?*

— არ ვიცი, ვერაფერს გეტყვით. ლევან ბერძენიშვილმა გააკეთა ფეისბუქზე განცხადება, რომ თუ სახელმწიფოს დასჭირდა, სააკაშვილს დავიჭერთ და თუ არ დასჭირდება, არ დავიჭერთო. აბა, რა გითხრათ, მთავარია, შვეიცარია ააშენონ და დაიჭერენ თუ არ დაიჭერენ, აგერ ბერძენიშვილი გადაწყვეტს. არ ვიცი, რა გიპასუხოთ. თუ კაცს დანაშაული აქვს ჩადენილი, არ უნდა აგებინო პასუხი?! რას ჰქვია აპატიო. ისე კარგი იქნება, ამ კითხვით ბერძენიშვილს თუ მიმართავთ. მე გარკვეული პერიოდი, გარკვეულ თემებზე, სიმართლე გითხრათ, დუმილს ვამჯობინებ და ალბათ ხვდებით, დღევანდელი ჩემი ინტერვიუს ტონიც ცოტა სარკაზმულია. ვფიქრობ, რომ გარკვეულ საკითხებზე დალოდება ჯობია. ღარიბაშვილს თავისი პოზიციები ჯერჯერობით ბევრ საკითხთან დაკავშირებით არ გამოუხატავს. მე ვფიქრობ, რომ ის არ ივლის იმ ჭკუაზე, რასაც ბერძენიშვილი წერს.

*— საუბარია, სწორედ ეს ფრთა ებრძვის ღარიბაშვილს, რესპუბლიკური...*

— თუ ებრძვიან, მოსტყდებათ ეგ ფრთები ბერძენიშვილებს და ეგ იქნება. ერთხელ მოსტეხიათ თუ ორჯერ? ერთპროცენტიანი პარტია იყო და გააცოცხლა ბიძინა ივანიშვილმა. თუ ებრძვიან, ეგრე მოუვათ და თუ არ ებრძვიან და იყვნენ და იფართხალონ თავისი ფრთებით. მაგაში საშიში არაფერი არ არის. ფაქტი ერთია, რომ ხალხის მოთხოვნა სხვა არის.

*— სამართლიანობის აღდგენას ელოდება ხალხი...*

— სამართლიანობის აღდგენა და ნორმალური ქვეყნის აშენებაზე გვინდა საუბარი. თუ ამას თავშივე არ ჩავუყრით კარგ საფუძველს და საძირკველს, შესაბამისად ვერაფერს მიიღებ, რასაც დასთეს, იმას მოიმკი, ხომ? სიმართლე გითხრათ, მე პირადად ღარიბაშვილის იმედი მაქვს, ის ფიქრობს ისეთნაირად და აზროვნებს ისეთნაირად, როგორადაც მიაჩნიათ ჩვენი საზოგადოების უმრავლესობას. ახლა ერთი-ორი პოლიტიკოსი თუ რაღაცას იტყვის, ეს არაფერს ნიშნავს. ბერძენიშვილი კი ამბობს ამას, მაგრამ უსუფაშვილი ამაზე არაფერს ამბობს. აქ სხვა ბევრი საინტერესო მოვლენებია, ჩვენ გადავდივართ საპარლამენტო რესპუბლიკაზე და საკმაოდ ბევრი საინტერესო მოვლენები გველოდება წინ. ამიტომ წინასწარ კომენტარების გაკეთებისგან თავს შევიკავებ.

# ჯარიმის ოდენობა და მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები მცირდება

შინაგან საქმეთა მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ სამართალდარღვევებზე სახდელის ოდენობები მცირდება.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნული ინიციატივის შედეგად აუცილებელი გახდა რიგი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება ჯარიმის ოდენობების და მართვის უფლების ჩამორთმევის ვადების შემცირების მიზნით, კერძოდ – კანონპროექტის მიხედვით, 125-ე მუხლის პირველი ნაწილით, სიჩქარის გადაჭარბებისათვის გათვალისწინებული ჯარიმის ოდენობა (რადარები) – 100 ლარი განახევრდება და დამრღვევი მძღოლი 50 ლარით დაჯარიმდება, ხოლო აღნიშნული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, არსებული საურავის ოდენობა 500 ლარის ნაცვლად 150 ლარამდე შემცირდება. ჯარიმისა და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში სამართალდამრღვევს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500 ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

125-ე მუხლის მე-8 ნაწილით, დგომა-გაჩერების წესების დარღვევისთვის, 10 ლარიან ჯარიმას და გადაუხდელობის შემთხვევაში 150 ლარიან საურავს ითვალისწინებს. ჯარიმის და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში შინაგან საქმეთა მინისტრის ინიციატივით, დამრღვევ მძღოლს 1 წლის ნაცვლად მართვის უფლება 6 თვის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1000 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500 ლარიანი ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე, 125-ე მუხლის მე-71 ნაწილით ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 100 ლარიანი ჯარიმა ნახევრდება და მისი ოდენობა 50 ლარი იქნება. ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, მძღოლს 500 ლარის ნაცვლად 150 ლარის ოდენობით დაერიცხება საურავი. ჯარიმის და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი, დამრღვევ მძღოლს მართვის უფლება 2 წლის ნაცვლად 1 წლის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 500 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

აგრეთვე, მცირდება 125-ე მუხლის მე-72 ნაწილით განმეორებით ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის 200 ლარიანი ჯარიმა და მისი ოდენობა 100 ლარი იქნება. ჯარიმის და საურავის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში კი, 2 წლის ნაცვლად, მართვის უფლება 1 წლის ვადით ჩამოერთმევა, ხოლო ჩამორთმეული მართვის უფლების შეცვლა 1500 ლარიანი ჯარიმის ნაცვლად, 1000 ლარიანი ადმინისტრაციული ჯარიმით იქნება შესაძლებელი.

ასევე განახევრდა 116-ე, 117-ე, 1181-ე, 1182-ე, 1183-ე, 119-ე, 120-ე, 121-ე, 123-ე, 125-ე, 127-ე და 1271-ე მუხლებით დადგენილი ჯარიმების და საურავების გადაუხდელობის შემთხვევაში მართვის უფლების ჩამორთმევის ვადები და ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის თანხები, კერძოდ – ამ მუხლებით გათვალისწინებულ სამართალდარღვევათა ჩადენისთვის ჯარიმის და საურავის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს მართვის უფლება 1 წლის ნაცვლად 6 თვით ჩამოერთმევა, ხოლო 2 წლის ნაცვლად – 1 წლით. ჩამორთმეული მართვის უფლების ჯარიმით შეცვლის შემთხვევაში, თუ მართვის უფლება 6 თვით არის ჩამორთმეული, ჯარიმის ოდენობა 1000 ლარის ნაცვლად 500 ლარი იქნება, ხოლო 1 წლით ჩამორთმევის შემთხვევაში 1500 ლარის ნაცვლად – 1000 ლარი.

ნიუსპრესი

# ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით პარიზში გაემგზავრა



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით საფრანგეთის რესპუბლიკაში გაემგზავრა.

შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია შეხვედრა საფრანგეთის რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრ მანუელ ვალსთან. შეხვედრაზე მხარეები ორმხრივი თანამშრომლობის საკითხებს და სამომავლო გეგმებს განიხილავენ.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ასევე იგეგმება საფრანგეთსა და საქართველოს შორის ცირკულარული მიგრაციის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერა. აღნიშნული ხელშეკრულება ხელს შეუწყობს ლეგალურ მიგრაციას და საფრანგეთში საქართველოს მოქალაქეების დასაქმების დამატებით შესაძლებლობებს უზრუნველყოფს. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პერსპექტივების შესახებ ინფორმაციის გაცვლის მიზნით, ირაკლი ღარიბაშვილი ევროპული საქმეების მინისტრ ტიერი რეპენტინს შეხვდება. შეხვედრის ფარგლებში მინისტრები საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული თანამშრომლობის ჩარჩოებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და სამომავლო გეგმებს განიხილავენ. ასევე, მინისტრი ფრანგ კოლეგებს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებას გააცნობს.

ნიუსპრესი

# შეიარაღებული ძალები პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის ემზადებიან

საქართველოს შეიარაღებული ძალები პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონიალისთვის აქტიურ მზადებას გადიან. თავდაცვის სამინისტროს ცნობით, საზეიმო ცერემონიალზე სამხედრო ძალების ფაქტიურად ყველა კომპონენტი მიიღებს მონაწილეობას. ინაუგურაციაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ოფიცრებით დაკომპლექტებული ოცეული, ავიაციისა და საზღვაო ძალების სანაპირო დაცვის, ასევე სპეციალური დანიშნულების ძალების, დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის, კადეტთა სამხედრო ლიცეუმის, ეროვნული გვარდიის, საწყისი საბრძოლო მომზადების ცენტრის სერჟანტთა და III ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეებით დაკომპლექტებული ავღანეთის კოლოფები იქნება წარმოდგენილი. თითოეულ ქვედანაყოფს მედროშე და მეთაური წარადგენს.

ინაუგურაციის რეპეტიციას გუშინ, სამუშაო ჯგუფის წევრები დაესწრნენ და ადგილზე გაეცნენ სამხედრო ძალების ინაუგურაციისთვის მზადების პროცესს. რეპეტიციის დასრულების შემდეგ, სამუშაო ჯგუფის წევრებმა შეხვედრა გამართეს და საბოლოო დეტალები შეათანხმეს.

მედიანიუსი

# მაია ფანჯიკიძე საქართველოში მონარქიული წყობის აღდგენის წინააღმდეგია

## „პრეზიდენტის ინაუგურაციაზე 2-3 ქვეყნის პრეზიდენტს ველით“

ნათია ხურცილავა

17 ნოემბერს პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, რომელიც ყოფილი პარლამენტის შენობის ეზოში გაიმართება, 30-მდე ქვეყნის დელეგაცია დაესწრება. უკვე ცნობილია, რომ ორი სამი ქვეყნის პრეზიდენტი მიიღებს ინაუგურაციაში მონაწილეობას.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გადაწყვეტილია, ინაუგურაციას მოლდოვას პრეზიდენტი დაესწრება და ასევე, განიხილება ლიტვის პრეზიდენტის ჩამოსვლის საკითხიც.

საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, სავარაუდოდ, დღეს გახდება ცნობილი სტუმრების რაოდენობა და ასევე ის, თუ ვინ დაესწრება მარგველაშვილის ინაუგურაციას ამერიკის შეერთებული შტატებიდან.

რუსეთის ფედერაციასთან დაკავშირებით ცნობილია, რომ საქართველო რუსეთიდან სტუმრებს არ ელოდება. ფანჯიკიძემ კიდევ ერთხელ განმარტა, რომ ამ ქვეყანასთან დაკავშირებით არაფერი შეცვლილა და რადგან მასთან საქართველოს დიპლომატიური ურთიერთობა არ აქვს, შესაბამისად, რუსეთში არც მოსაწვევი გაგზავნილა.



— 30-მდე დელეგაციიდან მეტნაკლებად დაზუსტებული პასუხი გვაქვს. ველით 2-3 ქვეყნის პრეზიდენტს, ზოგ ქვეყნიდან – პარლამენტის თავმჯდომარეს, ზოგ ქვეყნიდან – საგარეო საქმეთა მინისტრებს, ზოგ ქვეყნიდან – ეკონომიკური გუნდის მინისტრებს, ზოგ ქვეყნიდან კი ორი მინისტრი ჩამოვა. შერჩევა მოხდა იმის მიხედვით, თუ რომელ ქვეყანას, რომელი სფერო აინტერესებს. მაგალითად, ეკონომიკური გუნდის მინისტრი ჩამოვა თურქეთიდან, ორი მინისტრი სომხეთიდან, რუმინეთიდან პარლამენტის თავმჯდომარე, იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ჰოლანდიიდან სახელმწიფო მინისტრი, მოლდოვას პრეზიდენტი და ა.შ. სავარაუდოდ, დღეს გვეცოდინება სტუმრების რაოდენობა და ხვალ გვეცოდინება, ვინ დაესწრება ინაუგურაციას ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ვიცით, რომ იქნება მაღალი დონის სტუმარი, თუმცა ვინაობის დასახელებისგან ამ ეტაპზე თავს შევიკავებ. ასევე განიხილება ლიტვის პრეზიდენტის ჩამოსვლის საკითხი, ინაუგურაციას ეუთო-ს გენერალური მდივანი დაესწრება, ისრაელიდან ჩამოდის პარლამენტის სპიკერი, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

პირველი საერთაშორისო მაღალი დონის ვიზიტი გიორგი მარგველაშვილს ვილნიუსში ექნება სამიტის ფარგლებში. სწორედ ვილნიუსში, სამიტის პარალელურად, პრეზიდენტი ორმხრივ შეხვედრებს გამართავს თავის უცხოელ კოლეგებთან. უკვე ცნობილია, რომ მარგველაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტს ფრანსუა ოლანდს შეხვდება და ასევე ვილნიუსის სამიტის ფარგლებში ლიტვის, როგორც მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტს.

— ორმხრივი შეხვედრა იქნება, პირველ რიგში, ლიტვის პრეზიდენტთან, როგორც მასპინძელი ქვეყნის პრეზიდენტთან. ასევე დადასტურებულია, რომ შეხვედრა იქნება საფრანგეთის პრეზიდენტთან ფრანსუა ოლანდთან. თვითონ ევროკავშირის ქვეყნების მხრიდან ყველა ქვეყანას გადაწყვეტილი არ აქვს, თუ ვინ იქნება დელეგაციის ხელმძღვანელი. ზოგიერთი ქვეყნიდან ეს არის პრეზიდენტი, ზოგიდან კი – პრემიერ-მინისტრი. ჩვენ დადასტურებულ სიებს, ალბათ, ამ კვირის ბოლოს მივიღებთ და ამის შემდეგ შევძლებთ შეხვედრების დაგეგმვასა და ორგანიზებას, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც ჟურნალისტებთან შეხვედრაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა, სოჭის ოლიმპიადაა.

გაირკვა, რომ სოჭის ოლიმპიადაზე ოფიციალური დელეგაციის გამგზავრების გადაწყვეტილება მიღებული არ არის. როგორც საგარეო უწყების ხელმძღვანელმა განაცხადა, პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ, რეგულარულ რეჟიმში გაიმართება კონსულტაციები, რომელზეც ახლად არჩეული პრეზიდენტის ყველა ვიზიტი დაიგეგმება.

აღნიშნულ საკითხზე რუსეთის პირველი არხისთვის მიცემულ ინტერვიუში მარგველაშვილმა ისაუბრა. მისი განცხადებით, სოჭის ოლიმპიადაზე გამგზავრების საკითხი გუნდის შიგნით განიხილება.

— ოლიმპიადაზე ოფიციალური დელეგაციის გამგზავრების გადაწყვეტილება მიღებული არ არის. იყო რაღაც გაუგებრობა, სიტუაციის გართულება რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობის მხრივ, რაზეც მთავრობის სახელით გავაკეთეთ განცხადება, რომ თუკი ყველაფერი ისე იქნებოდა, როგორც წარმოგვედგინა, ჩვენი სპორტული გუნდი ოლიმპიადაზე გაემგზავრებოდა, მაგრამ თუ იქნებოდა შეურაცხმყოფელი ქმედებები, ეს საკითხი გადაისინჯებოდა. ახლა არანაირი საფუძველი არ გვაქვს, რომ ეს საკითხი გავააქტიუროთ. პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ გვექნება რეგულარულ რეჟიმში კონსულტაციები და ამ ფორმატში ახლად არჩეული პრეზიდენტისთვის ყველა ვიზიტი დაიგეგმება. – აღნიშნავს ფანჯიკიძე.

პრესასთან შეხვედრაზე საგარეო უწყების ხელმძღვანელმა ვრცლად ვილნიუსის სამიტზე ისაუბრა.

ჯერ ისევ უცნობია ვილნიუსის სამიტისათვის საქართველოს დელეგაციის შემადგენლობა. ცნობილია, რომ დელეგაციას საქართველოს პრეზიდენტი უხელმძღვანელებს.

ასევე ცნობილია, რომ დელეგაცია დაკომპლექტდება ფორმულით: 1+2+5.

ფანჯიკიძის განმარტებით, ამ 2-დან ერთი თავად, ხოლო მეორე ევროინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი იქნება. რაც შეეხება დანარჩენ 5 ადამიანს, მათგან ერთ-ერთი საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანი იქნება. სწორედ ის არის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით მთავარი მომლაპარაკებელი და სათანადო ტექსტის პარაფირებასაც ის მოახდენს.

ფანჯიკიძის ინფორმაციით, ტექსტი 1000 გვერდისაგან შედგება და თითო გვერდზე ხელმოწერა სათითაოდ უნდა გაკეთდეს, ამ პროცედურას დაახლოებით 3 საათი დასჭირდება. ხელმოწერას უშუალოდ დავით ზალკალიანი განახორციელებს.

დელეგაციაში ასევე იქნება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე პაპუნა ჯანელიძე.



— ვეცდებით, რომ დელეგაციაში ის ადამიანები მოხვდნენ, რომლებმაც ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების მომზადებაში დიდი შრომა გასწიეს. მათი რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას დელეგაციის შემადგენლობისათვის დადგენილი კვორუმი ითვალისწინებს, – ამბობს ფანჯიკიძე და იქვე განმარტავს, რომ ეს საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის.

მინისტრის განმარტებით, საქართველო და ევროკავშირი მუშაობს ასოცირების ხელშეკრულების შემოკლებული ვარიანტის შემუშავებაზე, რომელიც ქართულ ენაზე ითარგმნება, რათა საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

მისივე თქმით, საჯარო იქნება ასოცირების ხელშეკრულების დიდი დოკუმენტიც, თუმცა მინისტრს მიაჩნია, რომ ეს დოკუმენტი სპეციალისტების გარდა, შესაძლოა, საზოგადოებისთვისაც რთულად წასაკითხი აღმოჩნდეს.

არაერთი ექსპერტი აცხადებს, რომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების კუთხით საქართველო უკრაინას ჩამორჩება. არადა, თავის დროზე საქართველომ და უკრაინამ მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ ერთდროულად დაიწყო.

ჩვენი კითხვის პასუხად, საგარეო საქმეთა მინისტრი აცხადებს, რომ უკრაინა დოკუმენტის ხელმოწერას მოახდენს ვილნიუსის სამიტზე.

— უკრაინა, სავარაუდოდ, ხელშეკრულების ხელმოწერას მოახდენს. ჩვენ ხელმოწერას სექტემბრის პირველ ნახევარში ველით, რაც რეკორდული დროა. ხელშეკრულება ევროკავშირის ყველა ენაზე უნდა ითარგმნოს. უნდა მოხდეს მისი იურიდიული დამუშავება სხვა მრავალ ტექნიკურ პროცედურასთან ერთად. ამიტომ ვამბობ, რომ რეკორდული დროა. უკრაინა ამ პროცესს უკვე ორი წელია, რაც გადის, – აცხადებს ფანჯიკიძე.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მინისტრმა ისაუბრა, ეუთოს მისიის აღდგენის შესაძლებლობებია. თუმცა, მისი განმარტებით, ძიება მიმდინარეობს ფორმებზე, რომ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა არ შეილახოს.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა მაია ფანჯიკიძემ განაცხადა, ამ ეტაპზე ეუთოს მისიის აღდგენის კონკრეტული ფორმულა არ არის, თუმცა კონსულტაციები გრძელდება.

— ეუთოს მისიის აღდგენა სწორედ იმიტომაა პრობლემური, რომ მისი წევრი გახლავთ რუსეთი და, შესაბამისად, ეუთოს მისიის აღდგენა რუსეთის ვეტოს აწყდება. გიორგი მარგველაშვილის ინაუგურაციაზე ეუთოს გენერალური მდივანი ჩამოდის. მას ჩვენთან აქტიური კოორდინაცია აქვს. ვხვდებით მსჯელობთ, თუმცა ჯერჯერობით ჩამოყალიბებული გადაწყვეტილება არ გვაქვს. ვეძებთ ისეთ ფორმას, რომ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა არ შეილახოს და ამავდროულად, ეუთო-ს შიგნით ამ საკითხზე კონსენსუსი მოხერხდეს. რა ფორმითაც ვცდილობთ, რომ აღდგეს, ეს იოლი საქმე არ არის, თუმცა კონსულტაციები გრძელდება. ამ ეტაპზე კონკრეტულ ფორმულას ვერ შემოგთავაზებთ, – განაცხადა მაია ფანჯიკიძემ.

მაია ფანჯიკიძემ როგორც ამ ქვეყნის მოქალაქემ, თავისი პოზიცია დააფიქსირა ბოლო დროს აქტუალურ საკითხზე – უნდა აღდგეს თუ არა მონარქია?

ფანჯიკიძე საქართველოში მონარქიული წყობის აღდგენის წინააღმდეგია.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა, მას, როგორც მოქალაქეს, მიაჩნია, რომ მმართველობის ის ფორმა, რაც დღეს საქართველოშია, ქვეყნისთვის კარგია.

— ალბათ, ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი მსჯელობა

გაგრძელება მე-6 გვერდზე

# თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი მსოფლიოში საუკეთესოდ აღიარეს

**ამერიკის ქალაქ ნიუ იორკში გამართულ ჟურნალ „გლობალ ფაინანსეს“ ყოველწლიურ დაჯილდოებაზე, თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი, როგორც „მსოფლიოში საუკეთესო კომუნალური გადასახადების სისტემის მქონე ინტერნეტ ბანკი“, დასახელდა. ეს არ იყო ერთადერთი ჯილდო — თიბისი ბანკმა მეორე ნომინაციაშიც გაიმარჯვა — „მსოფლიოში საუკეთესო ინტეგრირებული ვებგვერდი“. თიბისი ბანკის ორივე ჯილდო ცერემონიაზე საზეიმოდ გადაეცა ბანკის საცალო ბიზნესის დირექტორის მოადგილეს, ვაჟა ბერიაშვილს.**



ეს ფაქტი იმით არის აღსანიშნავი, რომ მსგავსი აღიარება დღემდე არც ერთ ქართულ ბანკს არ ჰქონია. „გლობალ ფაინანსეს“ ინტერნეტ ბანკის ჯილდო ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ჯილდოა მსოფლიოში და 14 წელია მთელი მსოფლიოს მასშტაბით ონლაინ საბანკო სერვისების წამყვან საუკეთესო პროვაიდერებს ავლენს.

დღემდე თიბისი ბანკის ინტერნეტ და მობაილ ბანკს 9 საერთაშორისო ჯილდო აქვს მიღებული. ცოტა ხნის წინ, იმავე „გლობალ ფაინანსმა“ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესოდ აღიარა შემდეგ ნომინაციებში:

საუკეთესო სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი საქართველოში (2012;2013);

საუკეთესო კომუნალური გადახდების სისტემა ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (2013);

საუკეთესო ინტეგრირებული სამომხმარებლო ინტერნეტ ბანკი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში (2012, 2013);

არანაკლები წარმატება ხვდა იურიდიული პირებისთვის განკუთვნილ ინტერნეტ ბანკსაც:

საქართველოში საუკეთესო ინტერნეტ ბანკი იურიდიული პირებისთვის (2013);

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში საუკეთესო ინტეგრირებული ვებგვერდი;

სწორედ ამიტომ, როგორც ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის საუკეთესო ონლაინ სერვისი იქნა წარდგენილი თიბისი ბანკი „გლობალ ფაინანსის“ დაჯილდოებაზე, სადაც 250 ბანკი იღებდა მონაწილეობას.

**ვახტანგ ბუცხრიკიძე, თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი:**

— ჩვენთვის დიდი პატივია მივიღოთ ასეთი პრესტიჟული ჯილდო მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გამოცემისგან. ეს წარმატება ნიშნავს, რომ თიბისი ბანკმა არა მარტო რეგიონში გამორჩეული ინტერნეტ ბანკი შექმნა, არამედ ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოს მასშტაბითაც. ეს კიდევ უფრო მეტ სტიმულს გვაძლევს, შევინარჩუნოთ პირველობა ბაზარზე პროგრესისა და ინოვაციის თვალსაზრისით.

**ვაჟა ბერიაშვილი:**

— ვამაყობთ, რომ პირველებმა შევძელით მსოფლიო აღიარება საქართველოდან. ჩვენს ქვეყანაში, აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში ჯილდოები გვქონდა, მაგრამ უკვე მსოფლიოს მასშტაბითაც გვაღიარეს. მადლობა ჩვენს გუნდს და იმ ასი ათასობით კლიენტს, რომლებმაც დიდი დახმარება გაგვიწიეს ამ კუთხით.

თიბისი ბანკმა ინტერნეტ ბანკი ბაზარზე პირველმა, 2001 წელს დანერგა და ქართველი მომხმარებლისთვის ინოვაციას წარმოადგენდა. 2012 წელს დაინერგა განახლებული და გაუმჯობესებული ინტერნეტ ბანკი, რის შემდეგ სერვისის მომხმარებელთა რაოდენობა 5-ჯერ გაიზარდა და დღითიდღე მატულობს. ამის მიზეზია ის დახვეწილი საბანკო პროდუქცია, რომელიც მომხმარებელს საშუალებას აძლევს, სახლიდან გაუსვლელად განახორციელოს ნებისმიერი საბანკო ოპერაცია.

გარდა იმისა, რომ თიბისი ბანკის ინტერნეტ ბანკი მომხმარებელს აძლევს საშუალებას, სრულად აკონტროლოს პირადი საბანკო ანგარიშები, მას აქვს დამატებითი ფუნქციებიც. მაგალითად, მომხმარებელს შეუძლია შეაფასოს მისი ფინანსური მდგომარეობა, დათვალოს ხარჯებისა და შემოსავლების თანაფარდობა, მიიღოს უამრავი ფინანსური და საბანკო ინფორმაცია.

რაც შეეხება იურიდიული პირებისთვის განკუთვნილ ინტერნეტ ბანკს: ეს პროდუქტი განახლებული სახით თიბისი ბანკმა გრძელვადიანი კვლევებისა და კონსულტაციების შემდეგ 2013 წლის მაისში დანერგა. იურიდიული პირების ინტერნეტ ბანკს აქვს ყველა ის ფუნქცია, რაც ფიზიკური პირებისთვის განკუთვნილ ინტერნეტ ბანკს და მთლიანად მორგებულია ბანკის კორპორატიული კლიენტების მოთხოვნებზე.

სადღეისოდ, თიბისი ბანკის იურიდიული პირების ინტერნეტ ბანკის მომხმარებელთა რაოდენობა მთლიანი კორპორატიული კლიენტების 36 პროცენტს შეადგენს, რაც ასევე დინამიურად ზრდის მაჩვენებელია.

# ქონებრივი დეკლარაცია ოჯახებმაც უნდა შეავსონ

მერი ნამორაძე

დემოგრაფები საქართველოში ოჯახების ტრანსფორმაცია-მოდერნიზაციის პროცესით დაინტერესდნენ. კერძოდ იმით, თუ როგორია თანამედროვე ქართული ოჯახების ეკონომიური მდგომარეობა, თაობათა შორის ურთიერთობა და ასე შემდეგ. ამჯერად ოჯახების შემოსავალზე შევჩერდებით, რომელიც დემოგრაფთა გასაკვირად, სულაც არ აღმოჩნდა მიზერული.

რადგან დემოგრაფები სრულიად საქართველოს ვერ გაწვდნენ, კვლევა სამ ქალაქში – თბილისში, ქუთაისსა და კასპში ჩატარდა. ქალაქებიც სიდიდის მიხედვით შეირჩა – დიდი, საშუალო და პატარა ქალაქის 1200 ოჯახი იქნა გამოკითხული. როგორც დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარემ, ავთანდილ სულაბერიძემ „ახალ თაობასთან" საუბრისას აღნიშნა, ყველაზე მეტი რესპონდენტი – 600 ადამიანი თბილისში გამოიკითხა; ქუთაისში – 400; კასპში – 200. გამოკითხულთა საშუალო ასაკმა 33,7 წელი შეადგინა. რესპონდენტთა 54 პროცენტი ქალბატონი იყო, უმაღლესი განათლება გამოკითხულთა 51%-ს გააჩნდა, სრული საშუალო განათლება – 31%-ს; ტექნიკური კი – 10 პროცენტს.

**ავთანდილ სულაბერიძე:**

– საინტერესო შედეგები მივიღეთ. სიღარიბის მქონე ქვეყანაა ხომ ჩვენი ქვეყანა. ოჯახის წევრს ვეკითხებოდით, რამდენს შეადგენდა მათი ოჯახის საშუალო თვიური შემოსავალი. ანუ მას უნდა შეეკრიბა მთლიანი შემოსავალი და ასეთი სურათი მივიღეთ: თბილისში გამოვიდა 1089 ლარი, ქუთაისში – 675 ლარი, კასპში – 685 და ამ სამი ქალაქიდან გამომდინარე, საშუალოდ გამოვიდა 883 ლარი. 47%-მა დაასახელა 500-დან 2000 ლარამდე ოჯახის შემოსავალი და 3000-ზე მეტი – 1,2%-მა.

***– ელოდით ასეთ შედეგებს, ბატონო ავთანდილ?***

– სიმართლე გითხრათ, არ ველოდი. დეკლარაციით რომ გაგვეკეთებინა, სხვა იქნებოდა, მაგრამ ეს არის შეფასება და პიროვნებას რომ ეკითხები, რამდენია თქვენი შემოსავალი, როგორც წესი, ხშირად ამცირებს. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ შეიძლება მეტიც არის.

***– ეს რესპონდენტები მიიჩნევდნენ საკუთარ თავს სოციალურად დაცულად თუ პირიქით?***

– ყველაზე მაღალ პროცენტში თვიური შემოსავლები იყო 500-დან 1000 ლარამდე. დაკმაყოფილება რომ შევადარეთ, გამოვიდა, რომ ოჯახს ვერ უზრუნველყოფს 500 ლარი და თავისუფლად ყოფნის ოჯახს 2000 ლარიანი შემოსავალი. გავიანგარიშეთ ოჯახის ერთ სულზე საშუალო შემოსავალი. თბილისში ერთ სულზე შემოსავალი აღმოჩნდა 298 ლარი, ქუთაისში – 190; კასპში 174. სულ, საშუალოდ ერთ სულზე, გამოდის 241 ლარი. რაც პრაქტიკულად საარსებო მინიმუმის ოდენობაა.

***– როგორც ჩანს, ამ კვლევაში ვერ მოხვდნენ სოციალურად დაუცველი ოჯახები.***

–არა, ჩვენი მიზანი არ იყო სოციალურად დაუცველთა მოხვედრა ამ კვლევაში. შერჩევა სქესობრივ-ასაკობრივ ჭრილში გავაკეთეთ. ჩვენ ამავე დროს ქორწინებითი მდგომარეობის მიხედვით შევისწავლეთ შემოსავლები. გამოვიდა, რომ დაქორწინებული ოჯახის შემოსავალი შეფასებულია 855 ლარად თვეში. არასდროს რომ არ იმყოფებოდა ქორწინებაში, მათ 942 ლარად შეაფასეს შემოსავალი. განქორწინებულმა – 910 ლარად, ქვრივმა – 674 ლარი.



შემოსავლების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები დაასახელეს 25– 29 და 35-39 წლის პიროვნებებმა. განათლების მიხედვით თუ განვიხილავთ შემოსავლებს, ყველაზე მაღალი – 1068 ლარის შემოსავალი უმაღლესი და უფრო მაღალი განათლების მქონე პირებს აღმოაჩნდათ, შემდეგ მოდის სრული საშუალი განათლების მქონე პირები, რომელთა საშუალო შემოსავალი 757 ლარია. შემდეგ მოდის ტექნიკური და არასრული საშუალო განათლება საშუალოდ 581 ლარიანი შემოსავლით.

რაც შეეხება დასაქმების სტატუსს, სტუდენტები თვლიან, რომ მათი ოჯახის საშუალო შემოსავალი თვეში არის 956 ლარი. დასაქმებული თვლის, რომ არის 1128; თვითდასაქმებული – 851. ბიზნესმენი და მეწარმე თვლის, რომ მისი ოჯახის საშუალო შემოსავალი 1334 ლარია.

***– რამდენი პროცენტი შეადგინა გამოკითხულთა შორის ბიზნესის მქონე ოჯახმა?***

– გამოკითხულთა შორის ასეთი 1,2 პროცენტი აღმოჩნდა. უმუშევარი მიიჩნევს, რომ ოჯახის საშუალო შემოსავალი 562 ლარია. დიასახლისი თვლის 760 ლარს. პენსიონერი კი – 426 ლარს.

ოჯახის წევრების რაოდენობაზე თუ ვისაუბრებთ, ერთწევრიანი ოჯახი, ანუ მარტოხელა მიიჩნევს, რომ მისი შემოსავალი საშუალოდ შეადგენს 574 ლარს. ორსულიანი ოჯახის შემოსავალი საშუალოდ 772 ლარია. სამი და მეტსულიანი ოჯახის შემოსავალი შეადგენს 1003 ლარს. როგორც ხედავთ, ოჯახის წევრთა ზრდის მიხედვით შემოსავალი იზრდება და 574-დან 1000 ლარამდე მერყეობს.

***– დაინტერესდით ოჯახის შემოსავლის წყაროებით?***

– რა თქმა უნდა? ვთხოვეთ დაესახელებინათ შემოსავლის წყარო. ძირითადი წყარო, 68%-ში, როგორც ირკვევა, არის ხელფასი. შემდეგ მოდის სოფლის მეურნეობის პროდუქტები ნატურის სახით. მერე მოყვება ბიზნესი, ანუ თვითდასაქმებული თავს მიიჩნევს მცირე საქმოსნად. უძრავი ქონების გაქირავება – 5%-ში; გზავნილები საზღვარგარეთიდან – 14%. ოჯახის შემოსავლების წყაროა პენსიაც. სახელმწიფო დახმარება შემოსავლებში დააფიქსირა 6,5%-მა.

ოჯახის საერთო შემოსავლებში ხელფასს პირველ ადგილზე აყენებს 25-29 წლის და 35-39 წლის ქალები. ამავე ასაკის მამაკაცები მიიჩნევენ, რომ ოჯახში ძირითადი შემოსავალი ბიზნესიდან შემოდის.

***– თქვენ მიერ გამოკითხულ ოჯახებში მარჩენლად მამაკაცი მიიჩნეოდა თუ ქალი?***

– მამაკაცი რჩება ძირითად შემომტანად. ამავე დროს, ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტაში ყველა ერთობლივად ღებულობს მონაწილეობას. აი, ასეთი ტრანსფორმაციული მომენტები შეინიშნება ჩვენს ოჯახებში. მე არ ველოდი ასეთ მონაცემებს და სიტუაციას რომ ვაკვირდები, საბჭოთა კავშირის დროინდელი ანიკდოტი მახსენდება: რომ საბჭოთა კავშირში ყველა დასაქმებულია და ამ დროს არავინ მუშაობს. არავინ მუშაობს და ყველას შემოსავალი აქვს. ყველას შემოსავალი აქვს და ყველა უკმაყოფილოა. ყველა უკმაყოფილოა და ყველა ხმას აძლევს ერთხმად. ჩვენთან ყველა უკმაყოფილოა, შემოსავლები კი აქვთ. აქედან გამოდის, რომ აღურიცხავია ჩვენი ოჯახების შემოსავლები და დეკლარაციული სისტემის შემოტანის შემთხვევაში, სოციალური დაცვის მექანიზმი უფრო დახვეწილი გახდება. ანუ, ოჯახში დამალული შემოსავლები გამოვლინდება და აღარ დავიწყებთ ქულების წერას იმით, რომ ვიღაცას ტელევიზორი აქვს ან არ აქვს და ასე შემდეგ. მერე უკვე შესაძლებელი ხდება, რაღაც ზღვარი დაწესდეს საარსებო მინიმუმამდე 20% დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახებისთვის და ასე შემდეგ. ეს ასე უცებ არ მოხდება. პირველ რიგში, საზოგადოებრივი აზრის მომწიფება სჭირდება, რომ კეთილდღეობა თუ უნდა, შეავსოს დეკლარაცია, არ დამალოს შემოსავლები, ეს ევროპაში დანერგილია. როგორც თანამდებობის პირები ავსებენ დეკლარაციას, ასევე ოჯახმა უნდა მიიტანოს შესაბამის ორგანოში ოჯახის დეკლარაცია. შემდეგ მოხდება ოჯახის ეკონომიკური ზრდის თუ შემცირების შეფასება. ჩვენ ვიძახით, ღარიბები ვართო და გადახედეთ, ღარიბ ქვეყანაში რამდენი მანქანა დადის. ესეც ფაქტია, რომ ჩვენ არ ვართ იმ სიღატაკის მქონე ქვეყანა, როგორადაც თავს წარმოვაჩენთ და თავს ვიტყუებთ.

# მაია ფანჯიკიძე საქართველოში მონარქიული წყობის აღდგენის წინააღმდეგია

დასაწყისი მე-5 გვერდზე

უნდა გაიმართოს და მსჯელობის გარეშე არანაირი გადაწყვეტილება მიღებული არ უნდა იყოს. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც ამჟამად მონარქიაა, ამ წყობის ყოფნა-არყოფნაზე საზოგადოება მსჯელობს. მონარქია ევროკავშირის წევრობას ხელს არ უშლის. ბევრი ევროპული ქვეყანა კონსტიტუციური მონარქიაა. ეს ორი თემა ერთმანეთთან კავშირში არ არის, მე პირადად შემიძლია გითხრათ, რომ ყველანაირი მსგავსი ცვლილების წინააღმდეგი ვარ. მიმაჩნია, რომ ის ფორმა, რა ფორმითაც ახლა მივდივართ და ის კონსტიტუცია, რაც გვაქვს, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან კარგია და ასე უნდა გავაგრძელოთ სვლა. ეს ჩემი პირადი აზრია, როგორც მოქალაქის, მაგრამ საერთოდ, ყველა ასეთ საკითხზე, მიმაჩნია, რომ საზოგადოებაში მსჯელობა უნდა არსებობდეს, თუკი ეს საკითხი სერიოზული განხილვის ღირსია, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

კიდევ ერთი საკითხი: იგეგმება თუ არა ვილნიუსის სამიტის შემდეგ მინისტრთა კაბინეტში ცვლილება? ამ კითხვის პასუხად ფანჯიკიძე აცხადებს:

– მთავრობის ახალი შემადგენლობა სტაბილური იქნება და არ შეიცვლება.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრმა ჟურნალისტებს განუცხადა, ახალ პრემიერ-მინისტრს შესწევს იმდენი ძალა, უნარი და კომპეტენცია, რომ სამთავრობო რაიმე ცვლილება ახლა განახორციელოს და მთავრობის საქმიანობა მოსახლეობისა და საერთაშორისო პარტნიორებისთვის სასაცილო არ გახადოს.

– ვფიქრობ, ამ მთავრობამ დაამტკიცა, რომ იგი სერიოზული მთავრობაა და, შესაბამისად, ორ-სამ კვირაში შემადგენლობას არ ცვლის. ის შემადგენლობა, რომელიც მომავალ კვირაში დამტკიცდება და ეს მოხდება ვილნიუსამდე, ანუ ინაუგურაციიდან რამდენიმე დღეში, იქნება სტაბილური მთავრობა, რომელიც არ შეიცვლება. რამე რომ იყოს შესაცვლელი, იმდენი ძალა, უნარი, კომპეტენცია შესწევს მომავალ პრემიერ-მინისტრს, რომ მან ეს ცვლილება ახლა განახორციელოს და მთავრობის საქმიანობა, მოსახლეობისა და ჩვენი საერთაშორისო პარტნიორებისთვის სასაცილო არ გახადოს. ასე რომ, თუკი მინისტრთა კაბინეტში რაიმე ცვლილება იქნება, ის განხორციელდება ახლა, ეს იქნება ახალი კაბინეტის წარდგენიდან და არა ვილნიუსიდან ორი კვირის მერე, – განაცხადა ფანჯიკიძემ.

# რექტორმა არ გაწირა თავისი სტუდენტები და უნივერსიტეტი

ბათუმის უნივერსიტეტი ოდითგანვე ეხმიანებოდა ქვეყანაში და დედაქალაქში განვითარებულ ეროვნულ მოვლენებს. ასე იყო 2007 წლის 8 ნოემბერსაც, როცა უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა გამართა საპროტესტო აქცია უნივერსიტეტის ზღვისპირა ქუჩაზე, წინა დღის თბილისის მოვლენების დასაგმობად. სამწუხაროდ, სტუდენტების და პროფესორ-მასწავლებლების სამართლიან შეფასებებს მოჰყვა ხელისუფლების არაადეკვატური მოქმედება-სპეცრაზმის შემოყვანა უნივერსიტეტში. მდგომარეობის განმუხტვის მიზნით ყოფილმა რექტორმა ვ.ბალაძემ სტუდენტებს თხოვა უნივერსიტეტის ეზოში შესვლა. მათ შეასრულეს თხოვნა. ყველას უხაროდა, რომ სტუდენტები ისმენდნენ რექტორის და მისი კოლეგების ხვეწნა– მუდარას. ნორმალიზებული სიტუაციის მიუხედავად, სპეცრაზმი შემოიჭრა უნივერსიტეტის ეზოში. რექტორის და პროფესორ-მასწავლებლების კატეგორიული მოთხოვნის და წინააღმდეგობის მიუხედავად, ისინი არ ტოვებდნენ უნივერსიტეტს და მოქმედებდნენ მთელი სისასტიკით, უმოწყალოდ სცემდნენ სტუდენტებს, და მათ აუდიტორიებშიც კი შეყვნენ. სადამსჯელო ოპერაციას, რომელიც გაიმართა ქვეყნის მთელი მოსახლეობის და,კერძოდ,უნივერსიტეტის დასაშინებლად, მოჰყვა საზოგადოების აღშფოთება. ჩატარდა ვანდალური დარბევა, რომლის საჭიროება არ იყო. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე დაგმობილი იქნა ხელისუფლების მოქმედება,რაც სამწუხაროდ არ გაშუქდა. უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი, მისი შესანიშნავი ახალგაზრდა თაობა ყოველთვის იდგა ეროვნულ პოზიციაზე. ამიტომაც სავსებით სამართლიანად ამაყობს ბათუმი იმით,რომ მისი უნივერსიტეტი ეროვნული საგანმანათლებლო კერაა და ის ყოველთვის ასრულებს თავის მისიას.

ჩვენი საზოგადოება,ბათუმის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ– მასწავლებლები მადლიერია ყოფილი რექტორისა და იმ უნივერსიტეტელი პროფესორ-მასწავლებლებისა, ვინც დიდი განსაცდელის ჟამს მათთან ერთად იდგა და არ მიატოვა. რექტორმა და მისმა კოლეგებმა არ მიატოვა სტუდენტები ზოგიერთივით, ვისაც ევალებოდათ უნივერსიტეტში მოსვლა და არ მოვიდნენ , კულისებიდან ადევნებდნენ თვალს და „აფასებდნენ" უნივერსიტეტის ეზოში დატრიალებულ საშინელ ტრაგედიას,არ თანაუგრძნობდნენ მას და მხოლოდ მაშინ გამოჩდნენ, როცა ყველაფერი დამთავრდა.

სამწუხაროა, როცა პიროვნებები მხოლოდ საკუთარი მიზნებიდან და ამბიციებიდან გამომდინარე მოქმედებენ, შემდეგ კი ყველაფერს ივიწყებენ და ადამიანებს წირავენ. რექტორი და მისი კოლეგები, ზოგიერთებისაგან განსხვავებით, წინ აღუდგნენ ჯალათებს. ამ დროს ჩვენ არ გვახსოვს მათი სახეები, ვინც ვალდებული იყო რექტორთან ერთად ეზრუნა უნივერსიტეტის სტუდენტების უსაფრთხოებაზე. რექტორმა არ გაწირა სტუდენტები და არც არასდროს არ გაუწირავს ისინი, რადგან განუწყვეტლივ ზრუნავდა სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდაზე და ფიქრობდა მათ მომავალზე.მას უნივერსიტეტი და სტუდენტები არც მაშინ მიუტოვებია,როცა ჩვენი ქვეყნის ყველაზე რთულ პერიოდში,1991-2005 წლებში, შეთავსებით მუშაობდა თბილისისა და ბათუმის უნივერსიტეტებში და ზრუნავდა სტუდენტებზე და მათემატიკის ბათუმში განვითარებაზე,აქ ზრდიდა სამეცნიერო კადრებს და არა უცხოეთში,სადაც წასვლის დიდი შანსი ქონდა.გაქცევა და მიტოვება მას არ ჩვევია და არც შეუძლია ,რადგან იცის თავის ქვეყანას ყველაზე მეტად აქ,ბათუმის უნივერსიტეტში სჭირდება. ზოგიერთებს კი სტუდენტები არ ახსოვდათ არც სწავლის დროს, მაშინაც გაწირული ჰყავდათ, და სამწუხაროდ, შემდგომში ისინი დასარბევადაც გაიმეტეს.ისე მართლაც, ჩვენთან ერთად ისინიც რომ ყოფილიყვნენ,ვისაც ევალებოდათ უნივერსიტეტის დაცვა,მაშინ იქნებ აგვეცილებინა ეს უბედურება მოწოდების სიმაღლეზე მდგარი უნივერსიტეტისთვის,რომელიც არ იმსახურებდა ამ შეურაწყოფას,რადგან გამოხატავდა სამართლიან პროტესტს და ყოველთვის ერთგულად ემსახურებოდა თავის ქვეყანას და ქართველ ერს.

რექტორმა სტუდენტები არ მიატოვა დარბევის შემდეგაც და შემოიარა ქალაქის საავადმყოფოები ცუდად გამხდარი სტუდენტების მოსანახულებლად. ჩვენ ვხედავდით როგორი მადლიერები იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები მისი და როგორ გამოხატავდნენ მისდამი პატივისცემას. რექტორმა არც უნივერსიტეტი გაწირა და არ მიატოვა. არ მიატოვა, რადგან ყველაზე მეტად ეს უნდოდათ უნივერსიტეტის გარე მტრებს. იგი უნივერსიტეტში მოსვლის პირველი დღიდანვე აღუდგა მათ და ყოველთვის იდგა უნივერსიტეტის ინტერესების დასაცავად. ბევრი რომ არ ჩამოვთვალოთ, საკმარისია იმის გახსენება, რომ რექტორმა აამოქმედა სასაწავლო და სამეცნიერო პროცესების მართვის ეფექტური სისტემა, შეინარჩუნა მედიცინის მიმართულება, არ გააუქმა აგრარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სადაც მისი დაჟინებული მოთხოვნით ჩატარდა კონკურსი აკადემიურ თანამდებობებზე ობიექტიური და სამართლიანი კრიტერიუმის შესაბამისად და ამით მოხსნა მრავალი პრობლემა. გარდა ამისა,იგი მუდმივად მხარს უჭერდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს და ცდილობდა მათი სამეცნიერო პოტენციალის, ტექნიკური და მატერიალური რესურსების შენარჩუნებას, წინ აღუდგა არსებული საუნივერსიტეტო საფაკულტეტო მოდელისაგან განსხვავებული, მიუღებელი მოდელის შემოთავაზებას და იბრძოდა უკეთესი მოდელის ამოქმედებისთვის. დაჟინებული მოთხოვნის მიუხედავად, არ გააუქმა აკადემიურ დეპარტამენტებში მის მიერ შექმნილი პროგრამული მიმართულებები, რაც დეპარტამენტების თვითმართვად და თვითრეგულირებად ერთეულებად ჩამოყალიბებისათვის და ეფექტურად მართვისა და მუშაობისთვის,პროფესორ-მასწავლებელთა აკადემიური თავისუფლებისთვის და აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსების მიმართულებების მიხედვით ჩატარებისთვის გადადგმულ სწორ და დროულ გადაწყვეტილებად აღიქმებოდა ყველას მიერ. ახლად დანიშნულმა რექტორმა დააფიქსირა ყველა საუნივერსიტეტო ძალასთან თანამშრომლობის და არა პიროვნებების მოცილების სურვილი.გამოხატა მისი მკაცრი პოზიცია, ე.ი.უნივერსიტეტის პოზიცია, და განაცხადა პროტესტი ყველას მიმართ უნივერსიტეტის მისაღები კონტიგენტის რადიკალურად შემცირებისთვის. მის წამოწყებულ პროექტებს წინაღმდეგობას უწევდა საქმეში ჩაუხედავი ხალხი. სამწუხაროდ, მათ კრიტიკას ყველა ვერ ბედავდა. რექტორი კი ბედავდა და არ ღალატობდა მის სტუდენტებს და უნივერსიტეტს. იგი უსმენდა ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას, რომელსაც მოწონდა მისი გუნდის საქმიანობა და მხარს უჭერდა მას. რექტორის წასვლა უნდოდათ მათ, ვინც, აკად. ვ. კილურაძის სამართლიანი და სწორი შეფასებით , მოაწყო ქართული მეცნიერების გენოციდი და არ მოწონდათ, რადგან უსმენდა ქართული მეცნიერების ცნობილ მსახურთ და არა მათ. დაწყებულ საქმეს გაგრძელება სჭირდებოდა. ამას მისგან ითხოვდა ქართული სამეცნიერო ინტელიგენცია და საქართველოს ზღვისპირეთის უპირველესი ეროვნული უნივერსიტეტი-ბათუმის უნივერსიტეტი, რომლის მისიაც და ფუნქციაც ყოფილ რექტორს კარგად ჰქონდა გათავისებული.

...მაგრამ რას იზამ, იმ დროს, როგორც იტყვიან, ძალა აღმართს ხნავდა. რექტორი გაუშვეს და აღისრულეს საწადელი, თუმცა აკადემიური საბჭოს არცერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა მის წასვლას. ძალადობით დაკანონებულ ცვლილებას არასდროს მოუტანია კარგი შედეგი.ამის მრავალი ფაქტი არსებობს.შემდეგ კი,რექტორის წასვლის პირველი დღიდანვე, როგორც ვითარდებოდა საუნივერსიტეტო ცხოვრება ყველამ კარგად იცის.ყველაზე სამწუხარო მაინც იყო უკან გამოწვევა ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრში გადაგზავნილი აკადემიური საბჭოს გაგაწყვეტილებისა– დაემატოს მისაღებ გამოცდებს მეოთხე გამოცდა, იმ მიზნით,რომ მოხდეს სტუდენტთა ჩარიცხვა მიმართულებებში და არა ზოგადად ფაკულტეტზე,რაც საფაკულტეტო ერთწლიანი სწავლების შემდეგ სტუდენტთა მიმართულებებზე გადანაწილებისას ქმნიდა პრობლემებს და ხდებოდა მანკიერი წარსულის უნივერსიტეტში დაბრუნების საფუძველი.ბევრი ვერც ამ და სხვა მიდგომას ვერ აღუდგა წინ, რადგან იმ დროს ძალა აღმართს ხნავდა.რექტორი კი აღუდგა.სწორედ ეს არ მოწონდათ ზოგიერთებს და განიზრახეს მისი დასჯა, რითაც დიდი შეურაწყოფა მიაყენეს უნივერსიტეტს და ქართულ სამეცნიერო საზოგადოებას.

ვისაც უყვარს თავისი ქვეყანა, ის ყოველთვის დგას ჭეშმარიტების გზაზე და არ ცდილობს ახალი რეალობის ბოროტად გამოყენებას. ვიცოდეთ, ყველა იმედით შევყურებთ მომავალს.საყოველთაო შეფასებით პროფ. ვ.ბალაძე იყო და არის ბათუმის უნივერსიტეტის და მისი ახალგაზრდა თაობის ერთგული მსახური, მას მართლაც არ შეეძლო სტუდენტებისა და უნივერსიტეტის ღალატი. საზოგადოება აფასებს ვ.ბალაძის თავდადებას , ფლობს სწორ ინფორმაციას მის შესახებ და თვლის ,იგი იმსახურებს მიყენებული სულიერი და მორალური ტკივილისთვის ბოდიშის მოხდას .ის დასაჯეს,რადგან არ ულალატა უნივერსიტეტის სტუდენტებს და პროფესორ - მასწავლებლებს , შეეწინააღმდეგა არასწორ საუნივერსიტეტო რეფორმას და ბოლომდე ერთგული დარჩა უნივერსიტეტის მიერ არჩეული სწორი,გონივრული რეფორმების კურსისა,რომლის გატარების აუცილებლობა რეფორმებისადმი ახალმა მიდგომამაც დაადასტურა.

**პროფ. ო.სურმანიძე, ასოც. პროფ. ა.ბერიძე**

# რომელი პოლიტიკური პარტიები გაერთიანდებიან?!

თამარ ნინიძე

დღესაც არავის სჯერა კოალიცია „ქართულ ოცნებაში“, რომ დაიშლებიან და გაიშლებიან. ასევე არც კი უნდათ იმის წარმოდგენა, რომ ივანიშვილის ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ მათ მყარი პოზიციები შეერყევათ. მარგველაშვილი უპარტიო პრეზიდენტია, პირველად მოხდა ქვეყანაში, რომ უპარტიო პრეზიდენტი გვყავს. აქამდე კარგად გვახსოვს ნოე ჟორდანიადან თუ დავიწყებთ ათვალს, ის სოცდეკი იყო და მენშევიკური მთავრობის ხელმძღვანელი, ზვიად გამსახურდია მონოლითური პოლიტიკური გაერთიანების „მრგვალი მაგიდის“ თავმჯდომარე იყო, ედუარდ შევარდნაძემაც, დაბრუნდა თუ არა საქართველოში, იმაზე დაიწყო ზრუნვა, რომ საყრდენი პოლიტიკური ძალა შეექმნა და მოქალაქეთა კავშირი დააარსა. სააკაშვილიც ძლიერი საყრდენით იყო ხელისუფლებაში, ნაცმოძრაობა დღეს ინარჩუნებს იმიჯს, რომ ყველაზე ძლიერი ოპოზიციური ძალაა და საპრეზიდენტო არჩევნებზე ეცადა კიდევ, რომ ეს იურიდიულად გაეფორმებინა. როგორც ჩანს, ის 20% მართლაც რეალურია, რომელიც ნაცმოძრაობას ჯერ კიდევ მიამიტურად „ჭეშმარიტ“ დასავლურ პარტიად მიიჩნევს და ღრმად სწამს, რომ ნაციონალები დასავლური ღირებულებების ერთადერთი დამფასებლები არიან. დიდი ხნის განმავლობაში ბევრს სჯეროდა, რომ ზვიად გამსახურდია, გარდა იმისა, რომ როიალზე კარგად უკრავდა, ჭეშმარიტი დემოკრატი იყო და ქვეყნის მესიადაც ითვლებოდა. ახლა მესიანისტური ზრახვები ნაცმოძრაობის წევრებს გაუჩნდათ და ფიქრობენ, რომ მეორედ რომ მოვლენ, ქვეყანას საბოლოოდ გაათავისუფლებენ კრემლის აგენტი ოლიგარქებისგან.

თუმცა ეს ნაცმოძრაობის ოცნებებია, მარტო ივანიშვილი არ არის მეოცნებე, ნაციონალებიც გვარიანად ოცნებობენ, რომ აუცილებლად მოვლენ. სანამ ისინი ოცნებობენ, მძიმე პრობლემები აქვთ სხვა პოლიტიკურ პარტიებს. მათი უმრავლესობა ვერ აცნობიერებს და არ სურს გაიგოს, რომ მათი სისუსტის მიზეზები თავად მათშია და არა ამომრჩევლის არაკეთილსინდისიერ არჩევანში.

ახლახან ისევ გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტიკურ პარტიათა რაღაც ნაწილი ერთიანდება, გამსხვილება თავისთავად ცუდი არ არის, მაგრამ რა იდეოლოგიის, ტრადიციების, რა ღირებულებების საფუძველზე ერთიანდებიან, ეს არის მნიშვნელოვანი, გაერთიანება ეფექტური მაშინაც არის, თუ ეს პარტიები ამ მიზეზებს აცნობიერებენ და შემდეგ დგამენ ასეთ საპასუხისმგებლო ნაბიჯებს. აბა, რა საერთო ღირებულებები უნდა გააჩნდეთ ახალ მემარჯვენეებს და ქართულ დასს ან ქრისტიან-დემოკრატებს და თავისუფალ საქართველოს? ერთნი დასავლურ მომავალს ემხრობიან, მეორენი რუსეთთან მჭიდრო კონტაქტებზე საუბრობენ.

პრობლემები ძალიან ბევრია, გარდა იმისა, რომ პოლიტიკურ პარტიებს მუდმივად აწვალებთ ფინანსური პრობლემები და ამის გამო ხან ერთ მილიარდერს აეტორღიალებიან ხოლმე და ხან მეორეს, აქვთ სერიოზული პროფესიონალიზმისა და ინტელექტუალური პოტენციალის პრობლემა. ერთმანეთისგან გადაწერილი ეკონომიკური პროგრამები, ფაქტობრივად იმის არანაირ საფუძველს არ ტოვებს, რომ ცოცხალი და ჯანსაღი კონკურენცია არსებობდეს, ეს მარტო ეკონომიკურ პროგრამებს არ ეხება, ყველა მიმართულებით ერთმანეთისგან არა განსხვავებული, არამედ, სამწუხაროდ, მიმსგავსებული პროგრამები აქვთ. არ ჩანს არანაირი კრეატიული მიდგომები, არ ჩანს ახალი ინიციატივების სურვილი. ბევრმა ისე გაიბითურა თავი განვლილი ყველა დონის არჩევნებზე, რომ არათუ ხელისუფლებაში მოსვლა, ოპოზიციონერის როლში საკრებულოსა და პარლამენტშიც კი ზედმეტია მისი ადგილის მოძიება.

ერთი და იმავე სახეების ტრიალი ტელეეკრანზე, ერთი და იმავე შინაარსის რამდენჯერმე გადამღერებული კომენტარების მოსმენა და უკვე წინასწარ იცი, კონკრეტულ კითხვაზე როგორ პასუხს მიიღებ. მედიის მოსაწყენ მდგომარეობას რომ თავი დავანებოთ, ეს საზოგადოებასაც უკვე კარგა ხანია აღიზიანებს და სულ ისმის საყვედურები, ოთხმილიონიან ქვეყანაში 150 პარტია რა საჭიროაო. როცა ზედიზედ სამ ან ოთხ საარჩევნო მარათონში აგებ, უნდა გეყოს იმის გამბედაობა, აღიარო, რომ შენი ადგილი ქართულ პოლიტიკაში აღარ არის და დროა სხვა საქმით დაკავდე. ამის მაგალითად მომყავს დავით გამყრელიძე, კაცმა ევროპული მიდგომა აჩვენა ამ საკითხთან დაკავშირებით, თქვა, საპრეზიდენტო არჩევნებზე თუ ვერ გავიმარჯვებ, პოლიტიკიდან წავალო და წავიდა, თანაც ყოველგვარი წინაპირობის გარეშე. ნათელაშვილმა მხოლოდ დაიმუქრა, წავალო და დღემდე მყარად ზის ლეიბორისტების ოფისში. საპრეზიდენტო არჩევნებში განცდილმა მარცხმა კი მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე მძიმე კვალი დატოვა, პირველ-მეორე ადგილზე გავედი და არჩევნები გამიყალბესო. ხან სოფელ-სოფელ დადიოდა, ახლა კი დროდადრო ივანიშვილის რეზიდენციას უტევს, თუ ლეიბორისტებს ადგილობრივ არჩევნებში საკრებულოში პირველი ადგილი ერგოთ და ნებით სააკაშვილს დაუთმეს, დღეს მათ პოლიტიკაში უიღბლო პერიოდი უდგათ. გაცვეთილი ლოზუნგებისა და გაცვეთილი პიარაქციების ფონზე, ამომრჩევლის გულის მოგება სულ უფრო უჭირთ. არჩევნებამდე ლეიბორისტებს რამდენიმე აქტიური წევრი გამოაკლდათ, ესეც უნდა ყოფილიყო იმის სიგნალი, რომ ამ პარტიას რეორგანიზაცია და სხვა პრინციპებზე გადასვლა სჭირდებოდა. ოპონენტები შალვას სხვადასხვა რაღაცებს აბრალებენ, ყველაზე აქტუალურია ხმები იმის შესახებ, რომ ლეიბორისტების სიაში ხალხი შემთხვევით კი არ ხვდება, არამედ გარკვეული ანაზღაურების საფასურად. ამაზე ბევრი მითქმა-მოთქმაა, მაგრამ მტკიცებულებები არ არის, თუმცა პოლიტიკური ლიდერობა ნათელაშვილს კვლავინდებურად ხიბლში აგდებს და ამტკიცებს, რომ არჩევნები უსინდისოდ გაუყალბებს, თორემ პირველ-მეორე ადგილზე გავიდა.

კიდევ ერთი ცნობილი და ღვაწლმოსილი პოლიტიკური ფიგურა კობა დავითაშვილია. დაგვპირდა, თუ საარჩევნო ბარიერს ვერ გადავლახავ, პოლიტიკიდან წავალო. კობამ ბარიერი ვერ გადალახა, მაგრამ წასულიც არ არის, უფრო სანახევროდ არის წასული, ინტერვიუებს აღარ მოგცემთ, პრესკონფერენციებს აღარ გავმართავ, პარტიული საქმიანობისგან შორს დავიჭერ თავს, მაგრამ დეპუტატის მაღალ ხელფასს შევინარჩუნებ, ჩემს ოჯახს სხვა შემოსავალი არა აქვს და ამიტომო. თუ ვინმე იტყვის, კობას ხუთი ვაჟკაცი ჰყავს და მშივრები ხომ არ ეყოლებაო, მაშინ უნდა გაიხსენოთ, რომ რვა შვილი ჰყავს დიმიტრი ლორთქიფანიძეს და რაც არ ეკუთვნის, არ გამოდის და არ ითხოვს. მე დეპუტატი აქტიურ კანონშემოქმედებით საქმიანობაში ვიცი, მუთაქასავით მჯდარი ადამიანი, მუდამ მდუმარე და პასიური, არა მგონია, ვინმეს მოეწონოს, პოლიტიკური საქმიანობისგან და პარტიული ლიდერობისგან თავს თუ შორს იჭერს, კანონებზე მუშაობას მას არავინ დაუშლის. მით უმეტეს, რომ იდეური ადამიანია და ბევრჯერ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებლად შეუძლია კანონებზე მუშაობა და ინიციატივების ნაკლებობასაც არ უჩივის. თორემ ისე, ამ ხელფასის აღებას გამართლება არ ექნება. ნაციონალებმა მოახერხეს, საპარლამენტო უმრავლესობა დაეყოლიებინათ, რომ „სასწავლებლად“ გამგზავრებული მარიამ საჯაიასთვის დეპუტატის ხელფასი შეენარჩუნებინათ. ახლა საქმე კობაზეა, რას იზამს, თუ კარგად გავიხსენებთ მის წარსულს, ის კარგი იურისტია და კარგი ადვოკატიც ბრძანდებოდა. ასე რომ, მის მრავალსულიან ოჯახს დეპუტატის ხელფასი შეიძლება საერთოდ არ დასჭირდეს, თუ კობა ახლო მომავალში საადვოკატო პრაქტიკას გაიხსენებს. კარგი იქნება, ყველა, ვისაც არ ეზარება, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე არ ააწყობს საკუთარ კეთილდღეობას და მძიმე ტვირთად არ დააწვება ისედაც ღრმა ეკონომიკურ კრიზისში ჩავარდნილ ქვეყანას.

# უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე?

ნათია ხურცილავა

არჩეული პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი არ გამორიცხავს, რომ 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადაზე გუნდმა მიიღოს გადაწყვეტილება, რომ ის სოჭში ჩავიდეს და ოლიმპიადას დაესწროს.

უნდა დაესწროს თუ არა საქართველოს პრეზიდენტი სოჭში გამართულ ოლიმპიადას?

საზოგადოების გარკვეულ წრეებში კვლავ განიხილება საკითხი, უნდა წავიდნენ თუ არა ქართველი სპორტსმენები 2014 წლის სოჭის ოლიმპიადაზე?

მინისტრთა კაბინეტის გარკვეული წევრები ამ კითხვას დადებითად პასუხობენ და მიზეზს ვერ ხედავენ, რატომ არ უნდა წავიდნენ ქართველი სპორტსმენები ზამთრის ოლიმპიადაზე.

ასეთი პოზიცია აქვს, მაგალითად, ვიცე-პრემიერ კახა კალაძეს. კალაძე სოჭის ოლიმპიადაზე ქართველი სპორტსმენების წაუსვლელობის მიზეზს ჯერჯერობით ვერ ხედავს.

ვიცე-პრემიერის აზრით, აღნიშნული სპორტული ღონისძიების ბოიკოტირების საკითხზე ხელისუფლებაში ჯერჯერობით შიდა კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

– დავაკვირდებით მოვლენების განვითარებას. არწასვლის მიზეზი ჯერჯერობით არ არსებობს. თუ დავინახავთ, რომ რაიმე საფრთხე ექმნება ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას, შესაბამისი გადაწყვეტილება იქნება მიღებული, – განაცხადა კალაძემ.



რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი დავით ნარმანია სოჭის ოლიმპიადასთან დაკავშირებით ვიწრო ჯგუფის შექმნის ინიციატივით გამოდის.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის განცხადებით, ვიწრო ჯგუფმა სოჭის ოლიმპიადაზე საქართველოს მონაწილეობის საკითხი უნდა განიხილოს.

მისივე თქმით, ჯგუფში ის ორგანიზაციები უნდა შევიდნენ და სამინისტროები, რომლებსაც ეს საკითხი კონკრეტულად ეხებათ.

– უნდა შეიქმნას ვიწრო ჯგუფი, რომელშიც შევა ის სამინისტროები და ორგანიზაციები, რომლებსაც კონკრეტულად ეხებათ აღნიშნული საკითხი, მაგალითად, როგორიც არის საგარეო საქმეთა სამინისტრო, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო. უნდა ჩაერთოს პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, კარგად უნდა განიხილოს დადებითი და უარყოფითი მხარეები და გადაწყვეტილება ამის შემდეგ უნდა იქნას მიღებული, – განაცხადა ნარმანიამ.

## თბილისის მერი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა



შეხვედრა სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის დახვეწილი მოდელის შექმნას ისახავდა მიზნად, რაც ქვეყანაში ევროპული სტანდარტის დანერგვას ითვალისწინებს.

შეხვედრაზე არასამთავრობოებს ინფორმაცია მიაწოდეს მერიის მიერ დაგეგმილ და განსახორციელებელ გეგმებთან დაკავშირებით. მერიის იურიდიული სამსახურის უფროსის განცხადებით, რამდენიმე თვეა, სამოქალაქო სექტორს, დედაქალაქის მთავრობა საჯარო ინფორმაციას, საკუთარი, დადგენილი წესით აწვდის. ამ პროცესში უწყების შესაბამისი კვალიფიკაციის თანამშრომლები არიან ჩართულნი და დედაქალაქის მთავრობაში განხორციელებულ სიახლეებს მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე ანთავსებენ.

გუშინვე არასამთავრობო ორგანიზაციებს 2013 წლის ანგარიშიც გააცნეს, რომელიც სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობას გულისხმობს. ანგარიშში ის განცხადებები მოხვდა, რომლებსაც დედაქალაქის მთავრობას მოქალაქეები, კერძო კომპანიები და სხვადასხვა უწყებები მიმდინარე წელს უგზავნიდნენ. სამუშაო პროცესი კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა, არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან რეკომენდაციებიც გაიცა.

მსგავსი ფორმატის შეხვედრა თბილისის მერიასა და არასამთავრობო სექტორს შორის მომავალშიც გაგრძელდება.

**პირველი**

## დავით დარჩიაშვილი: „ქვეყანაში შექმნილ საბიუჯეტო პრობლემებში ოპოზიცია დამნაშავე არ არის“



როგორც საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი აცხადებს, ოპოზიციის დადანაშაულება დესტაბილიზაციის მოწყობაში, აბსურდია.

„ქვეყანაში თუ კი ინვესტიციები კლებულობს და შემოსავლები არ აღწევს პროგნოზირებულ დონეს, ეს მხოლოდ და მხოლოდ მთავრობის ბრალია. თუ კი ოპოზიცია რაიმე დესტაბილიზაციას მოაწყობს ქვეყანაში, ამ შემთხვევაში, შესაძლებელია, ის იყოს დამნაშავე. მაგალითად, თუ გავიხსენებთ ჩვენი ხელისუფლების პერიოდს, როდესაც იყო გზების გადაკეტვები და ასე შემდეგ, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკას, ამ შემთხვევაში ეს იყო დანაშაული, მაგრამ მე არ მახსენდება ამ ერთი წლის მანძილზე, რაც ჩვენ ოპოზიციაში ვართ, რაიმე დესტაბილიზაცია ყოფილიყო და ოპოზიციას ქვეყნის განვითარებისათვის ხელი შეეშალა. მთავარია ის, რომ ქვეყანამ იფიქროს, როგორ შევძლოთ ეკონომიკური აღმასვლა, თუმცა ჩვენი ხელისუფლება სხვა საქმით არის დაკავებული“, – განაცხადა დარჩიაშვილმა.

**პირველი**

## „თებერვალში სესია თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში გაიხსნება“

როგორც პარლამენტის ვიცე-სპიკერმა ზვიად ძიძიგურმა სააგენტო „პირველის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საპარლამენტო უმცირესობასთან კონსულტაციები მიმდინარეობს.

„კონსულტაციები მიმდინარეობს, მაგრამ რა ეტაპზეა, ამის თქმის უფლება თქვენთვის ამ ეტაპზე არ მაქვს. რისი თქმის უფლებაც მაქვს, ამას პირდაპირ გეტყვით – თებერვალში საქართველოს პარლამენტი მუშაობას თბილისში გააგრძელებს. რა მაძლევს ამის თქმის საფუძველს, ვერ გეტყვით. ბუნებრივია, თუ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის შეთანხმება არ მოხდება, რა თქმა უნდა, საკონსტიტუციო ცვლილებების თვალსაზრისით პრობლემები იქნება“, – განაცხადა ძიძიგურმა.

მისივე თქმით, თბილისში, რუსთაველის გამზირზე მდებარე პარლამენტის შენობაში სარემონტო სამუშაოები ინტენსიურად მიმდინარეობს.

„პარლამენტის შენობაში ოთახების რემონტი უკვე დასრულებულია, სადაც დეპუტატებმა უნდა იმუშაონ, ელექტროგაყვანილობების მონტაჟი მიმდინარეობს, ამავე დროს, ავეჯი უკვე შესყიდულია და თბილისში მალე ჩამოიტანენ. ერთადერთი, რამაც შეიძლება, შეფერხება გამოიწვიოს, ეს არის დარბაზების რესტავრაცია“, – განაცხადა ძიძიგურმა და დასძინა, რომ თებერვალში სესია თბილისში გაიხსნება.

**პირველი**

## მესაზღვრეებმა თურქეთის მოქალაქე დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის №1 სამმართველოს (ბათუმი) ტერიტორიაზე, №2 სასაზღვრო სექტორის (კირნათი) დასაცავ მონაკვეთზე, სასაზღვრო განწესმა, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე, თურქეთის მოქალაქე ომარ დ. დააკავა.

სასაზღვრო პოლიციის პრესსამსახურის ინფორმაციით, აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ემუხლის I ნაწილით მიმდინარეობს.

გამოძიებას, სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველო აწარმოებს.

ნიუსპრესი

იუსტიციის სამინისტროში სისხლის სამართლისა და საპროცესო კოდექსებში შესატანი ცვლილებები განიხილეს

იუსტიციის სამინისტრომ სისხლის სამართლის უწყებათაშორისი საბჭოს სამუშაო ჯგუფის ფარგლებში სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსების ცვლილებების და დამატებების პროექტების პრეზენტაცია გამართა.

ღონისძიებას იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი, მისი მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე და აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლების წევრები, ასევე ქვეყანაში აკრედიტებული საელჩოებისა და საერთაშორისო მისიების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ღონისძიება იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა გახსნა. ალექსანდრე ბარამიძემ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები წარადგინა, რომლებიც ახლებურად დაარეგულირებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს ქართულ კანონმდებლობაში.

ცვლილებების თანახმად, საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად აუცილებელი იქნება პროკურატურის მხრიდან პირის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებების წარდგენა, გამჭვირვალე ხდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების წინმსწრები მოლაპარაკების პროცესი და მასზე სასამართლოს კონტროლი იზრდება.

იუსტიციის სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, ცვლილებების მიხედვით, დაზარალებულთა უფლებრივი მდგომარეობა უმჯობესდება. ცვლილებების შედეგად დაზარალებულს უფლება ექნება, საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმირებული იყოს და საქმის მასალებს გაეცნოს, თუ ეს გამოძიების ინტერესებს არ აზიანებს.

დაზარალებულებს შესაძლებლობა ეძლევათ, სასამართლოში გაასაჩივრონ პროკურორის უარი დაზარალებულად ცნობაზე, აგრეთვე, მისი გადაწყვეტილება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე დევნის არდაწყების/დევნის შეწყვეტის შესახებ.

ამასთან, ცვლილებების თანახმად, სასჯელის გადავადებაზე უარის თქმის პროცედურები რთულდება; შემოდის გადავადებაზე უარის თქმის გადაწყვეტილების დასაბუთების აუცილებლობა.

შეხვედრის მეორე ნაწილი დისკუსიას დაეთმო. პრეზენტაციის მონაწილეებმა სისხლის სამართლის კანონმდებლობის სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლებს თავიანთი შენიშვნები და წინადადებები გააცნეს.

**ნიუსპრესი**

# კულტურის მინისტრმა საზოგადო მოღვაწეები დააჯილდოვა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციას 90 წლის იუბილე მიულოცა. მინისტრმა ქართულ მწერლობასა და კულტურაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის მადლობის სიგელებით დააჯილდოვა მწერლები, ქორეოგრაფები და საზოგადო მოღვაწეები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მწერალთა კავშირის წევრები საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან, მეცნიერები, საზოგადო მოღვაწეები, ქუთაისის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები.

– ქუთაისის სამწერლო ორგანიზაციას 25 წელია თეიმურაზ ლანჩავა ხელმძღვანელობს. ამ პერიოდის განმავლობაში მწერალთა სახლი ახორციელებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ლიტერატურულ პროექტებს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით და თეიმურაზ ლანჩავას რედაქტორობით, 2013 წლის ნოემბერში გამოიცა ლიტერატურული გაზეთი „უქიმერიონი“, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

მინისტრმა გურამ ოდიშარიამ რეჟისორსა და სცენოგრაფს, საქართველოს სახალხო არტისტს გურამ მელივას 80 წლის იუბილე მიულოცა. მინისტრი მას სახლში ესტუმრა, პირადად მიულოცა დაბადების დღე რეჟისორს და ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის კულტურის სამინისტროს სპეციალური პრიზით „ხელოვნების ქურუმი“ დააჯილდოვა. მინისტრთან ერთად, გურამ მელივას დაბადების დღე მეგობრებმა, მათ შორის გია ყანჩელმა, კოლეგებმა და მოსწავლეებმაც მიულოცეს.

– გურამ მელივა ქართულ ხელოვნებაში გამორჩეული პიროვნებაა. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტის დასრულების შემდეგ მან სტაჟირება გაიარა ლენინგრადის კონსერვატორიაში საოპერო რეჟისურის განხრით, მოგვიანებით კი ბერლინის „კომიშე ოპერაში“ ვალტერ ფელზენშტაინის ხელმძღვანელობით. გურამ მელივა ათეული წლებია მოღვაწეობს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში, სხვადასხვა პერიოდებში ის მუშაობდა ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ რეჟისორად, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის მოადგილედ, იგი თავად ქმნის საკუთარი სპექტაკლების სცენოგრაფიას, ბოლო წლებში ხელმძღვანელობდა საოპერო თეატრის სამხატვრო კოლეგიას. მთლიანობაში გურამ მელივას დადგმული აქვს 100-ზე მეტი სპექტაკლი და მუსიკალური სანახაობა, როგორც საქართველოში, ისე ქვეყნის ფარგლებს გარეთ; მათ შორის, ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“, დონიცეტის „დონ პასკუალე“ და „სიყვარულის ნექტარი“, გლინკას „რუსლანი და ლუდმილა“, ვერდის „ტრავიატა“, „რიგოლეტო“, „მაკბეტი“ და „დონ კარლოსი“, მუსორგსკის „სოროჩინის ბაზრობა“, პროკოფიევის „ნიშნობა მონასტერში“, ოთარ თაქთაქიშვილის „პირველი სიყვარული“, შტრაუსის „სალომეა“, გია ყანჩელის „ხანუმა“ და „დემონი“, ალფრედ შნიტკეს „კონექსიონი“, მანინის „კოლუმბიდან ბროდვეიმდე“, პუჩინის „მადამ ბატერფლაი“, ბოროდინის „თავადი იგორი“, პუჩინის „ბოჰემა“, ჩაიკოვსკის „პიკის ქალი“, ჰენდელის „რადამისტო“, – აღნიშნავენ კულტურის სამინისტროში.



გურამ ოდიშარიამ კიდევ ერთი იუბილარი დააფასა. ამჯერად მინისტრი მხატვარ გივი თოიძის პერსონალურ გამოფენაზე იმყოფებოდა. საიუბილეო გამოფენა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმში მიმდინარეობს. მხატვარმა მეუღლის ხსოვნისადმი მიძღვნილი პერსონალური გამოფენა მინისტრს პირადად დაათვალიერებინა.

კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა ქართველი მწერლის, პუბლიცისტისა და ლიტერატორის სერგი ჭილაიას 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილი წიგნი „სერგი ჭილაია-100“. წიგნის პრეზენტაცია და ხსოვნის საღამო მწერალთა სახლში გაიმართა. წიგნში „სერგი ჭილაია-100“ წარმოდგენილია მოგონებები და ლიტერატურული წერილები მწერლის ეპისტოლარული მემკვიდრეობიდან. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მანანა ბერიკაშვილი და მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, ასევე მწერლები, საზოგადო მოღვაწეები და მიწვეული სტუმრები.

– პუბლიცისტი, მწერალი და ლიტერატორი სერგი ჭილაია გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახუნავოდანაა. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა და ლექციებს კითხულობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იგი ამავე უნივერსიტეტის დოცენტი გახდა, ხოლო მოგვიანებით ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად დაინიშნა. ორი წელი მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების სწავლულ მდივნად, ხოლო შემდეგ საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის გამგედ. დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენებით და ორი მედლით, – განმარტავენ ღონისძიების ორგანიზატორები.

ქუთაისამდე გურამ ოდიშარია წეროვანში ჩავიდა და ნუგზარ ფსუტურის სახელობის კულტურის ცენტრის ბიბლიოთეკას 70-მდე წიგნი გადასცა, რომელიც კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით გამოიცა. რამდენიმე დღეში წეროვანის ახალგაზრდულ ცენტრს კულტურის სამინისტროსგან კიდევ ერთი საჩუქარი, კინოთეატრის აღჭურვილობა გადაეცემა.

– კულტურის სამინისტროს ძალისხმევით აღდგა 12 სახელოვნებო სკოლა, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ კომპაქტურად ჩასახლებულ პუნქტებში გაიხსნა. შედეგად, წეროვანში, გორში, მეტეხში, წილკანში, კოდაში, თელიანში, შავშვებში, სკრაში, კარალეთში, ხაშურში, მოხისსა და ახალსოფელში 71 დევნილი პედაგოგი აგრძელებს მუშაობას, 1000-მდე ბავშვი კი უფასოდ დაეუფლება ხელოვნების დარგებს, – განმარტა მინისტრმა.

მისივე თქმით, 2008 წლიდან ფონდი „ხელოვანები თანადგომისათვის“ აფინანსებდა 12 სახელოვნებო სკოლას საქართველოს მასშტაბით, 2013 წლიდან სკოლებს დაფინანსება შეუწყდათ. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ინიციატივით ამიერიდან სკოლები დაფინანსებას კულტურის სამინისტროსგან მიიღებენ.

სამინისტროს ინიციატივით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ცენტრში გაიმართა კონცერტი გაცვლითი პროექტის „ჩემი საქართველო აქ არის“ ფარგლებში. კონცერტში მონაწილეობას იღებდნენ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრის ფოლკლორული და ქორეოგრაფიული ანსამბლები. როგორც კულტურის სამინისტროში ამბობენ, პროექტი „ჩემი საქართველო აქ არის“ გრძელდება საქართველოს რეგიონებში, შემდეგი გაცვლითი კონცერტები დაგეგმილია თელავში, ახმეტაში, ოზურგეთში, ლანჩხუთში, ხონსა და სხვა ადმინისტრაციულ ცენტრებში.

სამინისტროს ხელშეწყობით თელავში სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ გაიმართა. ერეკლე II-ის 293-ე იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებებს თელავში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე, ალექსანდრე მარგიშვილი დაესწრო. თელავის მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად ამ თარიღისთვის მრავალი ღონისძიება დაიგეგმა. ერეკლე მეფის სულის მოსახსენიებელი პანაშვიდი გადაიხადეს როგორც თელავის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში, ასევე სვეტიცხოველში. ერეკლეობას მიეძღვნა ნიკო სულხანიშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კლასიკური მუსიკის კონცერტი და თომა ჩაგელიშვილის ფილმის „ერეკლე II“ პრეზენტაცია. თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატული თეატრის ფოიეში შედგა ბავშვთა ნახატების გამოფენა და საჭადრაკო ბლიც-ტურნირი, რომელშიც მონაწილეობა პატარა მოჭადრაკეებმა მიიღეს. გაიმართა გარე სასცენო და სამოედნო ღონისძიებები ერეკლე II-ის მოედანზე. დღესასწაულთან დაკავშირებით, თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში საპატიო თელაველების დასახელდნენ და ღვაწლმოსილ ხელოვანთა და პედაგოგთა დაჯილდოების ცერემონია შედგა.

დღესასწაული თელავის ვაჟა-ფშაველას სახელობის დრამატულ თეატრში თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის პროფესიულ სახელმწიფო თეატრთან არსებული ანსამბლ „სულიკო“-ს კონცერტით დასრულდა, რომელიც საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით გაიმართა.

კიდევ ერთი ლიტერატურული პროცესი, რომელიც თავიდან დაიწყო, ეს გურამ ოდიშარიას ინიციატივით აღდგენილი ჟურნალი „არილია“. 8 წლის განმავლობაში შეწყვეტილი „არილის“ გამოცემა სწორედ კულტურის მინისტრის მონდომებით განახლდა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით მკითხველი ერთდროულად სამ ახალ ნომერს იხილავს. ჟურნალ „არილის“ პრეზენტაცია „მწერალთა სახლში“ შედგა.

– ჟურნალი „არილი“ გამოდიოდა 1993-2005 წლებში. ჟურნალ „არილის“ გვერდებზე მუდმივად ხვდებოდნენ ცნობილი ქართველი მწერლები, პოეტები, კრიტიკოსები. ჟურნალში იბეჭდებოდა ინტერვიუები ცნობილ ადამიანებთან, ხელოვანებთან, თანდართული უნიკალური ფოტომასალით. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ შექმნილმა სპეციალურმა კომისიამ განიხილა საკითხი და მიიღო გადაწყვეტილება ჟურნალის აღდგენის შესახებ, – აღნიშნა მინისტრმა.

პრეზენტაციას ესწრებოდნენ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი თეონა დოლენჯაშვილი, წიგნისა და ლიტერატურის ხელშეწყობის პროგრამის ხელმძღვანელი დეა მეტრეველი, სამინის-

გაგრძელება მე-10 გვერდზე


## განცხადებები

● სასწრაფოდ იყიდება ბინა მდებარე მოსკოვის გამზირზე ახლადაშენებულ 11-სართულიან კორპუსში, მე-9 სართულზე, 55 მკვ აივნით და კარგი ხედით, ფასი შეთანხმებით. ტელ: 599191967 გელა.

● მკურნალობა ძვალ-სახსართა ნებისმიერ პრობლემაზე, კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, ართრიტების და ა.შ. დაზიანებული და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის მოხსნა, ასევე წონის დაკლება 5-15 კგ თვეში, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-156-333; 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● გახდომა-გასუქება 5-15 კგ თვეში, სიმაღლეში ზრდა 5-25 წლამდე მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენებების გარეშე. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 (ოფისი), ექ. ქ-ნი სალომე.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასალებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● გახდომა 5-20 კგ-მდე დიეტის გარეშე, გასუქება 2-5 კგ თვეში, 3-ჯერადი კვებით, უვნებლად, მადის დარეგულირებით, შედეგის 100%-ით მუდმივად შენარჩუნებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ქ-ნი ქეთევანი 599-90-54-78; 234-02-38.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია..

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.


# ნოდარ გაბუნიას იუბილეზე ფესტივალი დაარსდა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

საზღვრა. რაც შეეხება საკონკურსო პროგრამას, ფორტეპიანოს განხრით კატეგორიაში ა (15-20 წუთი) პროგრამა თავისუფალია მონაწილეთა შერჩევით, თუმცა სავალდებულოა შესრულდეს ერთი პიესა ნოდარ გაბუნიას საფორტეპიანო ციკლიდან „მოწაფის დღიური“. კატეგორია ბ (30-35 წუთი) პროგრამა აქაც თავისუფალია მონაწილეთა შერჩევით, პროგრამაში სავალდებულოა შესრულდეს ორი პიესა ნოდარ გაბუნიას საფორტეპიანო ციკლიდან „მოწაფის დღიური“ ან „პატარა პიესები დიდებისთვის“. კატეგორია გ (45-50 წუთი) აქაც პროგრამის შერჩევა თავისუფალია მონაწილეთა მიერ, მაგრამ სავალდებულოა შესრულდეს ნოდარ გაბუნიას „მიძღვნა“ ან „ექსპრომტი“. რაც შეეხება ვოკალს, კატეგორია დ (25 წუთი), ერთი ნაწარმოები მონაწილეთა შერჩევით (სასურველია შესრულდეს ერთი სიმღერა ნოდარ გაბუნიას ვოკალური ციკლიდან „7 სიმღერა“ (ტრანსპორტირება დასაშვებია), იტალიური გაშლილი არია მონაწილეთა შერჩევით, XIX-XX საუკუნის ევროპული არიან მონაწილეთა შერჩევით და ერთი რომანსი ან ლიდი მონაწილეთა შერჩევით.

კონკურსის ორგანიზატორებს უკვე განსაზღვრული აქვთ საპრიზო ფონდი თითოეული კატეგორიის საპრიზო ადგილებისთვის. გრანპრი, რომელიც გაიცემა ერთ-ერთ სპეციალობაში, შეადგენს 3.000 აშშ დოლარს, ფორტეპიანო კატეგორია ა: პირველი პრემია 500 აშშ დოლარი, მეორე პრემია 300 აშშ დოლარი და მესამე პრემია 200 აშშ დოლარი. კატეგორია ბ: პირველი პრემია 1000 აშშ დოლარი, მეორე პრემია 700 აშშ დოლარი, მესამე პრემია 400 აშშ დოლარი. კატეგორია გ: 1500 აშშ დოლარი, მეორე პრემია 100 აშშ დოლარი, მესამე პრემია 700 აშშ დოლარი. რაც შეეხება ვოკალურ კონკურსში გამარჯვებულებს, კატეგორია დ: პირველი პრემია 1500 აშშ დოლარი, მეორე პრემია 1000 აშშ დოლარი, მესამე პრემია 700 აშშ დოლარი.

საუკეთესოებს შეარჩევს საერთაშორისო ჟიური, რომლის შემადგენლობაშიც შედიან საფორტეპიანო განხრით იურა მარგულისი (აშშ), ნატა წვერელი (ჰოლანდია), პოლ კომენი (ჰოლანდია), ქეთევან ბადრიძე (აშშ), არმენ ბაბახანიანი (სომხეთი) და ფერმინ ბერნეტჰეა (ესპანეთი). რაც შეეხება ვოკალურ კონკურსს, მისი ჟიურის წევრები არიან იანო თამარ ალიბეგაშვილი (იტალია), ვიტორიო ვიტელი (იტალია), გულიკო კარიაული (საქართველო), ხურამან ქასიმოვა (აზერბაიჯანი) კლავდია ატანასოვა (ბულგარეთი). ვოკალისტებისა და პიანისტების მოსმენა კონსერვატორიის მცირე დარბაზშია დაგეგმილი, პიანისტთა კონკურსის დახურვის ცერემონია კი ეროვნულ მუსიკალურ ცენტრში შედგება. ჟიურის უფლება აქვს არ გასცეს ყველა პრემია, გაყოს პრემიები მონაწილეთა დადგენილი რაოდენობის ფარგლებში. ჟიურის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება. კონკურსში მონაწილეობა ფასიანია და ყველა კატეგორიას თავისი საფასური აქვს. კატეგორია ა 60 დოლარი. კატეგორია ბ 70 დოლარი, კატეგორია გ 100 დოლარი და კატეგორია დ 100 დოლარი. როგორც კონკურსის ორგანიზატორები განმარტავენ, კონკურსზე წარდგენილი საბუთები და თანხა უკან არ ბრუნდება, საბუთების არასრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში კი განაცხადი საერთოდ არ განიხილება.

ჟიურიში მიწვეული ხელოვანები კონკურსანტთა შეფასების პარალელურად, კონცერტებსაც გამართავენ, რომლებმაც ევგენი მიქელაძის სახელობის ეროვნული მუსიკალური ცენტრი უმასპინძლებს. პირველი კონცერტი 12 ნოემბერს გაიმართება და მას ესპანელი ფერმინ ბერნეტჰეა ჩაატარებს. მას 13 ნოემბერს შეენაცვლება ამერიკელი იურა მარგულისი. 15 ნოემბერს კონცერტს ნოდარ გაბუნიას კლასის აღზრდილები ჩაატარებენ, 16 ნოემბერს კონსერვატორიის მცირე დარბაზში კონცერტს რუსი კატია სკანავი და პერუელი კლაუდეიო გოჰორქუესი გამართავენ. 18 ნოემბერს დაგეგმილია სომეხი სტუმრის არმენ ბაბახანიანის საღამო, ხოლო 21 ნოემბერს მსმენელის წინაშე ჰოლანდიელი პოლ კომენი წარდგება. კონცერტების პარალელურად, ნიჭიერთა ათწლედში დაგეგმილია მასტერკლასებიც, რომლებსაც ფესტივალის საპატიო სტუმრები და პროფესორები ფერმინ ბერნეტჰეა, იურა მარგულისი, კატია სკანავი, არმენ ბაბახანიანი, ნინა მაკაროვა და პოლ კომენი ჩაატარებენ.

ნოდარ გაბუნიას სახელობის პირველ საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი თბილისში 25 ნოემბრამდე გაგრძელდება.

ეკა ირემაშვილი

# დინამო ისევ იგებს

**ზესტაფონი – დინამო (თბ) 1:2**

**ზესტაფონი.** დავით აბაშიძე
0:1 გოგა (16), 1:1 ჭანტურიშვილი (88), 1:2 გველესიანი (90)

**ზესტაფონი:** რ.კვასხვაძე, თორ.გრიგალაშვილი, კაჭკაჭიშვილი, კანდელაკი, რენე ფერეირა, აჯურუ, შარიქაძე, ჭანტურიშვილი, ჭანკოტაძე (გაგოშიძე 66), კუტალია (რეკრუკი 61), ს.ლომია (სამუშია 75)

**დინამო:** ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, მერებაშვილი (გლიშიჩი 77), კვირკველია, დვალი, გოგა, გველესიანი, ძარია (ვუო 90), ე.გრიგალაშვილი (პაპავა 83)

**გაძევება:** კაჭკაჭიშვილი (62)

„ზესტაფონს" დაუბრუნდა გამოცდილი მწვრთნელი გია გეგუჩაძე, რომელმაც პირველად გააჩემპიონა იმერული კლუბი ეროვნულ ჩემპიონატში. უნდა აღვნიშნოთ, რომ მისი ხელი გუნდს უკვე ეტყობოდა – იმერლებმა გააზრებული და კომბინაციური ფეხბურთი ითამაშეს.

მატჩი საკმაოდ მაღალ ტემპში დაიწყო. ანგარიში კი მე-15 წუთზე გაიხსნა, ლევან შარიქაძის შეცდომის შემდეგ, სწრაფი კონტრშეტევა განახორციელეს სტუმრებმა. დორინ გოგამ მერებაშვილი კვასხვაძესთან პირისპირ დატოვა, ორთაბრძოლაში კვასხვაძემ იმარჯვა, შემდეგ კი ისევ მერებაშვილმა ბურთი საჯარიმოში შეაბრუნა, ადგილზე გოგა თავით დაუხვდა და ანგარიში გახსნა – 0:1.

საპასუხო შეტევაში შარიქაძე ცდილობდა სტანდარტის შესრულებას, მაგრამ ბურთი ზემოდან გადასცდა ლორიას კარს. მე-20 წუთზე სტუმრებმა შეცდომა დაუშვეს და ლომიას შანსი მისცეს საჯარიმოს ხაზიდან ძლიერად გაესროლა – თბილისელთა მეკარემ ბურთი კუთხურზე მოიგერია. კუთხურის შემდეგ კი ჭანკოტაძე ურტყამდა შორიდან, მაგრამ კვლავ ლორიამ იყოჩაღა.

რამდენიმე წუთში შეტევაში დინამოელები აღმოჩნდნენ, გოგას ჩინებული თამაშით ახლოდან ჯაბა დვალი ურტყამდა, მაგრამ კვასხვაძემ შესანიშნავად ითამაშა და ბურთი კუთხურზე მოიგერია.

იმერლები „დინამოს" ნახევარს დაეჩვივნენ, ჯერ იყო და თორნიკე გრიგალაშვილი ურტყამდა შორიდან, შემდეგ კი ლომია ცდილობდა თავით ანგარიშის გათანაბრებას. მომდევნო მომენტი კუტალიამ გააცუდა, კართან ახლოს მყოფმა გაურკვევლად ითამაშა და ბურთიც დაკარგა.

პირველ ტაიმში სხვა საინტერესო არაფერი მომხდარა, მეორე კი, უფრო სანახაობრივი გამოდგა. 47-ე წუთზე ჭანკოტაძე-ლომიას კომბინაციის შედეგად ზესტაფონელთა შემტევი მეკარესთან პირისპირ დარჩა, მაგრამ მცველებმა აჯობეს, საპასუხოდ ჯაბა დვალმა გაისროლა შორიდან, კვასხვაძემ ნახტომში კუთხურზე მოიგერია.

ზესტაფონელთა რიგებში ჭანკოტაძე-ლომიას დუეტია გამოსარჩევი, რომლებიც მთელი მატჩის განმავლობაში გააზრებულად მოქმედებდნენ. ერთ ეპიზოდში ჭანკოტაძის შორეული დარტყმა ლორიამ ნახტომში მოიგერია, ფლანგზე ბურთი კანდელაკმა მიიღო და კარისკენ ჩააწოდა, თითქოს და არაფერი ხდებოდა, მაგრამ ბურთი კარისკენ ჩაეშვა, ლორიამ კი რის ვაი-ვაგლახით ხელით შეხება მოახერხა, შემდეგ ძელი ჩაერთო და ანგარიში უცვლელი დარჩა.

იმერლები არ ნებდებოდნენ, მომდევნო შორეული გასროლა ჭანტურიშვილმა განახორციელა. ამ შუალედში კი „დინამო" ორჯერ გადავიდა იმერელთა ნახევარზე, პირველად გოგა ცდილობდა შორიდან კვასხვაძისთვის თავზე გადაგდებას, მეორე შემთხვევაში, დვალთან უხეშობისთვის რენე დაჯარიმდა, საჯარიმო კი ცოცხალმა კედელმა გაანეიტრალა. შემდეგ ხმალაძეს ჰქონდა კარგი მომენტი, მაგრამ კვლავ კვასხვაძემ იყოჩაღა.

59-ე წუთზე შორიდან ჭანტურიშვილი ურტყამდა, რისი მოგერიებაც ლორიას საკმაოდ გაუჭირდა. 62-ე წუთზე მასპინძლები 10 კაცით დარჩნენ, გრიგალაშვილის პასით გოგა გადიოდა პირისპირ, კაჭკაჭიშვილმა იგი წესების დარღვევით შეაჩერა, მსაჯმა მას ყვითელი ბარათი უჩვენა, რაც მისთვის ამ მატჩში მეორე იყო, ავტომატურად წითელიც მიიღო და თამაშს გამოეთიშა.

დინამოელები რიცხობრივ უპირატესობას ფლობდნენ, კვასხვაძესთან პირისპირ მერებაშვილი გავიდა, ანგარიში კი უცვლელი დარჩა.

ამასობაში გეგუჩაძემ დაცვის ხაზი გაგოშიძით შეავსო, მოედნიდან კი ჭანკოტაძე გაიყვანა.

75-ე წუთზე მორიგი სახიფათო ეპიზოდი შექმნეს იმერლებმა, კანდელაკის დარტყმული ლორიამ კუთხურზე მოიგერია. საპასუხო შეტევაში „დინამოს" საკმაოდ კარგი შანსი ჰქონდა სხვაობა გაეზარდა, ჯერ იყო და იმერლები ძელმა იხსნა, შემდეგ კი ახლოდან ყუმბარისებური დარტყმული გრიგალაშვილს კვასხვაძემ აუღო.

87-ე წუთზე შარიქაძემ მარცხნიდან ჩამოაწოდა, ბურთთან კი ჭანტურიშვილი აღმოჩნდა, მისი თავური დარტყმა კი გოლად იქცა – 1:1.

ათკაციანმა „ზესტაფონმა" ანგარიშის გათანაბრება შეძლო, მაგრამ, შენარჩუნება – ვერა. ზესტაფონელები გოლს ზეიმობდნენ, სტუმრებმა კი ცენტრიდან სწრაფად გაათამაშეს ბურთი ისე, რომ მასპინძლებს ზეიმიც არ აცალეს. მსაჯის მიერ დამატებულ წუთზე იმერელთა დამწუხრება გველესიანმა შეძლო, საჯარიმოდან დარტყმული კვასხვაძის კარის ბადეში აღმოჩნდა – 1:2.

## მატჩის შემდეგ

***დუშან უჰრინი, დინამოს მთავარი მწვრთნელი:***

– პირველ ტაიმში კარგად გამოვიყურებოდით და მეტი გოლის გატანა გვმართებდა. მეორე ნახევარში, მას შემდეგ რაც მეტოქეს კაცი გაუგდეს, ჩემმა ფეხბურთელებმა ანგარიშის შენარჩუნებაზე დაიწყეს ფიქრი. გოლის გაშვების შემდეგ საბედნიეროდ ბიჭებმა ბრძოლისუნარიანობა გამოავლინეს და სასურველ შედეგსაც მივაღწიეთ.

***გია გეგუჩაძე, ზესტაფონის მთავარი მწვრთნელი:***

– დასანანი მარცხი ვიწვნიეთ ბოლო წუთებზე. რიცხობრივ უმცირესობაში ვიყავით, მაგრამ გათანაბრება მაინც მოვახერხეთ. წაგება გამოუცდელობის ბრალია, მოგეხსენებათ გუნდში ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელია. ვიცი რომ ქომაგებს შედეგის ხილვა დაუყონებლივ სწადიათ, მაგრამ ეს ძალიან რთული გასაკეთებელია. ერთი რამ შემიძლია დარწმუნებით გითხრათ, რომ ჩვენი ფეხბურთელები ყოველთვის ასეთი ანთებული თვალებით ითამაშებენ.



**დილა – სიონი 0:2**

**გორი.** თენგიზ ბურჯანაძე
0:1 თოთაძე (2), 0:2 განუგრავა (91)

**დილა:** რევიშვილი, ალადაშვილი, კვახაძე, ო.ხიზანეიშვილი (ახალკაცი 77), კობახიძე (ქვილითაია 46), ღონღაძე, ბოლქვაძე, აბურჯანია (გორელიშვილი 67), მაისურაძე, მოდებაძე, დოლიძე

**სიონი:** მერლანი, ფოფხაძე, სვანიძე, ქემოკლიძე, თოთაძე, აბრამიძე, განუგრავა, პარუნაშვილი (ჩივაძე 65), კახელიშვილი (აფციაური 81), გოგობერიშვილი, ბიბილეიშვილი (ლობჟანიძე 58)

მატჩი „დილასთვის" ძალზედ მძიმედ დაიწყო. მეორე წუთზე საჯარიმოსთან ახლოს მასპინძლებმა თამაშის წესი დაარღვიეს და საჯარიმო დარტყმა ლაშა თოთაძემ უშეცდომოდ შეასრულა – 0:1. ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, გორელები გააქტიურდნენ და მე-18 წუთზე ერთ-ერთი შეტევისას მოდებაძემ მეტოქის საჯარიმოში კარგად ითამაშა და მოწინააღმდეგე აიძულა თამაშის წესი დაერღვია. ლაშა სილაგავამ თერთმეტმეტრიანი დანიშნა, რომელიც თავად დაზარალებულმა შეასრულა, თუმცა გოლის გატანა ვერ შეძლო, ბურთი მიზანს ოდნავ ააცდინა. როგორც შემდეგ გამოჩნდა, ეს მომენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა ამ მატჩში.

მეორე ნახევარშიც გორელები ფლობდნენ უპირატესობას, თუმცა ზოგჯერ სიზუსტე უმტყუნებდათ, ზოგჯერ კი მირზა მერლანი თამაშობდა კარგად. სტუმრები საკმაოდ სახიფათო კონტრშეტევებით პასუხობდნენ ჩვენს გუნდს და სწორედ ერთ-ერთი ასეთი შეტევა მსაჯის მიერ დამატებულ პირველ წუთზე გოლით დასრულდა – განუგრავამ შეძლო მეორე ბურთის გატანა.

**მეტალურგი – ტორპედო 2:1**

**რუსთავი.** ფოლადი
1:0 გეწაძე (47), 2:0 ბერიაშვილი (55), 2:1 გავაშელიშვილი (77)

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, კაკუბავა, ორბელაძე, მახვილაძე, რაზმაძე (დობროვოლსკი 83), გეწაძე, გურეშიძე, კირკიტაძე, ფიფია (ჩირგაძე, 72), ბერიაშვილი (ქავთარაძე 73)

**ტორპედო:** ქვილითაია, ცინცაძე, ჭელიძე, უბილავა, ხიდეშელი, გოროზია (გიგაური 56), ჭანტურია (მთივლიშვილი 81), კაპანაძე, ახვლედიანი, ფანცულაია, ბარაბაძე (გავაშელიშვილი 58)

მატჩში ანგარიში 47-ე წუთზე გაიხსნა – „მეტალურგი" რევაზ გეწაძემ დააწინაურა. მალევე მასპინძლებმა სხვაობა ორბურთამდე გაზარდეს. ამჯერად „ტორპედოს" კარი ექსტორპედოელმა გიორგი ბერიაშვილმა აიღო. სტუმრებმა ერთი ბურთის გაქვითვა 77-ე წუთზე მოახერხეს – გოლი მამია გავაშელიშვილმა გაიტანა. ამ მოგებით „მეტალურგმა" სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

**ჩიხურა – ზუგდიდი 2:0**

**ქუთაისი.** ცენტრალური
1:0 ჯილაური (34), 2:0 ტატანაშვილი (61)

**ჩიხურა:** სომხიშვილი, ჯილაური (ქიმაძე 71), რეხვიაშვილი, გაბედავა, ტატანაშვილი, ლ.ჭელიძე, ბეჭვაია, კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე (ნ.კვასხვაძე 71), დათუნაიშვილი (ჩიკვაიძე 84)

**ზუგდიდი:** მამალაძე, ახალაია, ონიანი, აქუბარდია, რიგვავა, კობერიძე, ტყემალაძე (ქირია 69), ფარჯიკია (ქომეთიანი 76), წურწუმია (გულია 69), შ.ლომია, ეხვაია

მორიგი 3 ქულა მიითვალა სოსო ფრუიძის გაწვრთნილმა ჩიხურამ და მე-2 ადგილს არავის უთმობს. მორიგი გოლი გაიტანა დიმიტრი ტატანაშვილმა და ირაკლი მოდებაძეს ბომბარდირთა დავაში დაეწია. ტატანაშვილამდე კი ანგარიში ჯაბა ჯილაურმა გახსნა.

**გურია – ვიტ ჯორჯია 2:1**

**ქობულეთი.** ჩელე არენა
0:1 ჯავაშვილი (2), 1:1 ისიანი (51), 2:1 ჩიკვილაძე (82)

**გურია:** ბობღიაშვილი, ჩუენსუ, იობაშვილი, ჩიკვილაძე, ჯიშკარიანი, ჯოჯუა, კილაძე (გაჩეჩილაძე 54), შენგელია (ჯოხაძე 80), კოშკაძე, შალამბერიძე, ისიანი (ტორონჯაძე 86)

**ვიტ ჯორჯია:** დაუშვილი, იაშვილი, გეთიაშვილი, კასრაძე, ჯავაშვილი, დავლაშელიძე (კუხალეიშვილი 84), მაისურაძე, კორიფაძე (წყაროზია 80), ჯანელიძე, სიჭინავა (ღიბრაძე 73), ლობჯანიძე

ბოლო დროს ლანჩხუთელთა შემადგენლობაში უცხოელების დამატებაზე ბევრი იწერებოდა, თუმცა შემადგენლობაში ჯერ არავინ ჩანს. „გურიამ" ისევ მოიგო. მართალია, ამჯერად დასაწყისიდან ვე მისცა მეტოქეს ფორა – ჯავაშვილმა მე-2 წუთზე გაიტანა, თუმცა, მე-2 ტაიმში ისიანისა და ჩიკვილაძის გოლებით მაინც მოიგო.

**სპარტაკი – მერანი 1:0**

**თბილისი.** მიხეილ მესხი
1:0 ჭყონია (89)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე, მგელაძე, ქურდაძე, მეგრელიშვილი, კაკაშვილი, შონია, ჩაფიძე, თუხარელი (კემუხტაშვილი 55), თექთურმანიძე (ფანცხავა 88), მეტრეველი

**მერანი:** შეროზია, გეგეჭკორი, ქარქუზაშვილი, გაბუნია, მელიავა, კერძევაძე, ბაბუნაშვილი (ხუბუა 88), ფონიავა, ქათამაძე (ციკოლია 75), მელქაძე, კუჭუხიძე

კახი კაჭარავას მისვლიდან მოგებები დაიწყო „სპარტაკმა". ცხინვალელებმა ზედიზედ მეორე მატჩი მოიგეს და სატურნირო მდგომარეობა აშკარად გაიუმჯობესეს. გამარჯვების გოლი საფინალო სასტვენის წინ ჭყონიამ გაიტანა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო | 12 | 9 | 2 | 1 | 29:10 | 29 |
| 2.ჩიხურა | 12 | 8 | 1 | 3 | 27:19 | 25 |
| 3.გურია | 12 | 7 | 0 | 5 | 13:15 | 21 |
| 4.მეტალურგი | 12 | 6 | 3 | 3 | 18:16 | 21 |
| 5.ტორპედო | 12 | 5 | 4 | 3 | 17:11 | 19 |
| 6.დილა | 12 | 5 | 3 | 4 | 16:12 | 18 |
| 7.ზესტაფონი | 12 | 4 | 3 | 5 | 13:10 | 15 |
| 8.სიონი | 12 | 3 | 4 | 5 | 12:15 | 13 |
| 9.მერანი | 12 | 4 | 0 | 8 | 12:26 | 12 |
| 10.ვიტ ჯორჯია | 12 | 3 | 3 | 6 | 16:19 | 12 |
| 11.სპარტაკი | 12 | 3 | 1 | 8 | 9:16 | 10 |
| 12.ზუგდიდი | 12 | 1 | 4 | 7 | 5:18 | 7 |

ბომბარდირები: **ირაკლი მოდებაძე (დილა), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 9-9 ბურთი; დორინ გოგა (დინამო) – 7.**

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ტოტენჰემი-ნიუკასლი .................... 0:1
სანდერლენდი-სიტი .................... 1:0
მანჩესტერი-არსენალი .................... 1:0
სუონსი-სტოკი .................... 3:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.არსენალი | 11 | 8 | 1 | 2 | 22-10 | 25 |
| 2.ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 21-10 | 23 |
| 3.საუთჰემპტონი | 11 | 6 | 4 | 1 | 15-5 | 22 |
| 4.ჩელსი | 11 | 6 | 3 | 2 | 18-10 | 21 |
| 5.მანჩესტერი | 11 | 6 | 2 | 3 | 18-13 | 20 |
| 6.ევერტონი | 11 | 5 | 5 | 1 | 14-10 | 20 |
| 7.ტოტენჰემი | 11 | 6 | 2 | 3 | 9-6 | 20 |
| 8.სიტი | 11 | 6 | 1 | 4 | 28-12 | 19 |
| 9.ნიუკასლი | 11 | 5 | 2 | 4 | 15-16 | 17 |
| 10.ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 5 | 3 | 12-12 | 14 |
| 11.ასტონ ვილა | 11 | 4 | 2 | 5 | 11-12 | 14 |
| 12.ჰალი | 11 | 4 | 2 | 5 | 9-14 | 14 |
| 13.სუონსი | 11 | 3 | 3 | 5 | 15-15 | 12 |
| 14.კარდიფი | 11 | 3 | 3 | 5 | 9-15 | 12 |
| 15.ნორვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 9-21 | 11 |
| 16.ვესტ ჰემი | 11 | 2 | 4 | 5 | 9-11 | 10 |
| 17.სტოკი | 11 | 2 | 4 | 5 | 10-14 | 10 |
| 18.ფულემი | 11 | 3 | 1 | 7 | 10-19 | 10 |
| 19.სანდერლენდი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-22 | 7 |
| 20.კრ. პალასი | 11 | 1 | 1 | 9 | 6-21 | 4 |

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

იოვილი-უიგანი .................... 0:1

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ესპანიოლი-სევილია .................... 1:3
ვალენსია-ვალიადოლიდი .................... 2:2
ვილიარეალი-ატლეტიკო .................... 1:1
ბეტისი-ბარსელონა .................... 1:4

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 12 | 1 | 0 | 38-8 | 37 |
| 2.ატლეტიკო | 13 | 11 | 1 | 1 | 31-9 | 34 |
| 3.რეალი | 13 | 10 | 1 | 2 | 35-17 | 31 |
| 4.ვილიარეალი | 13 | 7 | 3 | 3 | 21-13 | 24 |
| 5.ბილბაო | 13 | 7 | 2 | 4 | 20-18 | 23 |
| 6.ხეტაფე | 13 | 6 | 2 | 5 | 17-14 | 20 |
| 7.სოსიედადი | 13 | 4 | 5 | 4 | 19-17 | 17 |
| 8.გრანადა | 13 | 5 | 2 | 6 | 11-13 | 17 |
| 9.ვალენსია | 13 | 5 | 2 | 6 | 17-21 | 17 |
| 10.ლევანტე | 13 | 4 | 5 | 4 | 13-17 | 17 |
| 11.სევილია | 13 | 4 | 4 | 5 | 23-26 | 16 |
| 12.ესპანიოლი | 13 | 4 | 3 | 6 | 13-18 | 15 |
| 13.ელჩე | 13 | 3 | 5 | 5 | 13-17 | 14 |
| 14.მალაგა | 13 | 3 | 4 | 6 | 15-19 | 13 |
| 15.ვალიადოლიდი | 13 | 2 | 6 | 5 | 16-20 | 12 |
| 16.სელტა | 13 | 3 | 3 | 7 | 14-18 | 12 |
| 17.ალმერია | 13 | 3 | 3 | 7 | 15-24 | 12 |
| 18.რაიო | 13 | 4 | 0 | 9 | 12-30 | 12 |
| 19.ოსასუნა | 13 | 3 | 1 | 9 | 10-22 | 10 |
| 20.ბეტისი | 13 | 2 | 3 | 8 | 12-24 | 9 |

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

უელვა-დეპორტივო .................... 0:1
მალიორკა-პონფერადინა .................... 2:2
მირანდესი-ხირონა .................... 1:2
ხიხონი-საბადელი .................... 3:1
ტენერიფე-ეიბარი .................... 2:0
რეალი ბ-ალავესი .................... 1:0

### იტალია. სერია ა

ჯენოა-ვერონა .................... 2:0
ატალანტა-ბოლონია .................... 2:1
კალიარი-ტორინო .................... 2:1
კიევო-მილანი .................... 0:0
რომა-სასუოლო .................... 1:1
პარმა-ლაციო .................... 1:1
ფიორენტინა-სამპდორია .................... 2:1
იუვენტუსი-ნაპოლი .................... 3:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რომა | 12 | 10 | 2 | 0 | 26-3 | 32 |
| 2.იუვენტუსი | 12 | 10 | 1 | 1 | 26-10 | 31 |
| 3.ნაპოლი | 12 | 9 | 1 | 2 | 24-11 | 28 |
| 4.ინტერი | 12 | 7 | 4 | 1 | 29-12 | 25 |
| 5.ფიორენტინა | 12 | 7 | 3 | 2 | 24-14 | 24 |
| 6.ვერონა | 12 | 7 | 1 | 4 | 22-19 | 22 |
| 7.ჯენოა | 12 | 5 | 2 | 5 | 13-14 | 17 |
| 8.ლაციო | 12 | 4 | 4 | 4 | 16-16 | 16 |
| 9.ატალანტა | 12 | 5 | 1 | 6 | 14-15 | 16 |
| 10.მილანი | 12 | 3 | 4 | 5 | 17-19 | 13 |
| 11.პარმა | 12 | 3 | 4 | 5 | 17-20 | 13 |
| 12.უდინეზე | 12 | 4 | 1 | 7 | 11-15 | 13 |
| 13.კალიარი | 12 | 3 | 4 | 5 | 13-20 | 13 |
| 14.ტორინო | 12 | 2 | 6 | 4 | 18-21 | 12 |
| 15.ლივორნო | 12 | 3 | 3 | 6 | 13-18 | 12 |
| 16.ბოლონია | 12 | 2 | 4 | 6 | 14-24 | 10 |
| 17.სასუოლო | 12 | 2 | 4 | 6 | 13-28 | 10 |
| 18.სამპდორია | 12 | 2 | 3 | 7 | 13-22 | 9 |
| 19.კატანია | 12 | 2 | 3 | 7 | 8-19 | 9 |
| 20.კიევო | 12 | 1 | 3 | 8 | 7-18 | 6 |

### გერმანია. ბუნდესლიგა

მაინცი-აინტრახტი .................... 1:0
ფრაიბურგი-შტუტგარტი .................... 1:3

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 12 | 10 | 2 | 0 | 27-7 | 32 |
| 2.დორტმუნდი | 12 | 9 | 1 | 2 | 32-11 | 28 |
| 3.ლევერკუზენი | 12 | 9 | 1 | 2 | 27-14 | 28 |
| 4.გლადბახი | 12 | 7 | 1 | 4 | 28-16 | 22 |
| 5.ვოლფსბურგი | 12 | 7 | 0 | 5 | 18-14 | 21 |
| 6.შალკე | 12 | 6 | 2 | 4 | 23-23 | 20 |
| 7.ჰერტა | 12 | 5 | 3 | 4 | 20-16 | 18 |
| 8.შტუტგარტი | 12 | 4 | 4 | 4 | 24-21 | 16 |
| 9.მაინცი | 12 | 5 | 1 | 6 | 17-23 | 16 |
| 10.ვერდერი | 12 | 4 | 3 | 5 | 13-20 | 15 |
| 11.ჰანოვერი | 12 | 4 | 2 | 6 | 14-19 | 14 |
| 12.ჰოფენჰაიმი | 12 | 3 | 4 | 5 | 28-28 | 13 |
| 13.აუგსბურგი | 12 | 4 | 1 | 7 | 13-23 | 13 |
| 14.ჰამბურგი | 12 | 3 | 3 | 6 | 26-29 | 12 |
| 15.აინტრახტი | 12 | 2 | 4 | 6 | 14-21 | 10 |
| 16.ფრაიბურგი | 12 | 1 | 5 | 6 | 13-24 | 8 |
| 17.ბრაუნშვაიგი | 12 | 2 | 2 | 8 | 8-23 | 8 |
| 18.ნიურნბერგი | 12 | 0 | 7 | 5 | 12-25 | 7 |

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-კიოლნი .................... 1:0
დინამო-აუე .................... 1:1
დიუსელდორფი-ზანდჰაუზენი .................... 1:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ბორდო-ნანტი .................... 0:3
მარსელი-სოშო .................... 2:1
სტ.ეტიენი-ლიონი .................... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 9 | 4 | 0 | 27-8 | 31 |
| 2.ლილი | 13 | 8 | 3 | 2 | 15-4 | 27 |
| 3.მონაკო | 13 | 7 | 5 | 1 | 21-11 | 26 |
| 4.ნანტი | 13 | 7 | 2 | 4 | 19-10 | 23 |
| 5.მარსელი | 13 | 6 | 3 | 4 | 18-13 | 21 |
| 6.რეიმსი | 13 | 4 | 7 | 2 | 15-12 | 19 |
| 7.ლიონი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-16 | 18 |
| 8.გენგამი | 13 | 5 | 3 | 5 | 16-14 | 18 |
| 9.სტ. ეტიენი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-17 | 18 |
| 10.ბასტია | 13 | 5 | 3 | 5 | 15-19 | 18 |
| 11.რენი | 13 | 4 | 5 | 4 | 16-13 | 17 |
| 12.ბორდო | 13 | 4 | 5 | 4 | 16-17 | 17 |
| 13.ნიცა | 13 | 5 | 2 | 6 | 14-16 | 17 |
| 14.ევიანი | 13 | 4 | 4 | 5 | 15-21 | 16 |
| 15.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 11-19 | 16 |
| 16.მონპელიე | 13 | 2 | 8 | 3 | 16-17 | 14 |
| 17.ლორიანი | 13 | 3 | 2 | 8 | 11-23 | 11 |
| 18.ვალანსიენი | 13 | 2 | 3 | 8 | 11-20 | 9 |
| 19.აიაჩო | 13 | 1 | 5 | 7 | 9-19 | 8 |
| 20.სოშო | 13 | 1 | 4 | 8 | 11-24 | 7 |

### ჰოლანდია. ეპედივიზიონი

ზვოლე-ტვენტე .................... 1:1
ბრედა-პსვ .................... 2:1
ნაიმეგენი-აიაქსი .................... 0:3
ფეინოორდი-ალკმაარი .................... 2:2

### რუსეთი. პრემიერლიგა

ცსკა-ტერეკი .................... 4:1
რუბინი-კრასნოდარი .................... 0:1
ყუბანი-ვოლგა .................... 4:0

### ავსტრია. ბუნდესლიგა

გროდიგი-რაპიდი .................... 2:2
ადმირა-ზალცბურგი .................... 3:1

### ბელგია. პროლიგა

სტანდარდი-ბრიუგე .................... 0:0
გენკი-ანდერლეხტი .................... 0:1
ვარეგემი-ბევერენი .................... 2:0

### თურქეთი. სუპერლიგა

ქონია-ანთალია .................... 2:0
გენჩერბირლიგი-ტრაბზონი .................... 3:2
ფენერბახჩე-გალათასარაი .................... 2:0

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-ატრომიტოსი .................... 2:1
ვერია-კალონისი .................... 0:3
პანათინაიკოსი-ლევადიაკოსი .................... 2:1
ერგოტელისი-პანთრათიკოსი .................... 3:1
ოლიმპიაკოსი-პაოკი .................... 4:0

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

იაბლონეცი-პრჟიბრჟამი .................... 6:0
სლავია-ბრნო .................... 0:0
სიგმა-სპარტა .................... 1:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

შლიონსკი-კორონა .................... 1:1
ვიძევი-ლეგია .................... 0:1

### უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალურგი(დ)-მეტალისტი .................... 3:0
ჩერნომორეცი-სევასტოპოლი .................... 2:0
ვოლინი-დინამო .................... 1:4

### დანია. სუპერლიგა

ოდენსე-ვესტშელანი .................... 1:3
ესბიერგი-კოპენჰაგენი .................... 1:1
ბრონდბიუ-ორხუსი .................... 3:0

### შვედეთი. სუპერეთასი

მალმიო-გიოტებორგი .................... 3:2

### შვედეთი. ალსვენსკა

**პლეი ოფი**

ჰალმშტადი-სუნდსვალდი .................... 2:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ბრანი-ტრომსო .................... 4:1
ვიკინგი-სარპსბორგი .................... 2:1
ვალერენგა-ულფი .................... 2:0
ლილესტრიომი-რუსენბორგი .................... 0:3
მიოლდე-სტარტი .................... 0:1
სონგდალი-ალესუნდი .................... 1:2
სტრომგოდსეტი-ჰაუგესუნდი .................... 4:0
ოდ გრელანდი-ჰონეფოსი .................... 3:2

### აშშ. მლს

**პლეი ოფი**

სოლტ ლეიკი-პორტლენდი .................... 4:2

### ბრაზილია. სერია ა

ატლატიკო(პ)-სან პაულუ .................... 3:0
ინტერნასიონალი-ბოტაფოგო .................... 2:1
კრუზეირო-გრემიო .................... 3:0
პონტე პრეტა-ვიტორია .................... 0:3
ვასკუ-სანტოსი .................... 2:2
კორინთიანსი-ფლუმინენსე .................... 1:0
ნაუტიკუ-კრისიუმა .................... 0:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

ბელგრანო-კოლონი .................... 2:0
ბოკა-ტიგრე .................... 2:1
რასინგი-არხენტინოსი .................... 0:1
ველეჟი-რივერ პლეიტი .................... 0:0

## კალათბურთი

### ნბა. რეგულარული სეზონი

ოკლაჰომა-ვაშინგტონი .. 106:105(ოტ)
ფინიქსი-ნიუ ორლეანი .................... 101:94
ლეიკერსი-მინესოტა .................... 90:113

## ჩოგბურთი

### ატპ. შემაჯამებელი ტურნირი

ნადალი-ფედერერი .................... 7:5;6:3
ჯოკოვიჩი-ვავრინკა .................... 6:3;6:3

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული სეზონი

მონრეალი-აილენდერსი .................... 4:2
ნიუ ჯერსი-ნეშვილი .................... 5:0
რეინჯერსი-ფლორიდა .................... 4:3
ჩიკაგო-ედმონტონი .................... 5:4
ანაჰაიმი-ვანკუვერი .................... 3:1
ვინიპეგი-სან ხოსე .................... 4:4(1:0ბ)
კოლორადო-ვაშინგტონი .................... 4:1

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# რესტავრაციის ლაბორატორიამ 25.000-მდე ფურცელი აღადგინა

ეკა ირემაშვილი

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის რესტავრაციის ლაბორატორიაში 2013 წლის ცხრა თვის განმავლობაში სარესტავრაციო და საკონსერვაციო სამუშაოები ჩაუტარდა: 25.000-მდე ფურცელს, 6 ფოტოალბომს, 347 ფოტოპოზიტივს, 657 ტექნიკურ ნახაზს.

– რესტავრირებულ დოკუმენტთა შორისაა საისტორიო ცენტრალური არქივის ძველ საბუთთა განყოფილებაში დაცული ხელნაწერი წიგნები – 719 ფურცელი, მათ შორის მე-14 საუკუნის აპოკრიფი – მცნებანი ქრისტესნი, ეტრატი, შესრულებული ნუსხურით; მე-15 საუკუნის სადღესასწაულო, ეტრატი, შესრულებული ნუსხურით. ხელნაწერებს ჩაუტარდა დეზინფექცია, ეტრატები გასწორდა და შეივსო ნაკლული ადგილები. მე-15 საუკუნის დოკუმენტი ჩაისვა ტყავის ყდაში, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი სოფიო ჯობავა.

მისივე თქმით, მიმდინარე წელს გრძელდება მე-14 საუკუნის ჟამნ-გულანის რესტავრაცია. ხელნაწერი შესრულებულია ეტრატზე, ნუსხურით, საწყისი ასოები ასომთავრულით, ხოლო სათაურები და საყურადღებო ადგილები სინგურით.

– ჟამნ-გულანი სხვადასხვა სასულიერო ნაწარმოებების კრებულია და იგი შემდეგი ნაწილებისაგან შედგება: ზეთის კურთხევა (ნაწყვეტი); წესი და განგებულება კანონთა ლოცვისა; დავითნის საგალობელი ფსალმუნები; პარაკლიტონიდან საკითხავები და საგალობლები; ჟამნი შუაღამისანი; ლოცვანი და სხვა, – ამბობს ეროვნული არქივის წარმომადგენელი.

გარდა რესტავრაციისა, ლაბორატორიაში სადეზინფექციო სამუშაოები ჩაუტარდა ძველ საბუთთა განყოფილების 14.500 ფურცელს.

– ლაბორატორია ჩართულია, აგრეთვე, დოკუმენტების დიგიტალიზაციის პროექტში, რომლის ფარგლებშიც ცხრა თვის განმავლობაში დასასკანერებლად მომზადდა, ხელახლა აიკინძა და ყდაში ჩაისვა 1.450 საქმე, – ამბობს სოფიო ჯობავა.

# ელდარ შენგელაია სოფიკო ჭიაურელის პრიზის მფლობელია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

დგენა და შემდგომი განვითარება. ღონისძიება მიზნად ისახავს, კიდევ ერთხელ აჩვენოს ის ფართო შესაძლებლობები, რასაც ზოგადად ემსახურება ხელოვნებისა და კულტურათაშორის დიალოგი, – განაცხადა ფესტივალის დირექტორმა მაკო ჯაოშვილმა.

ფესტივალის ფარგლებში დაიგეგმა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის კინოსა და ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტების შეხვედრა კინოპროდიუსერ არტიომ ვასილიევთან და მისი სემინარის „კინოსა და რეკლამის შეხვედრა" მოსმენა.

– ამ სემინარზე არტიომ ვასილიევმა კინოინდუსტრიის ხერხების მარკეტინგული კომუნიკაციების კუთხით გამოყენების თაობაზე ისაუბრა. ნამდვილად მნიშვნელოვანია ქართულ-რუსული ინდუსტრიული ფორუმი, რომლის ფარგლებში რუსი კინემატოგრაფისტები და ქართველი პროდიუსერები, ასევე დამწყები კინომოღვაწეები შეძლებენ საერთო პლატფორმის ჩამოყალიბებას. მოგეხსენებათ, ფორუმი არის პირველი ნაბიჯი, ეს არის გაცნობითი ხასიათის შეხვედრა. ამ ფორუმის მიზანი არის, შეისწავლოს საქართველოს პოტენციალი. ინდუსტრიული ფორუმის ფარგლებში შესაძლოა ახალ კინოპროექტზეც დაიწყოს მუშაობა, – აღნიშნა ფესტივალის დირექტორმა.

წელს კინოფესტივალის მონაწილეთა შორის მოხვდნენ ცნობილი რეჟისორები, მსახიობები, პროდიუსერები და კრიტიკოსები, მათ შორის, დიმიტრი ასტრახანი, ანდრეი და ავდოტია სმირნოვები, ვალერი ტადაროვსკი, იური კალაკონიკოვი და სხვები. სპეციალური სტუმრის სტატუსით, ფესტივალზე დასწრების სურვილი გამოთქვა ანდრეი ტარკოვსკის შვილმა ალექსეი ტარკოვსკიმ. ჩამოსული სტუმრების მხრიდან ფესტივალს წარდგენის სურვილი გამოთქვეს ანდრეი სმირნოვმა, არტიომ ვასილიევმა, ნიკიტა ეფრემოვმა, ვიაჩესლავ შმიროვმა, ავდოტია სმირნოვამ და ევგენი გინდილისმა.

ფესტივალის ფარგლებში პირველად გაიმართა „ინდუსტრიული ფორუმი", რომელიც ემსახურებოდა ქართველ და რუს კოლეგებს რეჟისორებს, პროდიუსერებს, სცენარის ავტორებს შორის ხელსაყრელი კონტაქტების დამყარებას და სასარგებლო ინფორმაციის ურთიერთგაცვლას.

წლევანდელი რუსული კინოს ფესტივალი გახსნა ფილმმა ფარაჯანოვი (რეჟისორები ე. ფეტისოვა, ს. ავედიკიანი, 95 წუთი). საფესტივალო პროგრამაში კი მოხვდნენ უახლესი ფილმები, მათ შორის „მხოლოდ სიკვდილი მოაუცილებელი..." (რეჟისორი მ. წურწუმია, 120 წუთი), „რეპეტიციები" (რეჟისორი ო. კარასი, 102 წუთი), „იყო და არა იყო რა, იყო ერთი ქალი" (რეჟიჩსორი ა. სმირნოვი, 150 წუთი), „მოსკოვური ბინდი" (რეჟისორი ა. ზვანცოვა, 87 წუთი), „ინტიმური ადგილები" (რეჟისორები ნ. მერკულოვა, ა. ჩუპოვი, 80 წუთი), „ბალღები" (რეჟისორი დ. ასტრახანი, 104 წუთი), „განვედ!..." (რეჟისორი დ. ასტრახანი, 88 წუთი), ფილმი მიეძღვნა ოთარ მეღვინეთუხუცესის ხსოვნას, „კავშირი" (რეჟისორი დ. სმირნოვი, 80 წუთი), „ის", (რეჟისორი ლ.სადილოვა, 88 წუთი), „მისი ცოლის დღიური" (რეჟისორი ა. უჩიტელი, 120 წუფთი), „ზამთრის გზა", (რეჟისორები ს. ტარამაევი, ლ. ლვოვა, 95 წუთი), „წყურვილი" (რეჟისორი დ. ტიურინი, 102 ზუთი), „შაპიტო შოუ" (რეჟისორი ს. ლობანი, 207 წუთი), „დედოფალი" (რეჟისორი ლ. გრიგორიანი, 100 წზუთი), „ყველაფერი მარტივია" (რეჟისორი ს. კარპუნინა, 98 ზუთი), „ათიანი" (რეჟიჩსორი ვ. კოზლოვი, 82 წუთი), „გოგონა და სიკვდილი" (რეჟისორი ი. სტელინგი, 128 წზუთი), „კუ! ქინ-ძა-ძა!" (რეჟისორები გ. დანელია, ტ. ილინა, 90 წუთი), „მოთხრობები" (რეჟისორი მ. სეგალი, 105 წუთი), „ლეგენდა №17" (რეჟისორი ნ. ლებედევი, 134 წუთი), „გლამური" (რეჟისორი ა. კონჩალოვსკი, 117 წუთი), „შვილიკო" (რეჟისორი ლ. სადილოვი, 96 წუთი), „ხანგრძლივი, ბედნიერი სიცოცხლე" (რეჟისორი ბ. ხლებნიკოვი, 80 წუთი), „გეოგრაფმა გლობუსი დაამღერა" (რეჟისორი ა. ველედინსკი, 120 წუთი) და „მეტრო" (რეჟისორი ა. მეგერდიჩევი, 131 წუთი). ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმები გადანაწილებული იყო სხვადასხვა პროგრამაში, მათ შორის „კინო აქცენტით", „ახალგაზრდა კინო", „ანდრეი და ავდოტია სმირნოვების ფილმების რეტროსპექტივა", „ფესტივალის მეინსტრიმი", „კინოკავშირი", „დიდი ეკრანი".

როგორც ფესტივალის მესვეურებმა განაცხადეს, ყოველწლიურად ფესტივალი კიდევ უფრო მოიკრებს ძალებს და უფრო ფართომასშტაბიანი ღონისძიებებით დაბრუნდება საქართველოში.

ქართველი რეჟისორის ელდარ შენგელაიას განცხადებით კი:

– ნამდვილად კარგია ასეთი ფესტივალების ჩატარება. ჩვენ უნდა ვიცოდეთ რა ხდება ჩვენს მეზობელს სახელმწიფოებში კინემატოგრაფიის კუთხით. ძალიან კარგია, რომ რუსეთიდან ჩვენთან ჩამოდის უახლესი კინოები და არანაკლებ კარგი იქნება, თუკი ჩვენს ჩავიტანთ ქართულ ფილმს რუსეთში. რუსული კინოს ფესტივალი კარგია და კარგი იქნება ქართული კინოს ფესტივალი რუსეთში, რადგან ჩვენ გვყავს კარგი თანამედროვე რეჟისორები, რომლებიც ნამდვილად ღირებულ ფილმებს ქმნიან.

# კახური ბარაქა გიორგიწმინდის კარმიდამოში დაბრუნებულია

ეკა ირემაშვილი

**საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიულ მუზეუმში ღია ცის ქვეშ „გაცოცხლებული" კახური სახლის პრეზენტაცია წარმოადგინა.**

ღონისძიებამ სახელწოდებით „კახური ბარაქის დაბრუნება გიორგიწმინდის კარმიდამოში" ვიზიტორებს სხვადასხვა, მრავალფეროვანი აქტივობა შესთავაზა.

– საექსპოზიციოდ მოწყობილი კახური კარმიდამო, უნიკალური ერდო-ბანიანი დარბაზული საცხოვრისითა და სამეურნეო-კულტურული ტრადიციებით, მე-19 საუკუნის კახურ ყოფა-ცხოვრებას გაცოცხლებული სცენარით წარმოადგენს. გიორგიწმინდის დარბაზული სახლი 1974 წელს კახეთიდან, სოფელ გიორგიწმინდიდან ეთნოგრაფიულ მუზეუმში იქნა გადმოტანილი. წლების განმავლობაში მას მრავალმხრივი დაზიანება გაუჩნდა. 2008-10 წლებში საქართველოს ეროვნული მუზეუმის, ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატისა და იკომოს საქართველოს ერთობლივი პროექტის ფარგლებში, უძველესი ხელსაწყოებისა და ტრადიციული მეთოდების გამოყენებით, გიორგიწმინდის სახლზე აღდგენითი სამუშაოები განხორციელდა, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა ანა ვერულაშვილმა.

მისივე თქმით, ამჟამად გიორგიწმინდის სახლმა ახალი სიცოცხლე შეიძინა, მოწყობილი ექსპოზიცია, სტუმრებს ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს თანამედროვე დროში უცვლელი სახით სთავაზობს. კახური კარმიდამოს მასპინძელი, ტრადიციულ სამოსში გამოწყობილი „ოჯახის უფროსი" სტუმრებს კახელი კაცის სამეურნეო კულტურის, ვაზისა და პურის საკრალური მნიშვნელობის შესახებ მოუთხრობს, „დიასახლისი" კი კარმიდამოში მოწყობილ ტრადიციულ სათონეში კახურ შოთის პურებს გამოაცხობს. ვიზიტორები არა მხოლოდ ცხობის თანამონაწილენი გახდებიან, არამედ საშუალება ექნებათ, შეიტყონ უფრო მეტი შოთის პურის შექმნისა და მისი ცხობის ტრადიციების შესახებ.

– ამ პროგრამის მიზანია საქართველოში ხალხური ტრადიციების აღორძინება-შენარჩუნება და მისი ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის.

ღონისძიება ხორციელდება ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის" მხარდაჭერით, – განაცხადა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ტროს თანამშრომლები, ჟურნალის ძველი და ახალი ავტორები, მწერლები და ერთგული მკითხველები.

გოეთეს ინსტიტუტისა და კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით სამინისტროს დარბაზში გაიმართა ქართველი ვიოლონჩელისტის თამარ გაბარაშვილის კლასის მოსწავლეების ლიზა რამიშვილის, არჩილ ჩხიკვიშვილის, გია ხეოშვილის და რეზო ხაინდრავას კონცერტი. საღამოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი გურამ ოდიშარია, გოეთეს ინსტიტუტის დირექტორი შტეფან ვაკვიცი, პროექტის „მოსწავლეთა საანსამბლო-საშემსრულებლო ხელოვნების მუსიკალური საღამოები" ავტორი მარინა ჩიხლაძე, კონსერვატორიის პედაგოგები, სტუდენტები, მუსიკოსები ესწრებოდნენ.

ღონისძიება მიზნად ისახავდა კამერული მუსიკის პოპულარიზაციას და ჩატარდა პროექტის „მოსწავლეთა საანსამბლო-საშემსრულებლო ხელოვნების მუსიკალური საღამოები" ფარგლებში. კამერული მუსიკის საღამოზე კონცერტმაისტერებთან, თინათინ ალავიძესთან და ინგა ლობჟანიძესთან ერთად, რომბერტის, პოპერის და შუმანის ნაწარმოებები ლიზა რამიშვილმა, არჩილ ჩხიკვიშვილმა, გია ხეოშვილმა და რეზო ხაინდრავამ შეასრულეს.

ამავე პროექტის ფარგლებში, კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, უკვე გაიმართა პროფესორების თამაზ ბათიაშვილის და ნოდარ ჟვანიას კლასის პრეზენტაციები. დაგეგმილია კიდევ ორი კონცერტი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ სახელმწიფო კვარტეტის წევრების – პროფესორების კონსტანტინე ვარდელისა და ოთარ ჩუბინიშვილის კლასების გამორჩეული სტუდენტები.

# კულტურის მინისტრმა საზოგადო მოღვაწეები დააჯილდოვა

2014 წლის იანვარში, საშობაოდ, თბილისის კონსერვატორიის მცირე დარბაზში პროექტის დასკვნითი კონცერტი შედგება. ახალგაზრდა შემსრულებლებთან ერთად მსმენელის წინაშე წარდგებიან თამარ გაბარაშვილი, კონსტანტინე ვარდელი, თამაზ ბათიაშვილი, ნოდარ ჟვანია და ოთარ ჩუბინიშვილი.

თამარ გაბარაშვილი ალექსანდრე ჩიჯავაძის და მსტისლავ როსტროპოვიჩის აღზრდილი ქართველი ვიოლონჩელისტი, ქართული საშემსრულებლო ხელოვნების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელიც 3 ათეული წელია თბილისის კონსერვატორიასა და ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ნიჭიერთა ათწლედში მოღვაწეობს.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა გურამ ოდიშარიამ „სასაზღვრო ხელოვნების, კულტურებისა და ეთნოსების" ცენტრის ხელმძღვანელი კშიშტოფ ჩიჟევსკი მიიღო. პოლონეთში ვიზიტის შემდეგ, მინისტრის მოწვევით, „სასაზღვრო ხელოვნების, კულტურებისა და ეთნოსების" ცენტრის დირექტორმა კშიშტოფ ჩიჟევსკიმ კულტურის სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე „ინტერკულტურული დიალოგის პრაქტიკა და ფილოსოფია".

– კშიშტოფ ჩიჟევსკი არის პოეტი, ესეისტი, კულტურის ანიმატორი, რედაქტორი, ფონდ „საზღვრის" ერთერთი დამფუძნებელი და 1990 წლიდან მისი პრეზიდენტი; „სასაზღვრო ხელოვნების, კულტურებისა და ეთნოსების" ცენტრის ხელმძღვანელი, ასევე ლიტერატურული სახლების ევროპული ქსელის „ჰალმა" პრეზიდენტი. იგი ასევე არის პროექტ „ლუბლინი კულტურის ევროპული დედაქალაქი" სამხატვრო ხელმძღვანელი და აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურის კონგრესის საბჭოს დამფუძნებელი და პრეზიდენტი. ავტორია წიგნებისა „საზღვრის ბილიკი", „დაბრუნების ხაზი", „დიალოგის სახელმძღვანელო ნდობა და იდენტობა", – აღნიშნა მინისტრმა.

მის ლექციას ესწრებოდნენ სამინისტროს თანამშრომლები, მიწვეული სტუმრები და ამ თემით დაინტერესებული საზოგადოების წევრები.

საქართველოში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების გარდა, კულტურის სამინისტრო ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას საქართველოს ფარგლებს გარეთაც ეწევა. ქართული ხელოვნება ვილნიუსში კულტურის სამინისტროს ეგიდით იქნა წარმოდგენილი. აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტის გახსნამდე ლიტვამ ქართულ ხელოვნებას უმასპინძლა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თითქმის ორი თვის მანძილზე, ვილნიუსში თანამედროვე ქართულ ხელოვნებას წარმოადგენს. 2013 წლის ბოლომდე, ლიტვის ქალაქი ვილნიუსი ქართულ ხელოვნებას მასპინძლობს. ქართული პროგრამა, საფორტეპიანო ტრიოს „სემპრე" კონცერტით გაიხსნა. ლიტვის ეროვნული ფილარმონიული საზოგადოების მცირე დაბაზში თამარ ლიჩელმა (ფორტეპიანო), ლელა მჭედლიძემ (ვიოლინო) და ჰაიკ ბაბაიანმა (ჩელო) დაუკრეს.

თანამედროვე ქართული ხელოვნების წარმოჩენა ვილნიუსში ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის სამიტამდე დაიწყო, გაგრძელდა მის პარალელურად და იანვრამდე გასტანს. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმილი მასშტაბური ღონისძიებები კიდევ ერთხელ დაადასტურებს საქართველოსა და ლიტვას შორის არსებულ მჭიდრო კულტურულ და პოლიტიკურ კავშირებს.

კულტურულ პროგრამაში წარმოდგენილნი არიან ქართველი მუსიკოსები, მხატვრები, კინოხელოვანები... დაგეგმილია ძვ. წ. I ათასწლეულის ვერცხლისა და ბრინჯაოს ექსპონატების ექსპოზიცია ქართული კულტურული მემკვიდრეობის საგანძურიდან, რომელიც ლიტვის ხელოვნების მუზეუმში მოეწყობა; 15 ნოემბერს შედგება თვითნასწავლი ფოტოგრაფის, შალვა ალხანაიძის ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით „თუშეთის გზაზე".

– მაღალი ფოტოგრაფიული კულტურისა და ტრადიციების მქონე ლიტვურ პუბლიკას შანსი ეძლევა ქართული ფოტოგრაფიის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო და თვითმყოფადი ავტორი გაიცნოს და მისი უნიკალური ფოტოების მეშვეობით დაათვალიეროს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მშვენიერი კუთხე თუშეთი, – ამბობენ კულტურის სამინისტროში.

ქართული კულტურის წარმოჩენისთვის ვილნიუსში გაიმართება საქართველო-ესტონეთის ახალი, ერთობლივი ნამუშევრის „მანდარინები" და სხვა ქართული ფილმების ჩვენება.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ინიციატივით, ორგანიზებითა და მხარდაჭერით, 2013 წლის ბოლომდე, ლიტვის დედაქალაქი ვილნიუსი თანამედროვე ქართულ ხელოვნებას გაიცნობს.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იაპონური ჭიდაობა; 2. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. იგავ-არაკთა მამამთავარი; 4. წნული ქოხი სამეგრელოში; 5. მდინარე ტოკიოში; 6. კუთხე საქართველოში; 8. მწერების შემსწავლელი მეცნიერი; 10. ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 11. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 14. სამურაბე ლამბაქი; 15. ნიადაგის დამამუშავებელი სასოფლო-სამეურნეო იარაღი; 16. ვულკანიდან ამოფრქვეული სილიკატური მასა.

**თარაზულად:** 1. რაიონული ცენტრი იმერეთში; 4. ამერიკელ კომპოზიტორ იგორ სტრავინსკის ბალეტი; 7. შემწე, მფარველი ადამიანი; 9. საპატარძლოსათვის მირთმეული საქორწილო ნიშანი; 12. რესტორანი საესტრადო წარმოდგენით; 13. ხელოვნური მარმარილო; 14. ქვის, ღორღის დამაქუცმაცებელი მანქანა; 17. კურკოვანი ხილი; 18. პირობითი, საიდუმლო ნიშნებით შედგენილი ბარათი; 19. პატარა, საოქრომჭედლო გრდემლი; 20. ზღვის წვრილი თევზი, ფართო რეწვის ობიექტი.



შეადგინა თ.გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. აბსცისა; 3. პანიკა; 8. კამერა; 10. მუნდირი; 11. მერია; 12. დიოპტრი; 14. ანატოლ; 15. კრამიტი; 16. ლეკვი; 19. კარეტა; 20. დიადემა; 21. მანანა.

**შვეულად:** 1. აგამემნონი; 2. სამუმი; 3. პალიტრა; 4. კობრი; 5. „კაპიტალი"; 6. ფესვი; 7. ლაინერი; 9. კრისტი; 13. პიურე; 17. კომა; 18. რეა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. არგონი; 2. დარკი; 3. ნიკორა; 4. პერიოდი; 5. აკინაკი; 6. ია; 7. ჩაკ; 8. ლაკმუსი; 9. ასკილი; 10. ბინომი; 11. არ; 12. პა; 13. სუმო; 14. კვაჭალათი; 15. ეტნა; 16. ძუა; 17. მაკა; 18. არკებუზი; 19. ჩანთა; 20. დიანა; 21. მკითხავი; 22. კამეა; 23. ანძა; 24. ჭანარი; 25. „ინდიანა"; 26. აარე; 27. ვირთხა; 28. რაე; 29. არარა; 30. ასალი; 31. სათლი; 32. ანარა; 33. ლა.

**სურათებზე:** ვანესა მეი; ოლე გუნარ სოლსკიაერი.

# ჩრდილოეთ კორეაში 80 ადამიანი სიკვდილით საჯაროდ დასაჯეს



ალნიშნულის მიზეზი სამხრეთ კორეული ფილმების ნახვა და პორნოგრაფიის გავცელება გახდა.

„ჯოინს.ქომის“ ინფორმაციით, ქალაქ ვონსანში 8 ადამიანი სტადიონის ბოძებზე მიაბეს, თავზე ტომრები წამოაცვეს და ტყვიამფრქვევით დახვრიტეს. სტადიონზე საჯაროდ დახვრეტის ცერემონიალს 10 ათასი ადამიანი ესწრებოდა, მათ შორის ბავშვები. თვითმხილველების თქმით, მათ დახვრეტის ცერემონიალის ყურება აიძულეს.

საჯარო დახვრეტა 7 ქალაქში ერთდროულად გაიმართა.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ხელისუფლებაში კიმ ჩენ ინის მოსვლის შემდეგ, ეს ყველაზე მასობრივი დასჯაა.

2013 წლის აგვისტოში ცნობილი გახდა, რომ ჩრდილოეთ კორეაში პატრიოტული სიმღერების შემსრულებელი ორი მუსიკალური ჯგუფის წევრები დახვრიტეს. სასჯელის მიზეზი მუსიკოსების „ზედმეტად თავისუფალი ხასიათის“ გადაღებებში მონაწილეობა იყო. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, დახვრეტილთა შორის აღმოჩნდა კიმ ჩენ ინის ყოფილი შეყვარებული, რომელთანაც მან ურთიერთობა მამის – კიმ ჩენ ირის მოთხოვნით შეწყვიტა.

# უკრაინამ რუსეთისაგან გაზის შესყიდვა მთლიანად შეწყვიტა



რუსეთის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის ცენტრალური სადისპეჩერო განყოფილების ინფორმაციით, პარასკევს, 8 ნოემბერს „ნაფტოგაზმა“ „გაზპრომისაგან“ გაზის შესყიდვა შეწყვიტა.

„ტსნ-ს“ ინფორმაციით, ოქტომბერში უკრაინამ 3,2 მილიარდი კუბური მეტრი გაზი მიიღო. ნოემბრის დასაწყისში გაზის შესყიდვა ორჯერ შემცირდა, 8 ნოემბერს კი მიწოდება შეწყდა.

ცოტა ხნის წინ ცნობილი გახდა, რომ უკრაინას რუსეთისათვის აგვისტოს თვეში მიწოდებული გაზის დავალიანება, 882 მილიონი დოლარი ჰქონდა დასაფარი. მოგვიანებით, „გაზპრომმა“ განაცხადა, რომ ამის გამო უკრანას შესაძლოა სანქციები დაკისრებოდა, რასაც პრემიერი დიმიტრი მედვედევიც დაეთანხმა. თავის მხრივ უკრაინა რუსეთს დაემუქრა, რომ ევროპაში სატრანზიტო მილსადენს გადაკეტავდა და გაზის შესყიდვას მინიმუმამდე შეამცირებდა. 5 ნოემბერს უკრაინის ენერგეტიკის მინისტრმა ედუარ სტავიცკიმ განაცხადა, რომ უკრაინამ ვალის გადახდა უკვე დაიწყო.

რუსეთსა და უკრაინას შორის მორიგი ენერგეტიკული ომი უკრაინის მიერ ევროკავშირთან დაგეგმლი ასოცირებას უკავშირდება. რუსეთი კატეგორიული წინააღმდეგია უკრაინის ევროინტეგრაციის.

ამ ფონზე, მსხვილმა ამერიკულმა საინვესტიციოს კომპანია „ფრანკლინ ტემპლტონმა“ უკრაინის სახელმწიფო ვალის თითქმის 20% შეისყიდა, – ამის შესახებ „ფაინეშლ თაიმსი“ წერს.

უკრაინის ფასიანი ქაღლდების მთლიანი ღირებულება, რომელსაც საინვესტიციო კომპანია დაუფლა, 5 მილაირდი დოლარია. თუმცა, ამ კომპანიის ხელმძღვანელობას აღნიშნულთან დაკავშირებით ჯერ კომენატარი არ გაუკეთებია.

ამასთან, გამოცემა წერს, რომ ადრე სან-მატეოში, კომპანიის შტაბბინაში უკრაინის პირველი ვიცეპრემიერი სერგეი არბუზოვი და ფინანსთა მინისტრი იური კოლობოვი იმყოფებოდნენ.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

# ჯონ მაკკეინი: მეგობრები ერთმანეთს უსმენენ, ეს ყველამ ვიცით



რესპუბლიკელ სენატორ ჯონ მაკკეინის განცხადებით, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს შეფი კით ალექსანდერი აუცილებლად უნდა გადადგეს – ამის შესახებ მაკკეინმა გერმანულ გამოცემა „შპიგელთან“ ინტერვიუში ისაუბრა. მისი თქმით, ალექსანდერმა პასუხისმგებლობა უნდა აიღოს ედვარდ სნოუდენის მიერ ათასობით საიდუმლო დოკუმენტის გამომჟღავნებაზე. მისი თქმით, სნოუდენს, რომელიც სააგენტოს კონტრაქტორი იყო, ამ დოკუმენტებზე ხელმისაწვდომობა არ უნდა ჰქონოდა.

„სნოუდენის მიერ გავრცელებულმა დოკუმენტებმა დააზიანა ამერიკის პრესტიჟი და ურთიერთობა ჩვენს უახლოეს მეგობრებთან. რატომ ჰქონდა სნოუდენს ეს ინფორმაცია“? – აღნიშნა მაკკეინმა, რომლის თქმითაც საიდუმლო ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებლები ეროვნული უსფრთხოების სააგენტო, კონგრესის დაზვერვის კომიტეტი და პრეზიდენტი ბარაკ ობამა არიან.

გავრცელებული ინფორმაციის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამერიკა საკუთარ მეგობრებსაც უსმენდა, მათ შორის გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელსაც, მაკკეინმა აღნიშნა: „მეგობრები ერთმანეთს უსმენენ, ეს ყველამ ვიცით, თუმცა აქ გარკვეული საზღვრები უნდა არსებობდეს“.

ედვარდ სნოუდენი, რომელმაც ამერიკის ეროვნული უსფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამოამჟღავნა, 2013 წლის ივნისში ჰონგ კონგიდან მოსკოვში ჩაფრინდა. რუსეთმა მას დროებითი თავშესაფარი აგვისტოში მიანიჭა.

„სნოუდენი არ არის პირველი უსაფრთხოების ეროვნული სააგენტოს თანამშრომელი, რომელმაც პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთში იპოვა. უილიამ მარტინმა და ბერნონ მიტჩელმა ანალოგიური გზა დაახლოებით 50 წლის წინ, ჯერ კიდევ ე.წ. „რკინის ფარდის“ პერიოდში გაიარეს. ამერიკაში ასე უწოდებდნენ ცივი ომის პერიოდში სოციალისტური ბანაკის ქვეყნებს. მაშინ საბჭოთა კავშირის ლიდერი ლეონიდ ბრეჟნევი იყო, რომელიც თანამდებობაზე სულ რამდენიმე თვის დანიშნული გახლდათ. შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ვადას კი დუაიტ ეიზენჰაუერი ასრულებდა, რომელიც სამიოდ თვეში ჯონ კენედიმ შეცვალა. ამ შემთხვევას და სნოუდენის საქმეს შორის ბევრი ანალოგიის მოძებნა შეიძლება. ისტორია, როგორც ამბობენ ხოლმე, ხშირად მეორდება.

მარტინი და მიტჩელი მეგობრები იყვნენ და 1960 წლის სექტემბრამდე შეერთებული შტატების უსაფრთხოების ეროვნულ სააგენტოში მუშაობდნენ, რომელიც ჯერ კიდევ პრეზიდენტ ტრუმენის დროს შეიქმნა. ორივე ახალგაზრდა, ისევე როგორც სნოუდენი, ტექნოლოგიების სფეროში იყო დასაქმებული. მატინი და მიტჩელი უმაღლესი ტექნოლოგიების დარგში მუშაობდნენ, რომლის კოდური დასახელება კრიპტოლოგია იყო“, – წერს „ამერიკის ხმა“.

# ირანი მაგატე-ს ურანის მაღაროს ინსპექტირებაზე დასთანხმდა

თეირანი და ატომური ენეგეტიკის საერთაშორისო სააგენტო (მაგატე), ირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით არსებული უთანხმოების დასაძლევად, დღეს გრძელვადიან თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ – იუწყება „ფრანს პრესი“.

შეთანხმების ფარგლებში, მაგატე-ს ექსპერტები არაკში მძიმე წყლის დამამზადებელ კომბინატსა და გაჩინის ურანის მაღაროს შეამოწმებენ. ადრე ეს ობიექტები სრულფასოვანი ინსპექტირებისთვის მიუწვდომელი იყო.

მხარეები ბირთვულ სფეროში თანამშრომლობის გაგრძელებაზეც შეთანხმდნენ. ამჟამად, მისი განვითარების სხვადასხვა ვარიანტი განიხილება. ირანული მხარის განცხადებით, ეს შეთანხმება მათ ქვეყანასა და მაგატე-ს შორის ურთიერთთანამშრომლობის „ახალ საფუძველს“ შექმნის.

მაგატე-ს ადრე არაერთხელ გამოუთქვამს მწუხარება ზოგიერთ ობიექტზე, მათ შორის, არაკსა და გაჩინზე, ინსპექტირების განხორციელებაზე ირანის მიერ უარის თქმის გამო.

თანამშრომლობის თაობაზე შეთანხმებას, ჟენევაში, ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით გამართული მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის დასრულებისთანავე მოეწერა ხელი, სადაც ირანმა და დასავლეთის ქვეყნებმა, მიუხედავად სერიოზული ძალისხმევისა, არსებითი შედეგის მიღწევა ჯერ ვერ შეძლეს.

აშშ-ს სურს ირანთან ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით სრულ გამჭვირვალობას და გამწმენდის მაღალი ხარისხის მიღებამდე ურანის გამდიდრების შეწყვეტას მიაღწიოს. თავის მხრივ, თეირანის სურვილია საერთაშორისო ეკონომიკური სანქციები შეუმსუბუქდეს.

ატომური ენერგეტიკის საერთაშორისო სააგენტოს ხელმძღვანელმა იუკია ამანომ თეირანში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ სამი თვის განმავლობაში განხორციელდება კონკრეტული ზომები. ირანის ბირთვული ობიექტებიდან, უცხოეთში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს არაკის რეაქტორი, რომელიც შესაძლოა მომავალი წლის მიწურულს ამოქმედდეს.




აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ჯონ კერიმ გამოთქვა იმედი, რომ რამდენიმე თვეში მოგვარდება ირანის ბირთვული პროგრამით გამოწვეული უთანხმოება.

„ამერიკა და მისი მოკავშირეები „ბრმები“ ან „სულელები“ არ არიან, როდესაც საქმე ირანთან მოლაპარაკებებს ეხება“, – განაცხადა ჯონ კერიმ.

შეგახსენებთ, რომ ცოტა ხნის წინ ირანსა და ე.წ „ექვსეულს“ შორის მორიგი მოლაპარაკება კონკრეტული შედეგის გარეშე დასრულდა.

„ან იქნება კარგი შეთანხმება, ან შეთანხმება საერთოდ არ მოხდება“, – განაცხადა კერიმ „ენ-ბი-სისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

შეგახსენებთ, დასავლეთი შიშობს რომ თეირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე მუშაობს, რასაც ირანი კატეგორიულად უარყოს. ჟენევაში გამართულ მოლაპარაკებებზე განხილული შეთანხმების მიხედვით, ირანმა ბირთვულ სფეროში საქმიანობა უნდა შეაჩეროს, სანაცვლოდ კი მის წინააღმდეგ დაწესებული საერთაშორისო სანქციები შემსუბუქდება. ორდღიანი მოლაპარაკებების შედეგად საბოლოო შეთანხმება ვერ მოხერხდა. მხარეები მოლაპარაკებებს 20 ნოემბერს განაახლებენ.

სპორტი

# გურიის რეგიონული ფედერაციის გადაწყვეტილება ისევ ეჭვქვეშ დგას

თბილისში ჩატარდა გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის საერთო კრება (ყრილობა), რომელსაც 7 სუბიექტიდან ხუთი ესწრებოდა. თუმცა წინადღით ერთ-ერთი სუბიქტის, შპს „გურია 2000“-ის დირექტორად დანიშნულმა ნუგზარ ცინცაძემ აღნიშნული შპს მიერ წარდგენილი დელეგატის მოხსნის მომართვა ყრილობის დღეს წარმოადგინა.

იმის მიუხედავად, რომ სფფ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ყრილობა 2013 წლის 21 მაისამდე არსებული მდგომარეობით ტარდებოდა (ცნობისთვის, 24 მაისის ყრილობა გარკვეული პირების მიერ ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე ჩაიშალა), დელეგატს ყრილობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა. თუმცა ყოველგვარი კითხვების ასაცილებლად, ხსნებულ დელეგატს კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიუღია.

გრფფ-ის მე-6 ყრილობას 7 დელეგატიდან 4 დაესწრო, რაც წესდების შესაბამისად, საკმარისი იყო ყრილობის ჩასატარებლად. ოთხივე დელეგატმა ხმა მისცა კახაბერ ებრალიძეს, რომელიც კიდევ 4 წლით უხელმძღვანელებს ორგანიზაციას.

თუმცა, „გურიის“ პრესსამსახურის სახელით გავრცელდა განცხადება, თითქოს ლანჩხუთის „გურია“ არ არის გრფფ-ის წევრი და ასევე მათ წარმომადგენლებს ყრილობაში მონაწილეობის უფლება არ მისცეს.

საპასუხოდ, რეგიონალი ფედერაციიდან განმარტავენ, რომ ყრილობაში მონაწილეობის უფლება ჰქონდა სუბიექტების მიერ წარდგენილ დელეგატებს. მათ შორის გახლდათ შპს „გურია 2000“ დელეგატი, რომელიც წინადღით დანიშნულმა დირექტორმა გააუქმა.

რაც შეეხება გრფფ-ის წევრობას, ლანჩხუთის „გურია“ ნამდვილად არის რეგიონული ფედერაციის წევრი. განმარტავენ, რომ შპს „გურია 2000“ ეს არის ლანჩხუთის „გურია“. შპს-ს საგადასახადო დავალიანების გამო (რომელიც ამჟამად ჩამოწერილია), ამჟამად „გურია“ ა(ა)იპ-ის სახით ასპარეზობს.

უახლოეს პერიოდში გრფფ-ის გამგეობა გადაწყვეტს ამ ორ სუბიექტთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, თუ რომელი ლანჩხუთის „გურია“ უნდა იყოს გრფფ-ის წევრი – შპს თუ ა(ა)იპი, რამეთუ ორივეს წევრად შემოყვანა გამოიწვევს სუბიექტების გაორებას. ასევე გამგეობა პირველივე სხდომაზე მიიღებს მოქმედ სუბიექტებს წევრად და უფუნქციო სუბიექტების გაყვანის საკითხს დააყენებს.

თუმცა, ამ ყრილობის ლეგიტიმურობა ისევ ეჭვქვეშ დგას. როგორც საპირისპირო მხარე აცხადებს, რეგიონალური ფედერაციის პრეზიდენტად თავისი კანდიდატურის წარდგენა გია ჩხაიძესაც სურდა, მაგრამ მის წარმდგენს, დურმიშხან ჩხაიძეს სუბიექტის წევრობა მოუხსნეს, რაც ავტომატურად იწვევდა განაცხადის ანულირებას.

სავარაუდოდ, ამ საკითხზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში იმსჯელებენ.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# სამგლოვიარო განცხადებები

აღმოსავლეთ საქართველოში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წარმომადგენლობა თანაუგრძნობს დემურ კეკელიას ოჯახს მეუღლის მარინა გელანტიას დედის, ქალბატონი

**ხუნტული შალვას ასულ დგებუაძე-გელანტიას**

გარდაცვალების გამო.

გიორგი (ლაშა) მიქაშავიძე ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა მისი მეგობარი

**ნოდარ აღნიაშვილი**

და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

შპს „თერგი-1“-ის ადმინისტრაცია ღრმა მწუხარებას უცხადებს თინათინ შიუკაშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 12 ნოემბერი**

**07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **10.30** "დღეს" შემეცნებით-გასართობი პროგრამა **14.00** "ნოსტალგია" – მხ/ფ "**ფანტომის დაბრუნება**" (პ.ვილაჯო) **17.00** ტ/სერ. "**ზღვარს მიღმა**" **19.30** "ლიხს იქით და ლიხს აქეთ" **21.00** პოლიტიკური თოქ-შოუ: "პირველი სტუდია" (პ/ე) **22.30** ტ/სერ. "**მაფიოზი**" **23.30** მხ/ფ "**ცისფერი უფსკრული**" (ჟ.რენო)

**08.00** "ბრიფინგის დროით" (ორl. გ/ჩვ) **09.00, 19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00, 12.00, 15.00, 17.30, 21.00, 23.00** "ბრიფინგის დრო" **11.00** დ/ფ "მსოფლიო ქალაქები" – "პრაღა" **14.00, 16.00** ტ/სერ. "**დეტექტივი**" **20.00** "მოამბე" (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ, რუსულ ენებზე) **21.30** "არგუმენტების დრო" (პ/ე)

**06.45** სერ. "**სიყვარული კონტრაქტით**" **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა (პ/ე) **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00** ქრონიკა **10.05** სერ. "**ცივი გული**" **11.20, 12.05** სერ. "**სიყვარულის საფრთხე**" **1** სერ. **12.30, 13.03** დღის შოუ (პ/ე) **14.40, 15.05** მისია სტუდენტი (გ/ჩ) **16.03** სერ. "**დაბრუნება**" **17.50, 19.03** სერ. "**უდანაშაულო**" **20.50** სერ. "**სილა**" **21.50** ახალი ქართული ხმა **00.00** ELITE MODEL LOOK GEORGIA **2013** – დღიური **00.15** მხ/ფ "**კურდღლის სორო**" (ა.ეკჰარტი)

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. "**ერთგულების ძალა**" **11.00** სერ. "**ბრაზილიის გამზირი**" **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.00** სერ. "**სიყვარული და შურისძიება**" **17.00** სერ. "**ჩემი ცოლის დაქალები**". **18.50, 19.50** სერ. "**ტიტების დრო**" **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** არჩევანი **00.00** სერ. "**ექიმი ჰაუსი**". **01.00** მხ/ფ **03.00** კურიერის დაიჯესტი

**06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი **06.10** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **06.35** მხ/ფ "**აკაკის აკვანი**" **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.00, 18.05, 21.20** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 18.55, 00.25** ისტორიის დღიური **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35, 21.25** ლექსით ქებათა ქება **10.40** დოკ/ფ "მაჭახელა" **11.15** საღვთისმეტყველო საუბრები **12.05** ამინდი **12.10** მხ/ფ "**მე დავბრუნდები**" **13.30** ქართული მულტფილმი **13.50** მხ/ფ "**ენი მწვანესახურავებიანი მამულიდან**" VII სერ. **14.45, 23.50** ფოტოგალერეა **14.50** მართლმადიდებლური კატეხიზმო **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** დოკ/ფ "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად" **15.55** კონცერტი - თბილისური ავტოგრაფი **17.00** ერთსულოვნების სალონი **18.10** დოკ/ფ "ტაო-კლარჯეთი" II ნაწ. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მოკ/ფ "**ბურთი და მოედანი**" **20.00** ღია აუდიტორია **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.25** წმინდა მოწამე იოთამ ზედგენიძე **21.30** ისტორიის გაკვეთილი **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **22.55** მართლმადიდებლური კატეხიზმო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ჩვენი ფონდი **23.40** დოკ/ფ "ქართული ჭედურობა კვიპროსზე" **00.30** განთიადის სტუმარი **01.00** მხ/ფ "**პრემიერა**"

**მაესტრო** **7.00, 0.45, 2.30, 5.15** ახალი ამბები (კოლაჟი) **7.40** მულტფილმი სონიკ- ხ **7.55, 8.10, 9.15** მაღვიძარა **8.00, 9.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00** ახალი ამბები **10.15, 16.00** **სერიალი "დაკარგული დრო"** **12.50** თოქ-შოუ "პოლიტმეტრი" (გამ) **17.45, 21.30, 0.30, 5.00** "ყოველდღიური აბები" (გამ.). **18.05, 1.30, 6.00** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი"(გამ). **19.00** **სერიალი "ასი"**. **21.45** **სერიალი "დიდებული საუკუნე"**. **23.00, 3.15** თოქ-შოუ "არგუმენტები"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ნოემბერი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 1,6787 | ევრო — 2,2528 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6983 | 100 რუსული რუბლი — 5,1576 |

## ამინდის პროგნოზი 12 ნოემბრისთვის




## ელდარ შენგელაია სოფიკო ჭიაურელის პრიზის მფლობელია



ამ უქმეებზე თბილისში საზეიმოდ დაიხურა რიგით მეოთხე რუსული კინოს ფესტივალი, რომელმაც ხელოვნებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის რჩეულები სოფიკო ჭიაურელის სახელობის პრიზით დააჯილდოვა. წელს ეს გამორჩეული ჯილდო ქართველ რეჟისორს ელდარ შენგელაიას ხვდა წილად. ფესტივალის დახურვაზე მიწვეული იყო აგრეთვე სოფიკო ჭიაურელის შვილი ნიკუშა შენგელაიაც.

რუსული კინოს ფესტივალი თბილისში ხელოვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის და საპროდიუსერო ცენტრ „კინოპროცესის“ ორგანიზებით ჩატარდა. ის მიზნად ისახავს კიდევ ერთხელ აჩვენოს ფართო შესაძლებლობები, რასაც ზოგადად ემსახურება ხელოვნებისა და კულტურათაშორის დიალოგი. ფესტივალის დამფუძნებელი და ორგანიზატორი კონსტანტინე ლუზინიან-რიჟინაშვილია. ფესტივალის პრეზიდენტი კი ცნობილი რუსი კინორეჟისორი ელდარ რიაზანოვია.

ხელოვნებისა და კულტურათაშორისი დიალოგის საერთაშორისო ფონდის მიერ წელს საფესტივალო პროგრამაში მოხვდა რუსული კინოინდუსტრიის უახლესი ნამუშევრები. მაყურებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა მხატვრულ, დოკუმენტურ და ექსპერიმენტულ ფილმებს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ახალგაზრდა კინორეჟისორთა შემოქმედებას, ასევე ანიმაციური და დოკუმენტური ფილმების სერიას. წლევანდელი საფესტივალო განრიგი ტრადიციისამებრ ითვალისწინებდა რუბრიკას „რეტროსპექტივა“, რომელიც ამჯერად წარმოდგენილი იყო მამა-შვილის, ანდრეი და ავდოტია სმირნოვების ფილმებით. სპეციალური კინოჩვენება მიეძღვნა ქართველ მსახიობს, ოთარ მეღვინეთუხუცესს და მის ხსოვნას. ფესტივალის ეგიდით ნაჩვენები იქნა დიმიტრი ასტრახანის ფილმი „განვედ!“

– წლევანდელ კინოფესტივალზე აქცენტი ახალგაზრდულ კინოზე გაკეთდა და რუსული კინოს გარდა პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნების ფილმებიც იქნა წარმოდგენილი. ჩვენებები კინოთეატრ „რუსთაველში“ გაიმართა და ბილეთები 3 ლარად გაიყიდა. ჩვენი ფესტივალის მიზანია პროფესიულ-შემოქმედებითი კავშირების განვითარება და პირადი მეგობრული ურთიერთობების ალ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## ყველამ გაითვალისწინეთ! ეს დღე მშვიდად გაატარეთ

## ასტროპროგნოზი 12 ნოემბრისთვის

**ვერძი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **კურო** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალ სამსახურში თავს გამოიჩენთ. **ქალწული** — არ აყვეთ სხვებს, ყური მიუგდეთ ინტუიციას. **სასწორი** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **ღრიანკალი** — შემოსავლის ახალ წყაროს იპოვით. **მშვილდოსანი** — წარმატებული დღეა, იაქტიურეთ. **თხის რქა** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **მერწყული** — არ აჩქარდეთ, საქმე მშვიდად აკეთეთ. **თევზები** — არ გარისკოთ, დღეს არ ღირს.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. გემის წინა ნაწილი; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 3. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ლენტეხის რაიონში; 5. უძველესი ქართული სამთავრო შავი ზღვის სანაპიროზე; 6. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 9. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე უძველესი სამეფო; 14. ცნობილი იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. მტვირთავი მუშა ნავსადგურში; 18. ფრანგული საავტომობილო კომპანია.

**თარაზულად:** 1. პოპულარული ტყე-პარკი პარიზში; 4. მსხლის ქართული ჯიში; 7. გობელენის ერთ-ერთი სახეობა; 8. ქართული ხალხური პატრიოტული სიმღერა; 12. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. ელექტროობის ძალის საზომი ერთეული; 15. მძლავრი ბუნებრივი მოვლენა; 17. იტალიური ტელეკომპანია; 19. ქართველი კალათბურთელი ოლიმპიური ჩემპიონი; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 21. ჰოლივუდის კინორეჟისორი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა



## ქართველი წყალბურთელები ევროპის ჩემპიონატისკენ მიიწევენ

საქართველოს წყალბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა პორტუგალიის დედაქალაქ პორტოში მიმდინარე 2014 წლის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი წარმატებით გაიარა და პლეი-ოფის საგზური მოიპოვა.



პორტოში გამართულ საკვალიფაკიციო ეტაპზე ქართველმა წყალბურთელებმა 5 შეხვედრა გამართეს და 4 გამარჯვებითა და 1 მარცხით ჯ ჯგუფი პირველ ადგილზე დაასრულეს.

ამასთან, საქართველოს ნაკრებმა საკვალიფიკაციო ეტაპებზე მოგროვილი 40 ქულით ჯამში შესარჩევი რაუნდის მოწინავე სამეულში მოხვდა და 11 ნოემბერს გასამართ წილისყრის შედეგად, პლეი-ოფში მეტოქედ გასული ევროპირველობის მეათე-მეთორმეტე ადგილოსან ნაკრებთაგან (ჰოლანდია, მაკედონია, თურქეთი) ერთ-ერთი ერგება.

პირველ-მეორე შესარჩევ რაუნდებში მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ისელიძის გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშეს და ორივეჯერ პირველი ადგილი დაიკავეს. პორტუგალიაში ჩატარებულ ბოლო მესამე ეტაპზე კი ნაკრებმა შვეიცარია 24:7 დაამარცხა, მალტას 11:4 სძლია, ერთნაირი ანგარიშებით 17:9 აჯობა ბელარუსსა და პორტუგალიას, ხოლო სლოვაკეთთან წააგო 16:17, თუმცა მიუხედავად ამ მარცხისა, მაინც პირველი ადგილი მოიპოვა.

პლეი-ოფის მატჩები 2014 წლის 15 თებერვალს და 12 აპრილს მიმოსვლითი სისტემით შედგება, გამარჯვებული 6 გუნდი კი იმ ექვსეულს შეუერთდება, რომლებსაც 2014 წლის 13-26 ივლისს ბუდაპეშტში გასამართი ევროპის პირველობის საგზურები უკვე განაღდებული აქვთ.

მასპინძელი უნგრეთის გარდა, ესენი არიან – სერბეთი, ჩერნოგორია, იტალია, გერმანია და საბერძნეთი, რომლებმაც წინა ევროპის ჩემპიონატი მოწინავე ხუთეულში დაასრულეს.

საქართველოს წყალბურთელთა ნაკრების შემადგენლობა ასეთია: ზურაბ ჭუმბურიძე, ბექა კაპანაძე, დამირ ცრეპულია, მარკო ელეზი, გალაქტიონ ლაითაძე, მარკო ელაჩა, გიორგი ხვედელიანი, მიხეილ ბაღათურია, ზურაბ რურუა, კონსტანტინე გეგელაშვილი, ტატო ნიკოლეიშვილი, მარინო ფრანიჩევიჩი, ბექა კაპანაძე

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

## ნოდარ გაბუნიას იუბილეზე ფესტივალი დაარსდა

პიანისტმა ვალერიან შიუკაშვილმა ცნობილი ქართველი ხელოვანის ნოდარ გაბუნიას სახელობის საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი და ფესტივალი დააარსა. ღონისძიება სტარტს 11 ნოემბერს აიღებს და მასში მონაწილეობას მიიღებენ როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ხელოვანები.




ნოდარ გაბუნიას სახელობის პირველი საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი და ფესტივალი, ხელოვნების აკადემიამ, გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, პიანისტისა და პედაგოგის ნოდარ გაბუნიას 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით დააფუძნა.

ფესტივალის საზეიმო გახსნა 11 ნოემბერს ევგენი მიქელაძის სახელობის მუსიკის ეროვნულ ცენტრში გაიმართება. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ცნობილი მუსიკოს-შემსრულებლები ვალერიან შიუკაშვილი (საქართველო), იანო თამარ ალიბეგაშვილი (საქართველო/იტალია), ვიტორიო ვიტელი (იტალია), იური მარგულისი (აშშ), ფერმინ ბერნეთჰეა (ესპანეთი) და ტრიო „სემპრე“ (საქართველო).

ნოდარ გაბუნიას სახელობის საერთაშორისო კონკურსისა და ფესტივალის მხარდამჭერია საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო.

ნოდარ გაბუნიას სახელობის საერთაშორისო კონკურსი ჩატარდება კლასიკური მუსიკის ორ სპეციალობაში ა – ფორტეპიანო და ბ – ვოკალი. ამ კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს, რომლის ასაკი შეეფერება ასაკობრივ კატეგორიებს. კონკურსი ეძღვნება ნოდარ გაბუნიას 80 წლის საიუბილეო თარიღს. კონკურსის პროგრამა სრულდება ზეპირად, ყველა მოსმენა საჯაროა, ანკეტა-განაცხადში წარმოდგენილი პროგრამის შეცვლა დაუშვებელია, კონკურსი მონაწილეთა თანმიმდევრობა განისაზღვრება ანბანის მიხედვით, კონკურსის მონაწილე თავად უზრუნველყოფს მგზავრობის, ცხოვრებისა და კვების ხარჯებს, მოთხოვნის შემთხვევაში საორგანიზაციო კომიტეტს შეუძლია დაეხმაროს მონაწილეს საცხოვრებელი ადგილის მოძიებაში. ყველა ლაურეატი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა კონკურსის საზეიმო დახურვის ცერემონიალში, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრემია გაუქმდება. კონკურსზე ნებისმიერი სახის ჩანაწერი ნოდარ გაბუნიას სახელობის კლასიკური მუსიკის საერთაშორისო კონკურსის საკუთრებაა. მონაწილეს არ აქვს უფლება, მოითხოვოს ანაზღაურება. ასაკობრივი კატეგორიები კონკურსის ორგანიზატორებმა ასე განსაზღვრეს: ფორტეპიანო – კატეგორია ა 11 წლის ჩათვლით, კატეგორია ბ 12– 16 წლის ჩათვლით, კატეგორია გ 17-25 წლის ჩათვლით. რაც შეეხება ვოკალს, ეს არის კატეგორია დ და მასში მონაწილეთა ასაკი 18-32 წლის ჩათვლით განი-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში 54 ათასი მილიონერი ცხოვრობს

**ანალიტიკოსთა ვარაუდით, არაბეთის გაერთიანებული საემიროებში 2013 წლის ბოლომდე, აშშ დოლარის მქონე მილიონერთა რაოდენობა 54 ათასს მიაღწევს, საიდანაც უდიდესი ნაწილი დუბაიში ცხოვრობს.**

მკვლევართა გათვლებით, 2017 წლისთვის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მილიონერთა რაოდენობა 34 %-ით გაიზრდება და 69 ათას ადამიანს მიაღწევს. ხოლო მილიარდელთა რაოდენობა 43 %-ით გაიზრდება და 893 ათასს ადამიანს მიაღწევს.

2012 წლისთვის არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში დოლარის მქონე 48 ათასი მილიონერი და 625 მულტიმილიონერი დათვალეს. 2012 წლის მაჩვენებელი კი 2008 წლის მაჩვენებლებთან შედარებით 8 %-ით ნაკლებია.




ანალიტიკოსების გათვლებით, მილიონერთა 59 %-ი დუბაიში, 26 %-ი აბუდაბიში ცხოვრობს.

არაბეთის გაერთიანებულ საამიროებს აქვს მაღალინდუსტრიული ეკონომიკა, რამაც გადააქცია ის ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყნად მსოფლიოში. ქვეყნის ძირითადი რესურსები ნავთობი და გაზია. საუდის არაბეთისა და ქუვეითისგან განსხვავებით, საემიროებში ნავთობის მოპოვება გვიან დაიწყო. (1969 წ.) დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ქვეყნის ხელისუფლებამ უცხოური ნავთობის კონცერნების აქტივები გამოისყიდა. 1981 წლისთვის, ნავთობიდან მიღებული შემოსავლები 100-ჯერ გაიზარდა. უზარმაზარი სიმდიდრე, რომელსაც ქვეყანა იღებს ნავთობისგან, მთავრობას საშუალებას აძლევს გრანდიოზული სოციალურ-ეკონომიკური პროგრამები განახორციელოს. ქვეყანაში არის თავისუფალი ეკონომიკური ზონები, რომლებიც პირველად დუბაის პორტის (ჯაბალ ალი) ირგვლივ, 80-იან წლებში დაარსდა. 90-იან წლებში საამიროები ახლო აღმოსავლეთის მსხვილ საფინანსო ცენტრად გადაიქცა. ქვეყანაში ფაქტობრივად არ არის ინფლაცია.

სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია 5%. სოფლის მეურნეობა აკმაყოფილებს კვების პროდუქტებზე ქვეყნის მოსახლეობის მოთხოვნის მხოლოდ მეოთხედს. თევზჭერიდან მიღებული შემოსავლები 4-ჯერ აღემატება სოფლის მეურნეობიდან მიღებულ შემოსავლებს. ექსპორტი: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, გაზი, ალუმინი. იმპორტი: მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქცია და სატრანსპორტო აღჭურვილობა, სასოფლო-სამეურნეო ცხოველები. სავაჭრო პარტნიორები: ტაილანდი, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი, გერმანია, სინგაპური, ა.შ.შ. იაპონია, ინდოეთი, იტალია, ირანი (მასზე მოდის დუბაის ბიზნესის 20-30%) და სამხრეთ კორეა.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

ლურჯი წითელი ყვითელი შავი